ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსი

ქართული როგორც უცხო ენა

ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსი

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახს" წინ უძღოდა "ქართულის, როგორც უცხო ენის, ფლობის დონეების სტანდარტის" შექმნა 2010-2011 წლებში. შემდგომში ამ "სტანდარტს" დაეფუძნა ვებგვერდზე წარმოდგენილი სასწავლო მასალები. "სტანდარტის" ფარგლებში მომზადდა კახა გაბუნიას "ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსი", რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

ავტორი — კახა გაბუნია

რედაქტორი — რუსუდან ზექალაშვილი

ილუსტრატორ-დიზაინერი — ქეთევან ლომიშვილი

დამკაბადონებელი — ტატიანა საბანაძე

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახის" ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი: მარიკა ოძელი

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი", 2016

თავი 1
ფონეტიკა/ფონოლოგია

1.1. **ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები ქართულში**

ბგერა ორგვარია: ხმოვანი და თანხმოვანი.
ხმოვანი ისეთი ბგერაა, რომლის წარმოთქმისას ფილტვებიდან ამონადენ ჰაერს არ ხვდება დაბრკოლება და თავისუფლად ამოდის.
თანხმოვანი ისეთი ბგერაა, რომლის წარმოთქმის დროს ჰაერის ნაკადს უხდება დაბრკოლების გადალახვა.
ხმოვანი ხუთია: **ა**, **ე**, **ი**, **ო**, **უ**, დანარჩენი 28 ბგერა თანხმოვანია.

1.2. **თანხმოვანთა ჯგუფები წარმოთქმის ადგილის მიხედვით**

თანხმოვნების წარმოთქმა სხვადასხვა ადგილას ხდება. ამის მიხედვით გვაქვს ბაგისმიერი, კბილისმიერი და სხვა ბგერები.
ბაგისმიერი ბგერებია: **ბ**, **ფ**, **პ**, **მ**.
კბილისმიერი ბგერებია: **დ**, **თ**, **ტ**.
კბილ-ბაგისმიერია **ვ**.
წინანუნისმიერი ბგერებია: **ძ**, **ც**, **წ**, **ზ**, **ს**. ამათ სისინა ბგერებს უწოდებენ.
უკანანუნისმიერი ბგერებია: **ჯ**, **ჩ**, **ჭ**, **ჟ**, **შ**. ამათ შიშინა ბგერები ეწოდება.
უკანა სასისმიერი ბგერებია: **გ**, **ქ**, **კ**, **ღ**, **ხ**.
ხახისმიერია **ყ**.
ხორხისმიერია **ჰ**.
ნ, **რ**, **ლ** თანხმოვნები წარმოთქმის ადგილის მიხედვით ნუნისმიერებია. მათ ნარნარა ბგერებს უწოდებენ.

1.3. **მჟღერი და ყრუ ბგერები**

ხმოვნების წარმოთქმის დროს ხორხში მოთავსებული ხმის სიმები პერიოდულად ირხევა და ჟღერს, ამიტომ ყველა ხმოვანი (**ა**, **ე**, **ი**, **ო**, **უ**) მჟღერი ბგერაა.
ხმის სიმები ირხევა და ჟღერს ზოგიერთი თანხმოვნის წარმოთქმის დროსაც. მჟღერი ბგერა სულ არის 18; ამათგან 5 ხმოვანია, 13 – თანხმოვანი. მჟღერი თანხმოვნებია: **ბ**, **გ**, **დ**, **ვ**, **ზ**, **ლ**, **მ**, **ნ**, **ჟ**, **რ**, **ღ**, **ძ**, **ჯ**.
ზოგიერთი თანხმოვნის წარმოთქმის დროს ხმის სიმები არ ირხევა და, მაშასადამე, არც ჟღერს, ბგერები ყრუდ მოისმის. მათ ყრუ ბგერებს უწოდებენ. ქართულში 15 ყრუ თანხმოვანია. ესენია: **თ**, **კ**, **პ**, **ს**, **ტ**, **ფ**, **ქ**, **ყ**, **შ**, **ჩ**, **ც**, **წ**, **ჭ**, **ხ**, **ჰ**.

1.4. **მკვეთრი და ფშვინვიერი თანხმოვნები**

ყრუ თანხმოვნები ორგვარია: მკვეთრი და ფშვინვიერი.
მკვეთრია თანხმოვანი, რომლის წარმოსათქმელად საკმარისია ჰაერის მარაგი, რომელიც პირის ღრუშია. ასეთი თანხმოვნებია: **ტ**, **წ**, **ჭ**, **კ**, **ყ** და **პ**.
ფშვინვიერია თანხმოვანი, რომლის წარმოთქმის დროს ფილტვებიდან ამოდის ჰაერის დიდი ნაკადი და ისმის ფშვინვა. ფშვინვიერი თანხმოვნებია: **ფ**, **თ**, **ქ**, **ჩ**, **ც**.

1.5. **ბგერითი ცვლილება სიტყვაში**

სიტყვის ბგერითმა შედგენილობამ დროთა განმავლობაში შეიძლება განიცადოს ცვლილება.
მაგ.: ძველად იყო: ახლა არის:

ჰამბავი	ამბავი
ტფილი	თბილი
ლბილი	რბილი
სიმშილი	შიმშილი

როგორც ვხედავთ, დასახელებულ სიტყვებს ბგერითი ცვლილება განუცდიათ.
სიტყვაში ბგერით ცვლილებას ფონეტიკური მოვლენა ჰქვია. ფონეტიკური მოვლენებია: ბგერის დაკარგვა, ასიმილაცია, დისიმილაცია, კუმშვა, კვეცა და ა.შ.

1.5.1. *ბგერის დაკარგვა*

სიტყვის ბგერითი შედგენილობა შეიძლება შემცირდეს.

მაგ.:	**იყო:**	**არის:**	**იყო:**	**არის:**
	ჰამბავი	ამბავი	ათერთმეტი	თეთრმეტი
	ჰაზრი	აზრი	მფრინველი	ფრინველი
	ჰექიმი	ექიმი	მამისდა	მამიდა
	ჰომი	ომი	აღვიდა	ავიდა

სიტყვიდან ბგერის ამოვარდნას ბგერის დაკარგვა ჰქვია.
ბგერის დაკარგვის საპირისპირო მოვლენაა ბგერის გაჩენა.
მაგ., ძველ ქართულში იყო: ტრედი, წმიდა, ახლა არის: მტრედი, წმინდა.

1.5.2. *ასიმილაცია*

ბგერა სიტყვაში ზოგჯერ ისე იცვლება, რომ ემსგავსება იმავე სიტყვის სხვა ბგერას:

1. შიში (→ სიში)
2. შეშა (→ სეშა)
3. ცეცხლი (→ სეცხლი)

ამ ფონეტიკური მოვლენას ასიმილაცია ანუ დამსგავსება ჰქვია.

1.5.3. *დისიმილაცია*

ერთი სიტყვის ორ ერთნაირ ბგერათაგან ერთ-ერთი შეიძლება შეიცვალოს და სხვა ბგერად იქცეს. ამ ფონეტიკურ მოვლენას დისიმილაცია ანუ განმსგავსება ჰქვია:
ბგერა სიტყვაში ზოგჯერ ისე იცვლება, რომ ემსგავსება იმავე სიტყვის სხვა ბგერას:

1. რბილი (→ ლბილი)
2. გორული (→ გორური)
3. ლერწამი (→ ლელწამი)
4. რაჭული (→ რაჭური)
5. კანკალი (→ კანკანი)
6. დამშრალი (→ დამშრარი)

1.5.4. *ფუძის კუმშვა და კვეცა*

ფუძის შიგნიდან ბრუნვის ნიშნის დართვის შედეგად ხმოვნის ამოვარდნას კუმშვა ეწოდება; ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებას – კვეცა.

კუმშვა	კვეცა
ატამ-ი → ატმ-ის	ზღვა → ზღვ-ის
მერცხალ-ი → მერცხლ-ის	მიწა → მიწ-ის
ბოსტან-ი → ბოსტნ-ის	ძმა → ძმ-ის
ირემ-ი → ირმ-ის	კლდე → კლდ-ის
ურემ-ი → ურმ-ის	ტყე → ტყ-ის
სოფელ-ი → სოფლ-ის	მზე → მზ-ის

თავი 2
გრამატიკა

ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგია გრამატიკა, რომელიც სწავლობს ენის აგებულებას. იგი იკვლევს სიტყვათა თვისებებს, მათი ცვლილებისა და წინადადებაში ერთმანეთთან დაკავშირების წესებს. გრამატიკა შედგება მორფოლოგიისა და სინტაქსისგან.

2.1. **მორფოლოგია**

მორფოლოგია სწავლობს სიტყვათა თვისებებსა და მათი ფორმაცვალების წესებს ლექსიკური მნიშვნელობის შეუცვლელად, მაგალითად: კაცი, კაცმა, კაცს... ფორმა იცვლება, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა კი უცვლელია.

კაც- მნიშვნელობის მქონე უმცირესი ელემენტია იმიტომ, რომ შემადგენელ ფონემებსა და მათ რიგს ისე ვერ შევცვლით, რომ სიტყვას მნიშვნელობა არ შეეცვალოს; მაგალითად, /კ/ რომ მოვაკლოთ, აც გაუგებარია; ასევე, სხვა ფონემებსაც ვერ მოვაკლებთ, არც მათი შეცვლა შეიძლება, თუ გვინდა, რომ "კაც" მნიშვნელობა დარჩეს ამ მორფემას.

2.1.1. მეტყველების ნაწილები

ენაში არსებული სიტყვათა მთელი მარაგი ჯგუფებად იყოფა, რომელთაც მეტყველების ნაწილები ჰქვია. ქართულში ათი მეტყველების ნაწილია:

1. **არსებითი სახელი**: დედა, კაცი, ცხენი, მუხა, კალმახი, ჭეშმარიტება...
2. **ზედსართავი სახელი**: თეთრი, ტკბილი, პატიოსანი, ქუდიანი...
3. **რიცხვითი სახელი**: ერთი, ორი, მეხუთე, მერვე...
4. **ნაცვალსახელი**: მე, შენ, ჩვენ, თქვენ, ის, მან, ჩემი, ჩვენი, მათი...
5. **ზმნა**: ვსწავლობ, ვაკეთებ, ხატავს, მიდის, მიფრინავს, დგას...
6. **ზმნიზედა**: აქ, იქ, გუშინ, ხვალ, ზეგ, გარეთ, წინ, უკან, ზევით...
7. **თანდებული**: -ზე, -ში, -თან, -გან, -კენ, -თვის...
8. **კავშირი**: და, მაგრამ, ხოლო, რომ...
9. **ნაწილაკი**: არ, ვერ, ნუ, ხომ, განა, -მეთქი...
10. **შორისდებული**: უჰ! ოჰ! ვაი! უი! ვაშა!...

2.1.1.1. *ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები*

სახელები და ზმნა ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილებია, ხოლო დანარჩენი მეტყველების ნაწილები – ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი და შორისდებული – ფორმაუცვლელნი არიან, ე.ი. მათ არ გააჩნიათ არც ბრუნვების, არც პირების, არც მწკრივთა მიხედვით ცვლის უნარი. თუ, მაგალითად, ზმნიზედამ ფორმა შეიცვალა, ეს სიტყვაწარმოება – ახალი სიტყვის შექმნა იქნება და არა ერთი სიტყვის ფარგლებში ფორმაცვალება.

ქართულ ენაში ჩვეულებრივია ზედსართავი სახელის "გადაქცევა" ზმნისართად, ხოლო ფორმა-უცვლელებისა – არსებით ან ზედსართავ სახელებად. იშვიათია სახელთა გადაქცევა ნაწილაკად ან შორისდებულად.

2.1.1.2. *სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილები*

სრულმნიშვნელობიანი (დამოუკიდებელი) მეტყველების ნაწილებია: სახელები, ზმნა და ზმნიზედა.

2.1.1.3. *დამხმარე მეტყველების ნაწილები*

დამხმარე მეტყველების ნაწილებია: თანდებული, კავშირი და ნაწილაკი.

შორისდებული ადამიანის სულიერ განწყობილებას გამოხატავს. იგი განცალკევებით დგას.

2.1.2. არსებითი სახელი

არსებითი სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს.

საგანი ჰქვია ყველაფერს, რასაც ვინ ან რა კითხვა დაესმის. მაგ., არსებითი სახელებია: ქალი, კაცი, ბავშვი, ცხვარი, ცხენი, ქვა, მდინარე, მთა, არწივი, ჰაერი, ჭეშმარიტება, ბედი, სინდისი...

არსებითი სახელი არის სიტყვა, რომელიც სამყაროში მიემართება საგანს (ნივთს ამ მოვლენას), რომელიც წინადადებაში ასრულებს აქტანტის როლს.

ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით, რასაც გრამატიკული თავისებურებებიც ახლავს, ქართულ ენაში გამოყოფენ არსებით სახელთა ათ ჯგუფს:

1. **სულიერთა ჯგუფი**
2. **უსულოთა ჯგუფი** (ცხენი მყავს, აღვირი მაქვს)
3. **ადამიანთა ჯგუფი**
4. **არაადამიანთა ჯგუფი** (ვინ მოდის? – ადამიანი; რა მოდის? – ცხენი)
5. **კონკრეტულ სახელთა ჯგუფი**
6. **აბსტრაქტულ სახელთა ჯგუფი** (კაცი – კაცობა; მრავლობითი რიცხვი არ აქვს)
7. **საზოგადო სახელთა ჯგუფი**
8. **საკუთარ სახელთა ჯგუფი** (ლევანი, ივანე, ლია, ნატო... მრავლობითი რიცხვი არ აქვს)
9. **კრებითი სახელების ჯგუფი** (ხალხი, ჯოგი, ფარა, ბუჩქნარი, სტუდენტობა)
10. **ნივთიერების სახელთა ჯგუფი** (ოქრო, ვერცხლი, ღვინო)

არსებითი სახელის ტრანსფორმაცია ზედსართავ სახელად და ზმნად ჩვეულებრივია ქართული ენისთვის, ისევე, როგორც ზმნისა – სახელად.

არსებითი სახელი შეიძლება იყოს მარტივი (ერთი ფუძისაგან შედგენილი) ან რთული (ორი ან მეტი ფუძისაგან შედგენილი).

მაგალითად, მარტივი არსებითი სახელებია: დედა, მამა, დღე, მზე, ხე...

რთული არსებითი სახელებია: დედაჩემი, მამაჩემი, ქინძისთავი, ბიძაშვილი...

2.1.2.1. *არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით. ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფის სახელები*

კითხვების მიხედვით არსებითი სახელები ორგვარია: ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფისა. ვინ კითხვა დაესმის ადამიანთა სახელებს, რა კითხვა – ყველა დანარჩენს. მაგ.: ვინ მოვიდა? – დედა, მამა, ქალი, კაცი, ბავშვი... რა დახატა? – ცხენი, კურდღელი, მუხა, ტყე, ზღვა...

ზოგიერთი არსებითი სახელი სხვადასხვა წინადადებაში შეიძლება სხვადასხვა ჯგუფს განეკუთვნოს. მაგ.: იმ დროს ქართველი ახალგაზრდობა იზრდებოდა რუსეთის უნივერსიტეტებში (წერ.). ვინ იზრდებოდა? – ახალგაზრდობა. მან სიამოვნებით მოიგონა თავისი ახალგაზრდობა. რა მოიგონა? – ახალგაზრდობა. ახალგაზრდობა პირველ მაგალითში ვინ ჯგუფის სახელია, მეორეში – რა ჯგუფისა.

2.1.2.2. *სულიერთა და უსულოთა სახელები*

ნივთიერი სახის მქონე საგანი ორგვარია: სულიერი ან უსულო.

სულიერია საგანი, რომელსაც სული უდგას. იგი საკუთარი ძალით მოძრავი ცოცხალი არსებაა, როგორიცაა: ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, თევზი, მწერი, ქვეწარმავალი.

უსულოა საგანი, რომელსაც სული არ უდგას, უსიცოცხლოა. ასეთებია: ხე, ქვა, მდინარე, მთვარე, სახლი, ბაღი, მინდორი და სხვ.

ვინ ჯგუფის სახელები სულიერ საგნებს აღნიშნავენ, რა ჯგუფისა – სულიერსაც და უსულოსაც.

2.1.2.3. *საკუთარი და საზოგადო სახელები*

სახელი შეიძლება იყოს საკუთარი ან საზოგადო. საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს, საზოგადო კი ერთნაირ საგანთა საერთო სახელია.

მაგ., მსოფლიოში უამრავი ქალაქია, რომელთაც თავ-თავისი სახელი ჰქვია: ერთი ქალაქის სახელია თბილისი, მეორისა – ქუთაისი, მესამისა – ბათუმი და ა.შ. ქალაქი ყველა ქალაქის საერთო სახელია, თბილისი კი ერთი ქალაქის სახელია. მაშასადამე, თბილისი საკუთარი სახელია, ქალაქი – საზოგადო.

საკუთარი სახელებია: ადამიანთა სახელები (ნინო, გიორგი), გვარები (მაჩაბელი, ჭონქაძე), ფსევდონიმები (ვაჟა-ფშაველა, არაგვისპირელი), ცხოველთათვის შერქმეული სახელები (გიშერა, წიქარა, აფთარა), გეოგრაფიული სახელები (საქართველო, მტკვარი, უშბა), ციურ მნათობთა სახელები (მზე, მთვარე, ვენერა), წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ნაწარმოებების, დაწესებულება-ორგანიზაციების, ისტორიული მოვლენების, გემების სახელწოდებები...

გეოგრაფიულ სახელებს ფუძის წარმოების თვალსაზრისით, გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ძირითადი მაწარმოებლებია: -ეთ, სა-...-ო და სა-...-ეთ: კახ-ეთ-ი; სვან-ეთ-ი, სომხ-ეთ-ი, სა-ქართველ-ო, სა-ინგილ-ო, სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი... ხშირად გეოგრაფიული სახელები ყოველგვარი მაწარმოებელი აფიქსის გარეშე გვხვდება: გერმანია, ჰოლანდია, კამერუნი...

2.1.2.4. *კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები*

არსებითი სახელი კონკრეტულია ან აბსტრაქტული (განყენებული).

კონკრეტულია სახელი, თუ ის აღნიშნავს ნივთიერი სახის მქონე საგანს: დაფა, მერხი, წიგნი, მერცხალი, ოქრო, წყალი, ჰაერი, ჟანგბადი...

აბსტრაქტულია სახელი, თუ ის აღნიშნავს ისეთ რამეს, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია. მაგ.: სიბრძნე, სიმშვიდე, გულწრფელობა, ბედნიერება, ჭეშმარიტება...

ვინ ჯგუფის სახელები ყველა კონკრეტულია, რა ჯგუფისა კი შეიძლება იყოს კონკრეტულიც და აბსტრაქტულიც.

ზოგიერთი სახელი ერთ წინადადებაში შეიძლება კონკრეტული იყოს, მეორეში – აბსტრაქტული. მაგ., მეზობლობა კონკრეტულია, როცა ვამბობთ: "მთელი მეზობლობა ივანესთან იყო სტუმრად", მაგრამ აბსტრაქტულია ამ წინადადებაში: "ივანესა და გიორგის კარგი მეზობლობა ჰქონდათ".

2.1.2.5. *კრებითი სახელები*

კრებითია კონკრეტული საზოგადო სახელი, რომელიც აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს, როგორიცაა: ხალხი, ერი, ჯარი, მოწაფეობა, სტუდენტობა, ჯოგი, გუნდი, ფარა, ხროვა...

კრებითის მნიშვნელობა აქვს -ნარ სუფიქსით წარმოქმნილ სახელს. მაგ.: ნაძვ-ნარ-ი, დაფ-ნარ-ი, ფიჭვ-ნარ-ი, წაბლ-ნარ-ი, ბუჩქ-ნარ-ი, ყვავილ-ნარ-ი, თიხ-ნარ-ი...

ნარ სუფიქსით წარმოქმნილი სახელი აღნიშნავს ადგილს, სადაც უხვად არის ესა თუ ის საგანი.

ზოგიერთი სახელი ერთ ცალ საგანსაც აღნიშნავს და ერთგვარ საგანთა კრებულსაც. მაგ.: ძროხა ერთ ცალ საგანს აღნიშნავს, როცა ვამბობთ: ჩემი ძროხა მინდორში საძოვრად გასულა; მაგრამ კრებითია წინადადებაში: "გაშლილი ძროხა მოგროვდებოდა და დავიწყებდით ყველანი თვლასა".

2.1.2.6. *ნივთიერებათა სახელები*

ნივთიერებათა სახელები აღნიშნავენ ისეთ საგნებს, რომელთა დათვლა და ცალკე ერთეულებად წარმოდგენა შეუძლებელია. მაგ., ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი, თუჯი, შაქარი, რძე, თაფლი, ნივთი, ლობიო, მუხუდო, ფეტვი, ბურღული, ფქვილი, მატყლი, ბამბა, ქარვა, კირი, ქვანახშირი...

ნივთიერებათა სახელებით აღნიშნული საგნები შეიძლება აიწონოს, საწყაოთი გაიზომოს, დათვლა კი შეუძლებელია. ამიტომ ნივთიერებათა სახელს მსაზღვრელად შეიძლება ახლდეს წონისა თუ საწყაოს აღმნიშვნელი სახელები, როგორებიცაა: მუჭა, გრამი, კილოგრამი, ფუთი, ტონა, ჭიქა, ვედრო, ბოთლი... აგრეთვე სიტყვები: ბევრი, ცოტა. მაგ., ითქმის: მუჭა ოქრო, კილოგრამი შაქარი, ფუთი ფქვილი, ტონა ქვანახშირი, ჭიქა წყალი, ბოთლი რძე, ბევრი მატყლი...

ნივთიერებათა სახელები კონკრეტულია და საზოგადო.

2.1.2.7. *მოქმედების სახელები*

ბევრი სიტყვა მოქმედებას აღნიშნავს, რა კითხვაზე მიუგებს და წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც არსებითი სახელი. მაგ., აკეთებს ზმნაა, კეთება კი მისგან ნაწარმოები ბრუნებადი სიტყვაა. ასეთ სიტყვებს მოქმედების სახელები ჰქვია.

2.1.2.8. *კნინობით-ალერსობითი სახელები*

კნინობითია წარმოქმნილი სახელი, რომელიც ძირეული სიტყვით აღნიშნულ საგანს შემცირებულად წარმოგვიდგენს.

მაგ., წიგნი შეიძლება იყოს დიდიც და პატარაც, მაგრამ ამის შესახებ ეს სიტყვა არაფერს გვეუბნება. წიგნაკი კი, რომელიც წიგნისაგან არის ნაწარმოები, პატარა ზომის წიგნს აღნიშნავს. ე.ი. წიგნაკი კნინობითი სახელია.

კნინობითი ფორმა ხშირად ალერსობითის მნიშვნელობით იხმარება: დედიკო, ძამიკო, თამრიკო...

კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსებია: -ა, -აკ, -ია, -იკო, -ილო.

დედოფალ-ა, წიგნ-აკ-ი, ბიძ-ია, დედ-იკო, მამ-ილო.

-იკო და -ილო გვხვდება ადამიანთა სახელებში, რომელთაც ალერსობითის მნიშვნელობა აქვთ.

კნინობით სახელს ზოგჯერ ორი თუ სამი სუფიქსი აწარმოებს: კაც-უნ-ა, წალდ-უნ-ა, ციც-უნ-ია, დათ-უნ-იკო, დათ-იკ-ელ-ა, ზურ-იკ-ელ-ა.

2.1.2.9. *მრავლობითი რიცხვის წარმოება*

სახელის ფორმა ერთ საგანს აღნიშნავს ან ერთზე მეტს. ამის მიხედვით რიცხვი ორია ქართულში: მხოლობითი და მრავლობითი.

ის ფორმა, რომელიც ერთ საგანს აღნიშნავს, მხოლობითია: კაცი, სახლი, მგელი, ყვავილი, თევზი, მუხა...

ის ფორმა, რომელიც ერთზე მეტ საგანს აღნიშნავს, მრავლობითია: კაცები, სახლები, მგლები, ყვავილები, კაცნი, კაცთა...

მრავლობითის ფორმას აწარმოებს -ებ ან -ნ და -თ ბოლოსართები. პირველს (-ებ-ით ნაწარმოებს) ებიანი მრავლობითი ჰქვია, მეორეს – ნართანიანი.

ებ-იანი მრავლობითი გაბატონებულია დღევანდელ ქართულში, ნართანიანი კი იშვიათია. ძველ ქართულში პირიქით იყო.

-ებ აწარმოებს მრავლობითს შვიდივე ბრუნვაში: ამხანაგ-ებ-ი, ამხანაგ-ებ-მა, ამხანაგ-ებ-ს, ამხანაგ-ებ-ის, ამხანაგ-ებ-ით, ამხანაგ-ებ-ად, ამხანაგ-ებ-ო.

-ნ აწარმოებს მრავლობითს ორ ბრუნვაში – სახელობითსა და წოდებითში: ამხანაგ-ნ-ი, ამხანაგ-ნ-ო.

-თ (გავრცობილი სახით -თა) მრავლობითსაც გამოხატავს და ერთ-ერთ ბრუნვასაც: მოთხრობითს, მიცემითს ან ნათესაობითს.

თანიანი ფორმა საერთოა სამი ბრუნვისათვის. რომ გავიგოთ, რომელი ბრუნვის მნიშვნელობითაა ნახმარი ეს ფორმა, მას ებ-იანი მრავლობითი უნდა შევუნაცვლოთ, მაგ.:

1. **მოთხრობითის მნიშვნელობითაა**: ყვავილთ (=*ყვავილებმა) სული განაბეს (ვაჟ.).
2. **მიცემითის მნიშვნელობითაა**: ვარდთ (=*ვარდებს) შემოუნახავთ წვეთები წვიმის (ა. კალ.).
3. **ნათესაობითის მნიშვნელობითაა**: ახმაურდა ფრინველთა (=*ფრინველების) გუნდი (მღვ.).

თანიანი ნათესაობითის ფორმას ვხმარობთ გარკვეულ გამოთქმებში: მწერალთა კავშირი, ექიმთა საზოგადოება, მასწავლებელთა ყრილობა, მეცნიერებათა აკადემია, მხატვართა კავშირი...

მრავლობითი რიცხვის საწარმოებელი –ებ, -ნ და -თა სუფიქსიანი სახელის ბრუნვის გამოსაცნობად სახელის ფორმა ზმნასთან მიმართებით უნდა განვიხილოთ: "კაცთა თქვეს" წინადადებაში კაცთა მოთხრობით ბრუნვაშია, რადგან მოქმედებითი გვარის "თქვეს" II სერიის ფორმაა (წყვეტილის); I და II სერიის ფორმებთან კი სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია: "კაცები ამბობენ სიტყვას" და "კაცებს უთქვამთ სიტყვა".

2.1.2.10. *მრავლობითის რიცხვის უქონელი არსებითი სახელები*

ზოგიერთ არსებით სახელს, ჩვეულებრივ, მარტო მხოლობითი რიცხვის ფორმა აქვს, მრავლობითის ფორმა კი არ გააჩნია. ასეთებია:

1. საკუთარი სახელები (ადამიანთა, გეოგრაფიული...): ნინო, ნუნუ, ვახტანგი, გიორგი... თბილისი, უშბა, მტკვარი, საქართველო...
2. ნივთიერებათა სახელები: თაფლი, თოვლი, ლობიო, ნავთი, სპირტი, ლუდი... აგრეთვე მტვერი, ხილი, ჰაერი...
3. აბსტრაქტული სახელები: სიმამაცე, სილამაზე, თავისუფლება...
4. მოქმედების სახელები, ე.ი. ზმნისაგან ნაწარმოები მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები: ჭრა, კერვა, სხვლა, ბარვა, დგომა, წოლა...

მრავლობითი რიცხვის უქონელმა სახელმა შეცვლილი მნიშვნელობით ხმარებისას შეიძლება აწარმოოს მრავლობითის ფორმაც. მაგ., ოქრო ნივთიერებათა სახელია და პირდაპირი მნიშვნელობით მრავლობითი არ ეწარმოება, მაგრამ როცა ეს სიტყვა ფულს აღნიშნავს, მრავლობითშიც დაისმის. მაგ.: მთიულმა იწყო მაგიდაზე ოქროების თვლა.

2.1.2.11. *არსებითი სახელის ბრუნება. ბრუნვები და მათი ნიშნები*

ერთი და იგივე სახელი მნიშვნელობის შეუცვლელად შეიძლება შვიდი სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს.

მნიშვნელობის შეუცვლელად დაბოლოებათა მიხედვით სახელის ცვლას ბრუნება ჰქვია, ხოლო თითოეულ ფორმას ბრუნვა ეწოდება.

ქართულში შვიდი ბრუნვაა. ეს ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი.

თითოეულ ბრუნვას თავისი ნიშანი აქვს. ბრუნვათა ძირითადი ნიშნებია: სახელობითისა – ი, მოთხრობითისა – მა, მიცემითისა – ს, ნათესაობითისა – ის, მოქმედებითისა – ით, ვითარებითისა – ად, წოდებითისა – ო.

"წოდებითი" ბრუნვა არ არის, იგი მიმართვის ფორმაა.

ბრუნვათა ფორმები, როგორც წესი, ზმნასთან არიან დაკავშირებული – აქტანტებს წარმოადგენენ. "წოდებითის" ფორმები კი ზმნასთან არ არის დაკავშირებული, სწორედ ამიტომ მათ, როგორც მიმართვის ფორმებს, მძიმით გამოყოფენ წინადადებაში და წინადადების წევრებად არ მიიჩნევენ მაშინ, როცა ნებისმიერი ბრუნვის ფორმა უთუოდ წინადადების წევრია.

2.1.2.12. *ბრუნება და ბრუნების მორფონოლოგიური ტიპები*

ქართულ ენას აქვს ბრუნების ერთი ტიპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა არსებით სახელს ამა თუ იმ ბრუნვაში ერთი და იგივე ბრუნვის ნიშანი აქვს. სახელთა ფუძეებისა და ბრუნვის ნიშნების ან

ფუძეთა და მრავლობითის -ებ სუფიქსის ურთიერზემოქმედების შედეგად სიტყვის ფარგლებში ხდება განსაზღვრული ფონეტიკური ცვლილებები. ამ ცვლილებათა სახეობების მიხედვით ყალიბდება ბრუნების მორფონოლოგიური ტიპები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ორთოგრაფიულ წესებში, რადგან თითოეულ მორფონოლოგიურ ტიპს აქვს რაიმე თავისებურება (ან თავისებურებები), რომელიც სხვა ტიპებში არ მეორდება.

2.1.2.13. *სახელთა ბრუნების მორფონოლოგიური ტიპები*

- ფუძეუკუმშველთა (კაც-ი "კაც-ით" კაც-ებ-ი)
- ფუძეკუმშვადთა (სტუმარ-ი "სტუმრ-ით" სტუმრ-ებ-ი)
- უკვეცელფუძიანთა (წყარო-0 "წყარო-თი" წყარო-ებ-ი)
- კვეცადფუძიანთა (დედა-0 "დედ-ით" დედ-ებ-ი)
- კუმშვად-კვეცადფუძიანთა (მოყვარე-0 "მოყვრ-ით" მოყვრ-ებ-ი)
- მხოლობით რიცხვში კვეცად- და მრ. რიცხვში უკვეცელფუძიანთა (ხე-0 "ხ-ით" და ხე-ებ-ი)
- მხოლ. რიცხვში უკვეცელ- და მრ. რიცხვში კვეცადფუძიანთა I (გოგონა-0 "გოგონა-თი" გოგონ-ებ-ი)
- მხოლ. რიცხვში კვეცად-კუმშვად- და მრ. რიცხვში უკვეცელ-უკუმშველფუძიანთა (დღე-0 "დღ-ით" დღე-ებ-ი)
- მხოლ. რიცხვში უკვეცელ- და მრ. რიცხვში კვეცადფუძიანთა II (სამურაი-0 "სამურაი-თ" სამურა-ებ-ი)

თავისებური ბრუნების მქონედ ჩაითვლება სახელი, თუ ის გამოიჩენს მხოლოდ მორფოლოგიურ და არა ოდენ მორფონოლოგიურ თავისებურებას, ქართულში ასეთია ღვინო, რომელიც ფუძემონაცვლეა (ღვინო / ღვინ: ღვინო-მ, მაგრამ ღვინ-ით).

2.1.2.14. *ბრუნვის ნიშანთა გავრცობა*

მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში ბრუნვის ნიშანი შეიძლება გაივრცოს ა ხმოვნით, რომელსაც სავრცობი ჰქვია.

მაგ., ითქმის არწივს და არწივსა, არწივის და არწივისა, არწივით და არწივითა, არწივად და არწივადა.

სახელობითი	არწივ-ი	ამხანაგ-ი
მოთხრობითი	არწივ-მა	ამხანაგ-მა
მიცემითი	არწივ-ს(ა)	ამხანაგ-ს(ა)
ნათესაობითი	არწივ-ის(ა)	ამხანაგ-ის(ა)
მოქმედებითი	არწივ-ით(ა)	ამხანაგ-ით(ა)
ვითარებითი	არწივ-ად(ა)	ამხანაგ-ად(ა)
წოდებითი	არწივ-ო	ამხანაგ-ო

ბრუნვის ნიშანთა გავრცობა უფრო ხშირია პოეზიაში.

2.1.2.15. *სახელები ფუძეთა მიხედვით*

სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის, ფუძე ჰქვია. სახელის ფუძე ან თანხმოვანზე ბოლოვდება, ან ხმოვანზე. თანხმოვანზე დაბოლოებულს ბოლოთანხმოვნიანი (ანუ თანხმოვანფუძიანი) სახელი ჰქვია, ხმოვანზე დაბოლოებულს – ბოლოხმოვნიანი (ანუ ხმოვანფუძიანი).

ფუძე რომ მოვნახოთ, სახელი უნდა ჩავსვათ მოთხრობითში, ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი, რაც დარჩება, ის იქნება ფუძე.

მაგ., მტრედ-მა, დროშა-მ, ღობე-მ, გიორგი-მ, ოქრო-მ, ნუნუ-მ. ამათ რომ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ჩამოვაშოროთ, დაგვრჩება ფუძეები: მტრედ, დროშა, ღობე, გიორგი, ოქრო, ნუნუ. ამათგან პირველი (მტრედ-ი) ბოლოთანხმოვნიანი სახელია, ყველა დანარჩენი – ბოლოხმოვნიანი.

სახელის ფუძე სრულია ან უსრული.

სრულია ფუძე, თუ მას ხმოვანი არ აკლია. მაგ., ირემ (ირემ-მა, ირემ-ს) და მუხა (მუხ-ა, მუხა-ს) სრული ფუძეებია.

უსრულია ფუძე, თუ მას აკლია ხმოვანი. მაგ., ირმ (ირმ-ის, ირმ-ით) და მუხ (მუხ-ის, მუხ-ით) უსრული ფუძეებია: პირველს აკლია ფუძის შიგნითა ე, მეორეს – ფუძის ბოლოკიდური ა.

ფუძიდან ხმოვნის ამოღებას კუმშვა ჰქვია, ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებას – კვეცა. უსრული ფუძე შეკუმშულია ან შეკვეცილი.

2.1.2.16. *საზოგადო სახელთა ბრუნება*

ფუძეთა მიხედვით სახელები ორგვარია: ბოლოთანხმოვნიანი და ბოლოხმოვნიანი.

2.1.2.16.1. *ფუძეუკუმშველი და ფუძეკუმშვადი სახელები*

ბოლოთანხმოვნიან სახელებში გვაქვს ორი ქვეჯგუფი: ფუძეუკუმშველი და ფუძეკუმშვადი. რომ გავიგოთ, სახელი კუმშვადია თუ უკუმშველი, იგი ნათესაობით ბრუნვაში უნდა ჩავსვათ: თუ ამ ბრუნვაში არ შეიკუმშა სახელის ფუძე, იგი უკუმშველია, თუ შეიკუმშა – კუმშვადი. მაგ., არწივი და ირემი ბოლოთანხმოვნიანი სახელებია არწივ და ირემ სრული ფუძეებია. ნათესაობითში იქნება: არწივ-ის და ირმ-ის. არწივი უკუმშველი სახელი აღმოჩნდა, ირემი – კუმშვადი.

2.1.2.16.2. *ფუძეკუმშვად სახელთა ბრუნება*

კუმშვად სახელებს ფუძე ეკუმშებათ მხოლობითი რიცხვის სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში და მთელ ებ-იან მრავლობითში. კუმშვის დროს იკარგება ა, ე და ო ხმოვნები.

2.1.2.16.3. *ფუძეუკუმშველ სახელთა ბრუნება*

ფუძის კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული ბოლოსართის დართვა: მხოლობით რიცხვში – ბრუნვის ნიშნები (-ის, -ით, -ად), მრავლობითში – რიცხვის ნიშანი (-ებ).

ა-ს ამოვარდნა მეტწილად მაშინ ხდება, როცა სახელის ფუძე ბოლოვდება ალ, ან, არ მარცვლებზე. მაგ.: ალუბალ-ი, ბორბალ-ი, მამალ-ი...

იშვიათად შეიძლება შეიკუმშოს სხვა მარცვლებზე დაბოლოებული ფუძეებიც: ნაბად-ი – ნაბდ-ის, ნაბდ-ით; კარავ-ი – კარვ-ის, კარვ-ით...

თვალი, თუ მხედველობის ორგანოს აღნიშნავს, უკუმშველია (თვალ-ის ტკივილი, თვალ-ით ვხედავთ), თუ სხვა რამეს, – კუმშვადი: ურმის თვლები, ძვირფასი თვლები.

ამბავი შეკუმშულ ფორმებში უკანასკნელ თანხმოვანსაც კარგავს: ამბ-ის (<ამბავ-ის), ამბ-ით (<ამბვ-ით), ამბ-ებ-ი (<ამბვ-ებ-ი).

ფუძიდან ე-ს ამოღება ჩვეულებრივია, როცა ფუძე ბოლოვდება -ელ, -ენ, -ერ და -ემ მარცვლებზე: კედელ-ი, კურდღელ-ი... ბერძენ-ი, ყურძენ-ი... დედაბერ-ი.. კუმშვადია აგრეთვე ზოგიერთი სხვა ტიპის სახელიც, მაგ., სომეხი, ყასაბი და სხვა.

ხუცესი, როგორც საზოგადო სახელი, კუმშვადია. შეკუმშულ ფორმებში უკანასკნელ თანხმოვანსაც კარგავს: ხუც-ის (<ხუცს-ის), ხუც-ით, ხუც-ად, ხუც-ებ-ი, ხუც-ებ-მა... როცა იგი საკუთარ სახელად არის ნახმარი, უკუმშველია: იაკობ ხუცესის "შუშანიკის წამება" მე-5 საუკუნის ლიტერატურული ძეგლია.

ფუძიდან ამოღებულია ო ხმოვანი:

	მხ. რ.	I **მრ. რ.**
ნათესაობითი	მინდვრ-ის(ა)	მინდვრ-ებ-ის(ა)
მოქმედებითი	მინდვრ-ით(ა)	მინდვრ-ებ-ით(ა)
ვითარებითი	მინდვრ-ად(ა)	მინდვრ-ებ-ად(ა)

მინდვრის მსგავსად იბრუნვის: მაწონი, ნიგოზი, ნიორი, იორი.

ო ხმოვნისა და ბაგისმიერი თანხმოვნების (ბ, პ, ფ) გვერდით ო უკვალოდ ქრება:

	მხ. რ.	I **მრ. რ.**
ნათესაობითი	ფოთლ-ის(ა)	ფოთლ-ებ-ის (ა)
მოქმედებითი	ფოთლ-ით(ა)	ფოთლ-ებ-ით(ა)
ვითარებითი	ფოთლ-ად(ა)	ფოთლ-ებ-ად(ა)

ფოთლის მსგავსად იბრუნვის: გოდორი, კოკორი, ობოლი, საპონი, ხოხობი.

საკუთარსა და ნივთიერებათა სახელებს (იორი, მაწონი, ნიორი, საპონი) მრავლობითი რიცხვი არ აქვს.

2.1.2.16.4. *ბოლოხმოვნიან საზოგადო სახელთა ბრუნება*

ბოლოხმოვნიან საზოგადო სახელებში გვაქვს ბრუნების სამი ქვეჯგუფი: ფუძეკვეცადი, ფუძეკუმშვად-კვეცადი და ფუძეუკვეცელი.

2.1.2.16.5. *ფუძეკვეცად სახელთა ბრუნება*

კვეცადია ის საზოგადო სახელები, რომელთა ფუძეც ა ან ე ხმოვანზე ბოლოვდება.

ა-სა და ე-ზე დაბოლოებულ სახელებს მხოლობითში ფუძე ეკვეცებათ ორ ბრუნვაში – ნათესაობითსა და მოქმედებითში. ებ-იან მრავლობითში მხოლოდ ა-ზე დაბოლოებული ფუძეები მოიკვეცენ ხმოვანს, ე-ზე დაბოლოებულები კი – არა.

კვეცას, როგორც კუმშვას, ხმოვნით დაწყებული ბოლოსართის დართვა იწვევს: მხოლობითში – ბრუნვის ნიშანი (-ის, -ით), მრავლობითში – რიცხვისა (-ებ).

ფუძეკვეცად სახელებს სახელობითში დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ნიშანი აღარ აქვს, მოთხრობითის ნიშანია -მ (-მა აუცილებელია -ც ნაწილაკის დართვისას: ძმა-მა-ც, კლდე-მა-ც), ვითარებითისა – დ, წოდებითისა – ო (კლდე-ო), -ვ (მუხა-ვ) ან არაფერი (დედა!).

2.1.2.16.6. *ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნება*

უკვეცელია ის საზოგადო სახელები, რომელთა ფუძეც ბოლოვდება ო ან უ ხმოვანზე.

ი-ზე დაბოლოებული ქართული სახელები არა გვაქვს. უცხო ენებიდან შეთვისებული რამდენიმე სახელის ფუძე ი-ზე ბოლოვდება და უკვეცელია. მაგ., ჩაი ჩინური სიტყვაა, ტრამვაი – ინგლისური.

ფუძეუკვეცელ სახელთა თავისებურება ის არის, რომ ბრუნვის ნიშანს მოსდის ცვლილება ნათესაობითსა და მოქმედებითში: ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (-ის) კარგავს ხმოვანს და რჩება თანხმოვანი ს, რის გამოც ნათესაობითის ფორმა ემსგავსება მიცემითისას. მაგ., წყაროს მიცემითი ბრუნვის ფორმაც შეიძლება იყოს და ნათესაობითისაც. მოქმედებითში -ით ბრუნვის ნიშანს ეკარგება ი და რჩება თ, რომელსაც ბოლოში ერთვის ი და გვაქვს თი: წყარო-თი, კუ-თი. ასეა მხოლობითში, ებ-იან მრავლობითში ესენიც ბოლოთანხმოვნიანთა ჯგუფში გადადიან.

მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები რომ ერთმანეთისაგან გავარჩიოთ, შენაცვლების ხერხს უნდა მივმართოთ: ფუძეუკვეცელი სახელის ნაცვლად უნდა ჩავსვათ ბოლოთანხმოვნიანი ან ფუძეკვეცადი სახელი. მაგალითად, "ტყეში წყაროს წავაწყდი". ჩავსვათ აქ წყაროს ნაცვლად, ვთქვათ, დათვი. გვექნება: "ტყეში დათვს წავაწყდი". დათვს მიცემითი ბრუნვის ფორმაა, მაშასადამე, მიცემითის ფორმაა აგრეთვე წყაროს. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: "წყაროს წყალი ცივია". მდინარე რომ შევუნაცვლოთ, გვექნება: "მდინარის წყალი ცივია". მდინარის ნათესაობითშია, მაშასადამე, აქ წყაროს ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა.

2.1.2.16.7. *კუმშვად-კვეცად სახელთა ბრუნება*

რამდენიმე სახელს ფუძე ერთდროულად ეკუმშება და ეკვეცება მხოლობითი რიცხვის სამ ბრუნვაში (ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში) და მთელ ებ-იან მრავლობითში. ეს სახელებია: მოყვარე, პეპელა, ფანჯარა, ქარხანა, ქვეყანა, ბეგარა, ტომარა.

2.1.2.17. *თავისებური საზოგადო სახელების ბრუნება*

ო-სა და ა-ზე ფუძეგათავებული რამდენიმე საზოგადო სახელი თავისებურებას იჩენს.

ღვინო: მხოლობითში კვეცადია (ღვინ-ის, ღვინ-ით), მრავლობითში – უკვეცელი (ღვინო-ებ-ი, ღვინო-ებ-მა).

ხბო: ამ სახელს მრავლობითი ორგვარად აქვს ნაწარმოები: ხბო-ებ-ი და ხბორ-ებ-ი. ხბორ ფუძისაგან არის ნაწარმოები მე-ხბორ-ე.

დრო: ეს სახელი ნათესაობითსა და მოქმედებითში ორგვარად იხმარება: დრო-ის, დრო-ით, დრო-ს, დრო-თი.

ა-ზე ფუძეგათავებული რამდენიმე საზოგადო სახელი მხოლობითში უკვეცელია, ებ-იან მრავლობითში – კვეცადი. ასეთი სახელებია: ჭიანჭველა, ჭიაყელა, ტოროლა, ჭრიჭინა... მაგ., ტოროლა, ტოროლა, ტოროლა-მ, ტოროლა-ს (ვხედავ), ტოროლა-ს (ბარტყი), ტოროლა-თი, ტოროლა-დ, ტოროლა-ვ, მრავლობითშია: ტოროლ-ებ-ი, ტოროლ-ებ-მა, ტოროლ-ებ-ს...

2.1.2.18. *საკუთარ სახელთა ბრუნება*

ა. ადამიანთა სახელების ბრუნება

ადამიანთა საკუთარი სახელები, როგორც საზოგადო სახელები ან ბოლოთანხმოვნიანია, ან ბოლოხმოვნიანი.

ბოლოთანხმოვნიანი ადამიანთა საკუთარი სახელებია: ასმათ-ი, დარეჯან-ი, ომარ-ი, მერაბ-ი, ლევან-ი, ნოდარ-ი, ნუგზარ-ი, ტარიელ-ი, ფრიდონ-ი...

ხმოვანფუძიანი ადამიანთა საკუთარი სახელებია:

ა: ლელა, მანანა, ნანა, შოთა...

ე: ელენე, ირინე, კოტე, პეტრე, ცოტნე...

ი: დალი, ლალი, ნანული, აკაკი, რატი...

ო: დოდო, მაიკო, მზაღო, ნინო, ანდრო...

უ: ნუნუ, ბათუ, ბუდუ, დუტუ...

ბოლოთანხმოვნიანი ადამიანთა საკუთარი სახელი ყველა უკუმშველია, ბოლოხმოვნიანი კი – უკვეცელი.

ადამიანთა საკუთარ სახელებს არ აქვს მრავლობითი რიცხვი.

არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარებისას ადამიანის სახელი მრავლობითშიც გვხვდება. მაგ.: ასმათები დღესაც არიან ჩვენში. იგულისხმება არა ბევრი ასმათი, არამედ – ასმათის მსგავსი ქალები.

ბ. ადამიანთა გვარების ბრუნება

ცალკე ან რამდენიმე სახელთან ხმარებისას გვარებს მრავლობითი აქვთ: ორბელიანები, ჭავჭავაძეები, ტაბიძეები; ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები; გარსევან, ალექსანდრე და ილია ჭავჭავაძეები...

ბოლოთანხმოვნიანი გვარებიდან ელ-ზე გათავებულები უმეტესად კუმშვადია (წერეთელი – წერეთლის, მაჩაბელი – მაჩაბლის), დანარჩენები – უკუმშველი.

ა-ზე გათავებული ქართული გვარები მხოლობითში უკვეცელია და წოდებითში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ; –ებ-იან მრავლობითში -ა ფუძიანი სახელები იკვეცებიან.

გ. სახელისა და გვარის ერთად ბრუნება

ადამიანის სახელისა და გვარის ერთად ხმარების დროს იბრუნვის გვარი, სახელი კი უცვლელი რჩება.

2.1.2.19. *არსებითი სახელი მსაზღვრელად*

არსებით სახელს შეიძლება ახლდეს არსებითივე სახელი. მაგ.: პოეტი წერეთელი, ექიმი მაჩაბელი, ჟურნალი "ცისკარი", დირექტორი ჯაფარიძე... როცა ასეთი ბოლოთანხმოვნიანი არსებითი საკუთარ სახელს ახლავს ზედსართავის მსგავსად, იგი სამ ბრუნვაში – სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, დანარჩენ ოთხ ბრუნვაში კი ფუძის სახით არის შეწყობილი.

ზემოთ ჩამოთვლილი არსებითი სახელებისგან განსხვავებით ბატონი და ქალბატონი როდესაც წინ უძღვის არსებით სახელს (მაგ.: ბატონი დავითი, ქალბატონი ქეთევანი...), ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ შემდეგნაირად:

სახ. ბატონი დავითი
მოთხ. ბატონმა დავითმა
მიც. ბატონ დავითს
ნათ. ბატონი დავითის
მოქ. ბატონი დავითით
ვით. ბატონ დავითად
წოდ. ბატონო დავით

არსებით სახელს შეიძლება ახლდეს ნათესაობითში დასმული არსებითი, რომელიც აღნიშნავს კუთვნილებას ან მასალას. მაგ.: მეზობლის სახლი (აღნიშნავს კუთვნილებას); ქვის სახლი (აღნიშნავს მასალას). ჩვეულებრივ, ასეთი სახელი არსებითი სახელის წინ დგას, იშვიათად – მომდევნოა.

ა. თუ ნათესაობით ბრუნვაში მდგომი არსებითი სახელი პირველ ადგილზეა, იგი უცვლელია.

ბ. თუ ნათესაობითში მდგომი არსებითი სახელი მეორე ადგილზეა, იგი დაირთავს ბრუნვის ნიშნებს. ბრუნვის ნიშნები შეიძლება იყოს გავრცობილიც და გაუვრცობელიც.

2.1.2.20. *კომპოზიტი*

სახელი შეიძლება შედგებოდეს ერთი ფუძისაგან ან მიღებული იყოს ორი ან მეტი ფუძის შეერთებით. ასეთ რთულ სიტყვას უწოდებენ კომპოზიტს. თუ კომპოზიტის შემადგენელ ფუძეთა მნიშვნელობა დაჩრდილულია, ვიღებთ ერთცნებიან კომპოზიტს. ასეთებია: ცისკარი, ქინძისთავი, გულგახეთქილი, თავქუდმოგლეჯილი...

თუ შემადგენელ ფუძეთა მნიშვნელობა შენარჩუნებულია, ასეთ კომპოზიტს ორცნებიანს ვუწოდებთ. ასეთებია: მთა-ბარი, დედ-მამა, რქამოტეხილი...

2.1.3. ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც ახლავს არსებით სახელს და გამოხატავს საგნის ნიშან-თვისებას.

მაგ., ქვა შეიძლება იყოს: დიდი, პატარა, ბრტყელი, მრგვალი, ხავსიანი... ვამბობთ: დიდი ქვა, პატარა ქვა, ბრტყელი ქვა, მრგვალი ქვა, ხავსიანი ქვა... ეს სიტყვები არსებით სახელს დაერთვიან და საგნის ნიშანს გამოხატავენ, ე.ი. ზედსართავი სახელებია.

ზედსართავი სახელი არსებითი სახელის თვისებას გამოხატავს (კოხტა გოგო, კარგი ბიჭი).

ზედსართავ სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: ვითარებითი და მიმართებითი.

ვითარებითი აერთიანებს პირველად ზედსართავებს (მაღალი, შავი, მჭლე...), მიმართებითის ჯგუფში კი მეორადი (დერივაციული აფიქსებით ნაწარმოები) სახელები ერთიანდება (ხავს-იან-ი, უ-თმ-ო, სა-ნერგ-ე..... -იან, უ-ო და სა-ე წარმომქმნელი, ანუ დერივაციული ელემენტებია).

ვითარებით ზედსართავებს ხარისხი ეწარმოებათ (მაღალი – უმაღლესი, ლამაზი – ულამაზესი...), მიმართებითებს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ხარისხი არ ეწარმოებათ, მაგ., არ შეიძლება უთმოესი ან უუთმოესი, უხავსიანესი და სხვა; თუმცა არსებობს გამონაკლისებიც: გონი – გონ-იერ-ი – უ-გონიერ-ეს-ი, ჭკვა – ჭკვ-იან-ი – უ-ჭკვიან-ეს-ი და სხვა.

2.1.3.1. *ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელი*

ზედსართავი სახელი ორგვარია: ვითარებითი და მიმართებითი.

ვითარებითია პირველადი (ძირეული) ზედსართავი სახელი: დიდი, თეთრი, შავი, მწვანე, გრძელი, მოკლე...

მიმართებითია წარმოქმნილი ზედსართავი სახელი. იგი მიღებულია თვით ზედსართავისგან ან სხვა მეტყველების ნაწილისაგან. მაგ., ქუდი არსებითი სახელია, ქუდიანი (კაცი) კი – მისგან წარმოქმნილი ზედსართავი, რომელიც საგანს (ამ შემთხვევაში კაცს) ახასიათებს ძირეული სიტყვით აღნიშნულ საგანთან (ქუდთან) მიმართებით.

ზედსართავი სახელის კითხვებია: როგორი? რომელი? სადაური? როდინდელი? მაგ.:

როგორი? (ან რანაირი?) – მთვარიანი (ღამე), ძლიერი (ქარი).

რომელი? – უფროსი (შვილი), უმცროსი (ძმა), დიდი (ბავშვი).

სადაური? – სოფლელი (ბავშვი), აქაური (ხილი).

როდინდელი? – გუშინდელი (ამბავი), წუხანდელი (სიზმარი).

2.1.3.2. *წარმოქმნილი ზედსართავი სახელები*

მიმართებითი ზედსართავი სახელი წარმოქმნილია თვით ზედსართავისაგან ან სხვა მეტყველების ნაწილებისაგან.

მაგ., უდიდესი ნაწარმოებია ზედსართავისაგან – დიდი, ხავსიანი – არსებითისაგან ხავსი, ერთიანი – რიცხვითი სახელისაგან ერთი, თქვენებური – ნაცვალსახელისაგან თქვენ, შარშანდელი – ზმნიზედისაგან შარშან.

მიმართებითი ზედსართავი იწარმოება სუფიქსებით (ხავს-იან-ი, კახ-ურ-ი) ან პრეფიქს-სუფიქსებით (უ-დიდ-ეს-ი, სა-ერ-ო, უ-ენ-ო).

2.1.3.3. *ზედსართავი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით*

შინაარსის მიხედვით წარმოქმნილი ზედსართავი სახელები შეიძლება აღნიშნავდეს:

ყოლა-ქონებას, უყოლობა-უქონლობას, სადაურობას, დანიშნულებას, ხარისხს...

ა. ყოლა-ქონის სახელები

არსებითი სახელებისაგან ყოლა-ქონების ზედსართავ სახელებს აწარმოებენ სუფიქსები: -იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ა.

იან: აღნიშნავს ძირეული სახელით გამოხატული საგნის ყოლას ან ქონებას: ამ დროს მას ცხენ-იან-ი მგზავრი მოაწყდა;

იერ (დისიმილაცით **იელ**): რამდენიმე სიტყვისაგან აწარმოებს ქონების სახელს: გ. წერეთელი ნიჭ-იერ-ი ახალგაზრდა იყო;

ოსან: აღნიშნავს რისამე მატარებელს ან მქონებელს: გვირგვინ-ოსან-ი თამარი სულ მუდამ ამის მთქმელია;

ასეთი წარმოების ზედსართავი ხშირად არსებითად არის ქცეული (მიუგებს არსებითი სახელის კითხვებზე: ვინ? რა?): ჭიშკარს მოადგა ასიოდე ქვეითი და ერთი ცხენ-ოსან-ი.

ოვან: აღნიშნავს ქონებას: ყინულ-ოვან-ი მთებიდან მობერილი სიგრილე სიმხნევეს მმატებდა;

ა: ეს სუფიქსიც ქონებას აღნიშნავს: იყო ერთი ცალთვალ-ა ირემი.

ბ. უყოლობა-უქონლობის სახელები

არსებითი სახელისაგან უყოლობას და უქონლობას აწარმოებს პრეფიქს-სუფიქსები: უ-ო, უ-ურ.

უ-ო: ეს პრეფიქს-სუფიქსი აწარმოებს უყოლობას ან უქონლობას: უ-მთვარ-ო ცა ბნელად მოქუფრულიყო.

უ-ურ (დისიმილაციით: **უ-ულ**) აღნიშნავს უქონლობას: ზარმაცებს კუნთები უ-ძლ-ურ-ი და სუსტი აქვთ.

გ. დანიშნულების სახელები

დანიშნულებას გამოხატავს პრეფიქს-სუფიქსები: სა — ე, სა — ო, სა — ურ.

სა — ე: სა-ჩოხ-ე, სა-უღლ-ე; სა — ო: სა-ბავშვ-ო, სა-ნადირ-ო.

სა — ურ: სა-თაგ-ურ-ი, სა-მკერდ-ულ-ი.

ამგვარი წარმოების ბევრი ზედსართავი სახელი არსებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება (მიუგებს არსებითი სახელის კითხვაზე): საღორე, საყურე, საკირე, სამზარეულო, სახელოსნო, საფეხური, საგანძური...

დ. სადაურობის სახელები

სადაურობის სახელებს აწარმოებს -ელ და -ურ ბოლოსართები.

-ელ მაჩვენებელია ადამიანთა სადაურობისა: სოფლ-ელ-ი, რაჭვ-ელ-ი; -ელ სუფიქსი აღნიშნავს აგრეთვე მიმდევრობას, წევრობას, როდინდელობას: რაზმ-ელ-ი, წუხანდ-ელ-ი.

-ურ (დისიმილაციით: -ულ) მაჩვენებელია არაადამიანთა სადაურობისა: ქიზიყ-ურ-ი, სვან-ურ-ი, არაბ-ულ-ი.

ურ (ულ) სუფიქსი გვიჩვენებს აგრეთვე თვისებას: დედაშვილ-ურ-ი, გმირ-ულ-ი.

ე. ხელობის სახელები

ამ ჯგუფის სახელებს აწარმოებს თავსართ-ბოლოსართები: მე — ე, მე — ურ.

მე — ე: მე-ურმ-ე, მე-ბაღ-ე, მე-ცხვარ-ე, მე-პურ-ე, მე-ღორ-ე, მე-ძროხ-ე, მე-ფუტკრ-ე...

მე — ურ (დისიმილაციით: მე – ულ) ხელობის სახელს აწარმოებს რამდენიმე ფუძისაგან: მე-ბად-ურ-ი, მე-ზღვა-ურ-ი, მე-თა-ურ-ი (<მე-თავ-ურ-ი), მე-სვე-ურ-ი, მე-ბარგ-ულ-ი (<მე-ბარგ-ურ-ი).

ხელობის სახელები, ჩვეულებრივ, არსებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება და მიუგებს არსებითი სახელის კითხვაზე.

2.1.3.4. *ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი ზედსართავი სახელები*

ბრუნვის ნიშანი ზოგჯერ ახალი სიტყვის წარმოსაქმნელად არის გამოყენებული. მაგ., მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები აწარმოებენ ზედსართავებს არსებითი სახელებისაგან.

ით: ბრძანებ-ით-ი, თხრობ-ით-ი, შემთხვევ-ით-ი...

ად (**დ**): გულ-ად-ი, პურ-ად-ი, ტან-ად-ი, დრეკა-დ-ი, კვეცა-დ-ი...

2.1.3.5. *ხარისხის ფორმები*

ვითარებით ზედსართავ სახელს, ჩვეულებრივ, ეწარმოება ხარისხის ფორმები, რომლებიც ძირეულთან მიმართებით მეტი ან ნაკლები ოდენობით გამოხატავენ საგნის თვისებას: დიდი – უდიდესი, მოდიდო; თეთრი – უთეთრესი, მოთეთრო. ეს ფორმები ერთმანეთის მიმართ ხარისხის ფორმებია. ძირეულ ფორმას (დიდი, თეთრი) დადებითი ჰქვია, მისგან წარმოქმნილებს – უფროობითი და ოდნაობითი.

უფროობითი ხარისხის ფორმას აწარმოებს უ-ეს თავსართ-ბოლოსართი და აღნიშნავს თვისებას მეტი ოდენობით, ვიდრე ძირეული ზედსართავი სახელი: დიდ-ი – უ-დიდ-ეს-ი, მა-ღალ-ი – უ-მაღლ-ეს-ი.

ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელია მო-ო თავსართ-ბოლოსართი და გამოხატავს თვისებას ნაკლები ოდენობით: დიდ-ი – მო-დიდ-ო, თეთრ-ი – მო-თეთრ-ო...

ზოგიერთ ვითარებით ზედსართავს არ ეწარმოება ხარისხის ფორმები (მაგ., კოჭლი), ზოგს ოდნაობითი ეწარმოება (ვაკე – მო-ვაკ-ო), ზოგსაც უფროობითი (წმინდა – უ-წმინდ-ეს-ი).

უფროობითი ხარისხის ფორმა ეწარმოება ზოგიერთ წარმოქმნილ და რთულ ზედსართავსაც: ჭკვ-იან-ი – უ-ჭკვი-ან-ეს-ი, ძლ-იერ-ი – უ-ძლიერ-ეს-ი. ხარისხის ფორმათა წარმოებისას ზოგიერთ -ელ და -ილ სუფიქსიან სახელს მოეკვეცება ეს სუფიქსები: გრძ-ელ-ი – უ-გრძ-ეს-ი, მო-გრძ-ო.

2.1.3.6. *დამოუკიდებელი ზედსართავი სახელის ბრუნება*

ზედსართავი სახელი, ჩვეულებრივ, არსებით სახელს ახლავს და მისი განსაზღვრებაა: ავი ძაღლი, კარგი კაცი. ზოგჯერ არსებითი სახელი გამოტოვებულია, ზედსართავი სახელი მისგან დამოუკიდებლად არის ნახმარი და არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს: ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქვა.

2.1.3.7. *ზედსართავი სახელი მსაზღვრელად. ზედსართავი სახელი არსებითის წინ და შემდეგ*

ზედსართავი სახელი დღევანდელ ქართულში, ჩვეულებრივ, არსებითი სახელის წინ დგას: დიდი სახლი, პატარა ბავშვი, მწვანე მინდორი...

ზედსართავი სახელი ზოგჯერ (უმთავრესად ლექსებში) მოსდევს არსებით სახელს: ბავშვი პატარა, მინდორი მწვანე...

ზედსართავის არსებითთან ბრუნებისას მნიშვნელობა აქვს, ბოლოთანხმოვნიანია ის თუ ბოლოხმოვნიანი, არსებითის წინ დგას თუ მოსდევს მას.

2.1.3.8. *ბოლოთანხმოვნიანი და ბოლოხმოვნიანი ზედსართავის ბრუნება არსებითთან ერთად*

ბრუნვის ნიშნები ბოლოთანხმოვნიან ზედსართავს სრულად შენახული აქვს სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში ჩამოშორებულია, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში მოკვეცილია თანხმოვანი (ნათესაობითში -ს, მოქმედებითში -თ) და დარჩენილია ხმოვანი ი.

ბოლოხმოვნიან ზედსართავს ბრუნვის ნიშნები არ დაერთვის.

2.1.3.9. *ზედსართავის ბრუნება ებ-იან მრავლობითში დასმულ არსებითთან ერთად*

ზედსართავი სახელი ებ-იან მრავლობითში დასმულ არსებითთან მხოლობითში დგას. ნარ-თანიან მრავლობითში დასმულ არსებით სახელებს ბოლოთანხმოვნიანი ზედსართავი სახელები სხვადასხვაგვარად შეეწყობა.

2.1.4. რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელი ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან მთელის ნაწილს. ამის მიხედვით რიცხვითი სახელი სამგვარია: რაოდენობითი რიგობითი და წილობითი.

სამი რაოდენობითი რიცხვითი სახელია, მესამე – რიგობითი, მესამედი კი – წილობითი. ტერმინები შექმნილია რიცხვით სახელთა ფუნქციის მიხედვით.

მსგავსად ზედსართავი სახელისა, რიცხვითი სახელის არსებით სახელად ქცევა (გაარსებითება) შესაძლებელია ყოველ საჭირო შემთხვევაში; მაგ.: "სამი კაცი ჩამოვიდა, ორი აქ დარჩა, ერთი უკანვე გაბრუნდა" (1) ან "სამი კაცი ჩამოვიდა, სამივე აქ დარჩა." (2). ამ წინადადებებში "ერთი", "ორი" და "სამივე" გასუბსტანტივებული რიცხვითი სახელებია, "სამი" კი მხოლოდ რიცხვითი სახელია. ანალოგიური ვითარებაა რიგობით და წილობით რიცხვით სახელებთან: "მეორე კაცი დაბრუნდა, მესამე – არ დაბრუნებულა." მეორე რიგობითი სახელია, მესამე კი – გასუბსტანტივებული რიცხვითი სახელი.

რამდენიმე სიტყვა გაურკვეველ სიმრავლეს გამოხატავს. ასეთი სიტყვებია: ბევრი, მრავალი, ურიცხვი, ცოტა, რამდენიმე...

რიცხვითი სახელის კითხვებია: რამდენი? მერამდენე? (ან რიგით რომელი?) მერამდენედი?

2.1.4.1. *რიცხვითი სახელი არსებით სახელთან და დამოუკიდებლად*

რიცხვითი სახელი, ჩვეულებრივ, არსებით სახელს ახლავს და განსაზღვრავს მას. მაგ., ათი სახლი, მეათე სახლი, მეათედი ნაწილი. იგი გვხვდება დამოუკიდებლადაც და ისე შეეწყობა სხვა სიტყვებს, როგორც არსებითი სახელი.

2.1.4.2. *რაოდენობითი რიცხვითი სახელები*

რაოდენობითი რიცხვითი სახელი შედგენილობით მარტივია ან რთული.

მარტივი რიცხვითი სახელებია: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვს, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი, ასი, ხოლო დანარჩენები რთულია.

რთული რიცხვითი სახელი ორი ან მეტი ფუძისაგან შედგება: ორასი (ორ-ას-ი), სამასი (სამ-ას-ი), სამოცდაორი (სამ-ოც-და-ორ-ი), სამოცდაათი (სამ-ოც-და-ათ-ი).

რიცხვს ხშირად რამდენიმე რიცხვითი სახელით გამოვხატავთ, რომლებიც ცალ-ცალკე იწერება: ათას ცხრაას ორმოცდაათი, ცხრა ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი...

რიცხვითი სახელი გაორკეცებითაც იხმარება: სამ-სამი, ხუთ-ხუთი, ოც-ოცი, ას-ასი, ათას-ათასი...

გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი იხმარება ისეთი საგნის სახელთან, რომელიც შეიძლება დავთვალოთ: ათი ვაშლი, თორმეტი რვეული, თხუთმეტი მერხი, ოცი ფანქარი, ოცდახუთი ბავშვი...

რასაც ვერ დავთვლით, იმ საგნის სახელთან გარკვეული რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი არ იხმარება. მაგალითად, არ ითქმის: ორი სილამაზე, ხუთი ფქვილი, ათი ქვიშა, ოცი ნაცარი, ასი ჰაერი, ათასი მარილი...

2.1.4.3. *რიგობითი რიცხვითი სახელები*

რიგობითი რიცხვითი სახელი, როგორც ვიცით, აღნიშნავს საგნის რიგს და მოგვიგებს კითხვებზე: რიგით რომელი? მერამდენე? – პირველი, მეორე, მერვე, მეათე, მეოცე... რიგობითი სახელები, გარდა პირველისა, ნაწარმოებია რაოდენობითის ფუძისაგან მე — ე თავსართ-ბოლოსართით: მე-ორ-ე, მე-ათ-ე, მე-ოც-ე, მე-ას-ე, მე-ათას-ე...

მე-ერთ-ე რთულ რიცხვით სახელებთან გამოიყენება, ცალკე კი მის ნაცვლად პირველი იხმარება: ოცდამეერთე, ორმოცდამეერთე, სამოცდამეერთე, ოთხმოცდამეერთე, ას მეერთე, ათას მეერთე.

და-თი შეერთებული რიცხვითი სახელებისაგან რიგობითის მაწარმოებელი აქვს მეორე ნაწილს: ოცდახუთი > ოცდამეხუთე.

თუ რიცხვითი სახელი რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა, რიგობითის ფორმები აქვს უკანასკნელს: ას ორი > ას მეორე, ორი ათას ხუთი > ორი ათას მე-ხუთე.

რიგობითი სახელები, გარდა პირველისა, ყველა ბოლოხმოვნიანია.

2.1.4.5. *წილობითი რიცხვითი სახელები*

წილობითი სახელები ნაწარმოებია რიგობით რიცხვით სახელთაგან. ფუძედ გამოყენებულია რიგობითის ვითარებითი ბრუნვის ფორმა: მე-ორე-დ > მეორედ-ი, მესამე-დ > მესამედ-ი, მეათე-დ > მეათედ-ი, მეასედ > მეასედ-ი.

განცალკევებით დგას ნახევარი, რომელიც მეორედის ნაცვლად იხმარება.

რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან იშვიათად წილობითი ნა – ალ თავსართ-ბოლოსართითაც იწარმოება: ნა-სამ-ალ-ი (=მესამედი), ნა-ოთხ-ალ-ი (=მეოთხედი), ნა-ათ-ალ-ი (=მეათედი), ნა-ას-ალ-ი (=მეასედი).

ყველა წილობითი სახელი ბოლოთანხმოვნიანია: მესამედ-ი, მეათედ-ი.

2.1.4.6. *რიცხვით სახელთა ბრუნება*

დამოუკიდებლად ნახმარი რიცხვითი სახელი ისე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელი. ბოლოხმოვნიან რიცხვით სახელებს ფუძე ეკვეცებათ ნათესაობითსა და მოქმედებითში. რაოდენობით რიცხვით სახელებს, ჩვეულებრივ, წოდებითი ბრუნვა და ებ-იანი მრავლობითი არა აქვთ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი არსებითს ან წილობითს ახლავს.

ასეთ შემთხვევაში იგი ისე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის ზედსართავი სახელი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი იშვიათად შეიძლება წოდებითშიც შეგვხვდეს. მაგ.: ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო...

რაოდენობით რიცხვით სახელთან არსებითი სახელი მხოლობითში დაისმის: ორი ბიჭი ყანიდან მოდიოდა სოფლისაკენ.

შესაძლებელია, რომ რაოდენობითი რიცხვითი სახელი და არსებითი – ორივე ნარ-თანიან მრავლობითში იყოს დასმული: ორნი დანი...

2.1.5. ნაცვალსახელი

ნაცვალსახელი ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც იხმარება არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელების ნაცვლად გარკვეულ შემთხვევაში.

ნაცვალსახელი იმავე კითხვებზე მიუგებს, რაზედაც არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები: ვინ? როგორი? რამდენი?

ნაცვალსახელი არსებითისა და გასუბსტანტივებელი სხვა მეტყველების ნაწილების ეკვივალენტური სიტყვაა, მაგ.: "კაცი დაბრუნდა, ის ისევ ჩვენთან არის" (4). "ის" ნაცვალსახელია, ცვლის არსებით სახელს "კაცი"; "ძლიერი ყველაფერში გამოდგება, მას ყველგან სიამოვნებით იწვევენ". (5); "ძლიერი" ნიშნავს ძლიერ პიროვნებას – გასუბსტანტივებული ზედსართავია, "მას" კი – მისი კორელატი ნაცვალსახელია; "სამნი ქეიფობენ, ისინი მხიარულ ხასიათზე არიან". (6), სამნი ნიშნავს სამ მოქეიფეს. იგი გასუბსტანტივებული რიცხვითი სახელია, "ისინი" კი მისი კორელატი ნაცვალსახელია.

გამოყოფილია ნაცვალსახელთა ათი ჯგუფი: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი და უარყოფითი.

ზოგ ჯგუფს აქვს სპეციფიკური ბრუნება და მრავლობითი რიცხვის წარმოება.

2.1.5.1. *ნაცვალსახელის ჯგუფები*

ნაცვალსახელი ენაში ცოტაა, მაგრამ მნიშვნელობით მრავალფეროვანია, გამოიყოფა ნაცვალსახელთა რამდენიმე ჯგუფი:

1. **პირისა**: მე შენ, ის (იგი); ჩვენ, თქვენ, ისინი (იგინი), თავი. თავი არსებითი სახელია (მაგ., თავი დაიბანა), მაგრამ ხშირად ის პირის ნაცვალსახელად არის გამოყენებული (მაგ.: თავი ისახელა, თავი შეირცხვინა, თავი შეაკლა...).
2. **ჩვენებითი**: ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი, ამნაირი, ამისთანა, ამდენი...
3. **კუთვნილებითი**: ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი, თავისი...
4. **კითხვითი**: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? სადაური?..
5. **კითხვით-კუთვნილებითი**: ვისი? რისა?
6. **მიმართებითი**: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც...
7. **უარყოფითი**: არავინ, ვერავინ, ნურავინ, არაფერი, ვერაფერი...
8. **განსაზღვრებითი**: თვით, თვითონ, თითოეული, ყველა...
9. **განუსაზღვრელობითი**: ვიღაც, რაღაც, რომელიღაც; ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე...
10. **ურთიერთობითი**: ერთმანეთი, ერთურთი, ერთიმეორე..

2.1.5.2. *პირის ნაცვალსახელები. I და II პირის ნაცვალსახელები და მათი თავისებურება*

მე და ჩვენ I პირის ნაცვალსახელებია, შენ და თქვენ – II პირისა.

მე-ს უწოდებს კაცი თავის თავს, ხოლო ჩვენ სიტყვით იგი თავის თავთან ერთად სხვასაც (ან სხვებსაც) გულისხმობს.

შენ ნაცვალსახელით მივმართავთ ერთ პირს, თქვენ სიტყვით კი – რამდენიმეს (ორს ან მეტს). თავაზიანი მიმართვისას ერთ პირსაც თქვენობით მივმართავთ.

I და II პირის ნაცვალსახელები ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება, ოღონდ მე-ს ნათესაობითის მნიშვნელობით ჩემ ენაცვლება (თანდებულის დართვით: ჩემთვის, ჩემგან), ხოლო შენ და თქვენ ნაცვალსახელებს წოდებითში დასმულ სიტყვასთან ეკვეცებათ ნ: შე დალოცვილო, თქვე დალოცვილებო.

რომელი ბრუნვის მნიშვნელობით არის ნახმარი პირის ნაცვალსახელი, ადვილად გაირკვევა, თუ მას ბრუნვიან სახელს შევუნაცვლებთ:

ჩვენ, ირმები, ენით არ ვლაპარაკობთ (ვაჟა).

ჩვენ, ირმებმა, ტყეს შევაფარეთ თავი.

ჩვენ, ირმებს, ბევრი მტერი გვყავს.

ჩვენთვის, ირმებისთვის, ძნელი ასატანია მკაცრი ზამთარი.

2.1.5.3. *პირის ნაცვალსახელები ნათესაობითში*

პირის ნაცვალსახელები ნათესაობითის მნიშვნელობით მხოლოდ თანდებულით იხმარება: ჩემთვის, ჩემგან, ჩემკენ, ჩემ მიერ, ჩვენთვის, ჩვენგან, ჩვენკენ, ჩვენ მიერ; შენთვის, შენგან, შენკენ, შენ მიერ; თქვენთვის, თქვენგან, თქვენკენ, თქვენ მიერ.

2.1.5.4. *ჩვენებითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება*

ჩვენებითი ნაცვალსახელებია: ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი, ეგეთი, ისეთი; ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი; ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა; ამდენი, მაგდენი, იმდენი. ამათგან ბრუნების თვალსაზრისით თავისებურია ეს, ეგ, ის (იგი), ხოლო დანარჩენები ისევე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის ზედსართავი სახელები.

ეს, ეგ, ის (იგი) ჩვენებითიც არის და მესამე პირის ნაცვალსახელიც. ჩვენებითია მაშინ, როცა არსებითს ახლავს (ის კაცი, ეს საქმე, ეგ წიგნი), ხოლო პირისაა, როცა ზმნას უკავშირდება (ის მოვიდა, იგი წავიდა, ეგ გააკეთებს).

ეს გვიჩვენებს ჩემთან (1-ლ პირთან) მყოფს, აქ მყოფს.

ეგ გვიჩვენებს შენთან (მე-2 პირთან) მყოფს, მანდ მყოფს.

ის და იგი სინონიმებია და გვიჩვენებენ იქ (1-ლი და მე-2 პირებიდან მოშორებით) მყოფს.

ბრუნებისას განსხვავებაა იმის მიხედვით, დამოუკიდებლად (არსებითის გარეშე) არიან ისინი ნახმარი თუ არსებითთან ერთად. ამ ნაცვალსახელებს აქვთ ორ-ორი ფუძე: ერთი – სახელობითისათვის, მეორე – დანარჩენ ბრუნვათათვის. ეს ფუძეებია: ეს (ესე) – ამა, ეგ (ეგე) – მაგა, იგი – მა, ის (ისი) – იმა. მონაცვლე ფუძეები კვეცადია.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია ნ.

ჩვენებით ნაცვალსახელებს წოდებითი ბრუნვა არა აქვთ.

ჩვენებით ნაცვალსახელებს მრავლობითში მხოლოდ ოთხი ბრუნვა აქვთ.

ეს, ეგ, ის ნაცვალსახელთა დაკარგული ხმოვანი აღდგება ნარიან მრავლობითში და ც ნაწილაკის დართვისას: ესე-ნ-ი, ეგე-ნ-ი, ისი-ნ-ი; ესე-ც, ეგე-ც, ისი-ც.

2.1.5.5. *ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება არსებითთან ერთად*

არსებით სახელთან ჩვენებითი ნაცვალსახელი ორი ფორმით იხმარება:

სახელობითში დასმულ არსებითთან გვაქვს ეს, ეგ, ის,

ხოლო დანარჩენ ბრუნვებში, ორივე რიცხვში – ამ, მაგ, იმ.

2.1.5.6. *კითხვითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება*

კითხვითი ნაცვალსახელებია: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? სადაური? როდინდელი? ვისი? რისა? ამათგან ორი – ვისი? რისა? – კითხვასთან ერთად კუთვნილებასაც გამოხატავს, რის გამოც მათ კითხვით-კუთვნილებითს უწოდებენ.

კითხვით ნაცვალსახელთაგან ბრუნების დროს თავისებურებას იჩენს ვინ და რა.

ვინ ნაცვალსახელს ორი ფორმა აქვს ოთხი ბრუნვისათვის: ვინ – სახელობითსა და მოთხრობითში, ვის – მიცემითსა და ნათესაობითში.

2.1.5.7. *კუთვნილებითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება*

კუთვნილებითი ნაცვალსახელებია: ჩემი, შენი, მისი (ამისი, იმისი), ჩვენი, თქვენი, მათი (ამათი, იმათი), თავისი. ჩემი და ჩვენი პირველი პირის კუთვნილებას გამოხატავს, შენი და თქვენი – მეორე პირისას, დანარჩენები – მესამე პირისას.

კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება არ განსხვავდება ბოლოთანხმოვნიან ზედსართავთა ბრუნები-საგან. ჩემი და ჩვენი შვიდივე ბრუნვის ფორმით იხმარება, დანარჩენებს წოდებითის ფორმა არ გააჩნიათ.

კუთვნილებით ნაცვალსახელებს მიცემითსა და ვითარებითში -ს უნდა დაერთოს: ჩემ-ს (შენ-ს, ჩვენ-ს, თქვენ-ს, მათ-ს) მეგობარ-ს.

2.1.5.8. *მიმართებითი ნაცვალსახელები*

მიმართებითი ნაცვალსახელებია: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, ვისიც, რისაც, სადაურიც, როდინდელიც.

მიმართებითი ნაცვალსახელები იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელებისაგან -ც (-ცა) ნაწილაკის დართვით. მაგ., ვინ, რა, რომელი კითხვითი ნაცვალსახელებია, ვინც, რაც, რომელიც – მათგან ნაწარმოები მიმართებითი ნაცვალსახელები.

მიმართებითი ნაცვალსახელი აერთებს ერთ წინადადებას მეორესთან: შემცდარია, ვინც გულს იტეხს.

2.1.5.9. *უარყოფითი ნაცვალსახელები*

უარყოფითი ნაცვალსახელებია: არავინ, ვერავინ, ნურავინ, ნუვინ; აღარავინ, ვეღარავინ, ნუღარავინ; არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი; აღარაფერი, ვეღარაფერი, ნუღარაფერი; არავითარი, ვერავითარი; არარა, ვერარა...

არავინ (ეგრეთვე: ვერავინ, ნურავინ, ნუვინ) ისევე იბრუნვის, როგორც მარტივი ვინ: არავინ, არავის; ვერავინ, ვერავის; ნურავინ, ნურავის; ნუვინ, ნუვის.

ფერ-ით ნაწარმოები ნაცვალსახელები კუმშვადია. არა-ფერ-ი, არა-ფერ-მა, არა-ფერ-ს, არა-ფრ-ის, არა-ფრ-ით, არა-ფრ-ად.

არარა და ნურა, ჩვეულებრივ, სამ ბრუნვაში იხმარება: სახელობითში (არარა), მიცემითსა (არარას) და ვითარებითში (არარად). ვერა ნაცვალსახელი კი ორ ბრუნვაში იხმარება: სახელობითსა (ვერა) და მიცემითში (ვერას).

ნურა ნაცვალსახელის ფორმებია: სახ. ნურა (იმისი ნურა გინდა), მიც. ნურას (იმას ნურას ეტყვი), ვით. ნურად (იმის ნათქვამს ნურად ჩააგდებ).

არარა და ვერარა სახელობითში სრული სახით არის წარმოდგენილი, ოღონდ შეიძლება გაითიშოს ზმნით: იყო და არა იყო რა (ე.ი. არარა იყო, ანუ არაფერი იყო), ვერა ნახა რა (ე.ი. ვერარა ნახა).

2.1.5.10. *განსაზღვრებითი ნაცვალსახელები*

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: თვით, თვითონ, თითოეული, ყოველი, ყველა, თავად, სხვა.

თვით და თვითონ უბრუნველი ნაცვალსახელებია. თავისებურებას იჩენს ნაცვალსახელი ყველა, რომელიც დამოუკიდებლადაც იხმარება და არსებითთანაც: ყველა ბუზი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო (ანდ.). ამ წინადადებაში ყველა ორჯერ არის ნახმარი. პირველად ის სახელს ახლავს და განსაზღვრებაა, მეორედ დამოუკიდებლად არის ნახმარი, ზმნას უკავშირდება და ქვემდებარეა.

ნაცვალსახელი ყველა უკვეცელია. არ აქვს ვითარებითი ბრუნვის ფორმა. მრავლობითში მხოლოდ ნარიანი სახელობითი ეწარმოება (ყველა-ნ-ი) და ზმნაც მრავლობით რიცხვში შეეწყობა (ყველანი მოგროვდნენ).

2.1.5.11. *განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები*

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: ვიღაც, რაღაც, რომელიღაც; ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე; კაცი, ერთი, ზოგი (შეერთებით: ზოგიერთი).

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა უმეტესობა ნაწარმოებია კითხვითი ნაცვალსახელებისაგან -ღაც(ა) ან -მე ნაწილაკის დართვით.

კაცი არსებითი სახელია, ერთი – რიცხვითი, მაგრამ ზოგჯერ ეს სიტყვები განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: "მაგას კაცმა პასუხი უნდა მოსთხოვოს". აქ კაცმა მნიშვნელობით იგივეა, რაც ვინმემ, ვიღაცამ. "იყო ერთი ღარიბი კაცი". ერთი აქ ვიღაც ნაცვალსახელის მნიშვნელობით არის ნახმარი. მაშასადამე, კაცი და ერთი დასახელებულ მაგალითებში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია.

-მე და -ღაცა ნაწილაკები ნაცვალსახელებს ერთვის და ბრუნვის ნიშნები მათ მოსდევს.

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს ებ-იანი მრავლობითიც ეწარმოებათ: ვინმეები, ვინმეებმა, ვინმეებს... რამეები, რამეებმა, რამეებს... ვიღაცები, ვიღაცებმა, ვიღაცებს... და არა: ვიღაცეები, ვიღაცეებმა, ვიღაცეებს... რაღაცები, რაღაცებმა, რაღაცებს... და არა: რაღაცეები, რაღაცეებმა, რაღაცეებს...

ეს ნაცვალსახელები გაორკეცებითაც იხმარება და დეფისით იწერება: ვიღაც-ვიღაცები, რაღაც-რაღაცები.

რომელიმე და რამდენიმე ისევე იბრუნვის, როგორც ვინმე, ოღონდ მათ მრავლობითი არა აქვთ. ამ ნაცვალსახელებთან არსებითი სახელი მხოლობითში დაისმის. მაგ.: რომელიმე ამხანაგი, რამდენიმე ბავშვი და არა: რომელიმე ამხანაგები, რამდენიმე ბავშვები.

არსებითთან ბრუნებისას განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები უცვლელია: ვიღაც კაცი, ვიღაც კაცმა... რაღაც ამბავი, რაღაც ამბავმა... რომელიღაც ფრინველი, რომელიღაც ფრინველმა...

2.1.5.12. *-ვე ნაწილაკიანი ნაცვალსახელების ბრუნება*

-ვე ნაწილაკიან სიტყვათაგან შეცდომები გვხვდება იგივე და ერთი და იგივე ნაცვალსახელთა ხმარებისას. უნდა გვახსოვდეს, რომ იგივე ნაცვალსახელს -ვე ნაწილაკი ბრუნვის ფორმაზე ერთვის, ხოლო ერთი და იგივე ნაცვალსახელის ბრუნებისას -ვე ნაწილაკი ფუძეზე დაერთვის ბრუნვის ნიშნის წინ.

ცალკე ხმარებისას ერთი და იგივე ნაცვალსახელის ორივე ნაწილი იცვლება.

შეცდომაა: იგივემ, იგივეს, იგივეთი, იგივედ (სწორია: იმავემ, იმავეს, იმავეთი, იმავედ).

2.1.6. ზმნა

ზმნა ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას. მაგ., მღერის გამოხატავს მოქმედებას, ზის – მდგომარეობას.

ზმნა ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილია. იგი იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით. მაგ., ვმღერი (მე), მღერი (შენ), მღერის (ის), ვმღერით (ჩვენ), მღერით (თქვენ), მღერიან (ისინი) ერთი ზმნის სხვადასხვა პირისა და რიცხვის ფორმებია.

ზმნა მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვაა (წერს – იწერება მოქმედებას – დინამიკას გამოხატავენ, სწერია კი – მდგომარეობას).

სახელებისგან განსხვავებით, რომელთაც მხოლოდ ორი კატეგორია აქვთ, ზმნას მრავალი კატეგორია აქვს: რიცხვი, დრო, კილო, ჯერობა, გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, მწკრივი.

საწყისი და მიმღეობა, ფართო გაგებით, ზმნაში შედის, მათ სახელზმნებსაც უწოდებენ სახელად გადაქცევის უნარის გამო. მათ შენარჩუნებული აქვთ ზმნის რამდენიმე კატეგორია (გეზი, ორიენტაცია, დრო, გვარი...), ხოლო გაარსებითების შედეგად უჩნდებათ ბრუნვის კატეგორია.

2.1.6.1. *პირველადი და ნასახელარი ზმნები*

ზმნა პირველადია ან ნასახელარი.

პირველადია ზმნა, რომელიც არ არის ნაწარმოები სხვა მეტყველების ნაწილისაგან. ასეთი ზმნებია: დგას, მკის, ტეხს, წერს, ჭრის, ხტის, აქებს, აღებს და მრავალი სხვ.

ნასახელარია ზმნა, რომელიც ნაწარმოებია რომელიმე სახელისაგან. მაგ., ნასახელარი ზმნებია სახლდება (სახლ-ისაგან), თეთრდება (თეთრ-ისაგან), სამდება (სამ-ისაგან), იჩემებს (ჩემ-ისაგან); ასახლებს, ათეთრებს, ასამებს, აჩემებს.

2.1.6.2. *გრამატიკული პირი და რიცხვი*

პირი არის ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს მოუბარს ან თანამოუბარს, ან კიდევ მათი საუბრის საგანს. ამის მიხედვით პირი სამია გრამატიკაში: პირველი, მეორე და მესამე. მაგ., ვიზრდები (მე), ვიზრდებით (ჩვენ) პირველი პირის ფორმებია, იზრდები (შენ), იზრდებით (თქვენ) – მეორე პირისა, იზრდება (ის), იზრდებიან (ისინი) – მესამე პირისა.

პირი შეიძლება იყოს მხოლობითში ან მრავლობითში.

მხოლობითშია პირი, რომელიც გულისხმობს ერთ საგანს: ვმღერი (მე), მღერი (შენ), მღერის (ის).

მრავლობითშია პირი, რომელიც გულისხმობს ერთზე მეტ საგანს: ვმღერით (ჩვენ), მღერით (თქვენ), მღერიან (ისინი).

პირი არის ზმნის კატეგორია, რომელიც გამოხატავს სუბიექტის ან ობიექტის დამოკიდებულებას მოუბარ პირთან: თუ სუბიექტი ან ობიექტი მოუბარია, ის, შესაბამისად, იქნება ან სუბიექტური პირველი პირი (ვწერ მე), ან ობიექტური პირველი პირი (მწერს მე); თუ ვისაც მიმართავენ, სუბიექტია ან ობიექტი, ის იქნება მეორე სუბიექტური პირი (ხარ შენ, მოხვალ შენ) ან ობიექტური მეორე პირი (ჩაგწერა შენ); მესამე სუბიექტური ან ობიექტური პირი დიალოგში არ მონაწილეობს: წერს ის მას; სწერს ის მას მას.

2.1.6.3. *პირთა რაოდენობა ზმნის ერთ ფორმაში. გამორკვევის ხერხი*

ზმნები პირთა რაოდენობის მიხედვით სამგვარია: ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი. ერთპირიან ზმნაში ერთი პირის გაგებაა მოცემული, ორპირიანში – ორისა, სამპირიანში – სამისა.

რომ გამოვარკვიოთ, თუ რამდენი პირია ზმნის ერთ ფორმაში, უნდა შევუწყოთ შემდეგი პირის ნაცვალსახელები უთანდებულოდ: მე, შენ, იგი (ის), ჩვენ, თქვენ, იგინი (ისინი), მან, მას, მათ – და

რამდენიც შეეწყობა, იმდენპირიანი იქნება ის. მაგ., დაიმალა, დამალა და დაუმალა ზმნებს რომ აღნიშნული ნაცვალსახელები შევუწყოთ, მივიღებთ: დაიმალა იგი (ის), დამალა მან იგი (ის), დაუმალა მან მას იგი (ის). პირველ ზმნას ერთი პირის ნაცალსახელი შეეწყო (იგი), მეორეს – ორი (მან, იგი), მესამეს – სამი (მან, მას, იგი). ე.ი. დაიმალა ერთპირიანი ზმნა ყოფილა, დამალა – ორპირიანი, დაუმალა კი – სამპირიანი.

2.1.6.4. *სუბიექტური და ობიექტური პირი*

გრამატიკული პირი ორგვარია: მოქმედი და სამოქმედო. მაგ., გხატავ (მე შენ) ორპირიანი ზმნაა. პირველი პირი მოქმედია (გხატავს მე), მეორე კი პირველი პირის სამოქმედო საგანია (გხატავ შენ).

მოქმედ პირს სუბიექტური ჰქვია, სამოქმედოს – ობიექტური. ორპირიან ზმნაში ერთი პირი სუბიექტურია, მეორე – ობიექტური. მაგ., გხატავ ფორმაში პირველი პირია სუბიექტური, მეორე – ობიექტური.

ერთპირიან ზმნაში წამოდგენილია მხოლოდ სუბიექტური პირი (პირველი, მეორე ან მესამე): ვდგები მე, დგები შენ, დგება ის.

სამპირიან ზმნაში ერთი პირი სუბიექტურია, ორი – ობიექტური. მაგ., დაგიხატე (მე შენ ის) ფორმაში პირველი პირი სუბიექტურია, მეორე და მესამე – ობიექტური. დამიხატე შენ მე ის: მეორე პირია სუბიექტური, პირველი და მესამე – ობიექტური. დაუხატა მან მას ის: სამივე პირი მესამეა. ამათგან ერთი (მან) სუბიექტურია, ორი (მას, ის) – ობიექტური.

2.1.6.5. *ობიექტური პირები და მათი ერთმანეთისაგან გარჩევის ხერხი*

ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. სამპირიან ზმნაში ორივეა, ორპირიანში – ერთ-ერთი (პირდაპირი ან ირიბი). პირდაპირია, თუ ობიექტური პირის ფარდი სახელი რა ქნა? (შესაბამისად: რა ვქენი? რა ქენი?) კითხვაზე ზმნას სახელობითის ფორმით ეწყობა, და ირიბია, თუ ასეთი სახელი მიცემითშია. მაგ., ვაქებ (მე მას) და ვეფერები (მე მას) ორპირიანი ზმნებია. პირველი პირი ორივე ზმნაში სუბიექტურია, მესამე – ობიექტური, მაგრამ როგორი – პირდაპირი თუ ირიბი? თუ დავსვამთ კითხვას: რა ვქენი? პასუხი იქნება: ვაქე ის, მოვეფერე მას. ობიექტური პირის ფარდი სახელი პირველ ზმნას სახელობითში შეეწყო, მეორესთან კვლავ მიცემითშია. ე.ი. ობიექტური პირი ვაქებ ზმნასთან პირდაპირი ყოფილა, ვეფარები ზმნასთან კი – ირიბი.

თუ ობიექტური პირი პირველია ან მეორე, უბრუნველ პირის ნაცვალსახელს გვერდში უნდა ამოვუყენოთ (ან შევუნაცვლოთ) არსებითი სახელი და გავიგებთ, რომელი ბრუნვა იგულისხმება და როგორია ობიექტური პირი – პირდაპირი თუ ირიბი. მაგ., გხატავს (ის შენ) და გესალმება (ის შენ) ორპირიანი ზმნებია. მესამე პირი სუბიექტურია, მეორე – ობიექტური. დავუსვათ კითხვა: რა ქნა? პასუხი: დაგხატა შენ (ამხანაგი), მოგესალმა შენ (ამხანაგს). არსებითი სახელის მოშველიებით ადვილად გაირკვა, რომ ობიექტური პირი გხატავს ზმნასთან პირდაპირი ყოფილა, გესალმება ფორმასთან კი – ირიბი.

გრამატიკული პირი სამგვარია: მოქმედების ინიციატორი არის სუბიექტური პირი; სამოქმედო პირი პირდაპირობიექტურია, ხოლო ვისთვისაც ან რისთვისაც ხდება მოქმედება (სასარგებლოდ ან საზიანოდ), ის ირიბობიექტური პირია: "მან მეზობელს სარკე გაუტეხა" – "მან" საკუთარი ინიციატივით მოქმედებს და სუბიექტია (სუბიექტ-ინიციატორი); "მეზობელს", ვის საზიანოდაც იმოქმედა სუბიექტმა, ირიბი ობიექტია; "სარკე", რაზეც იმოქმედა სუბიექტმა, პირდაპირი ობიექტია.

თუ ზმნას ორი ობიექტი აქვს და ერთი მიცემით ბრუნვაში დგას, ხოლო მეორე – სახელობით ბრუნვაში, პირველი არის ირიბი ობიექტი, მეორე – პირდაპირი ობიექტი. როცა ორივე ობიექტი მიცემით ბრუნვაშია ("ბებია შვილიშვილს ქუდს უქსოვს"), სამოქმედო ("ქუდს") იქნება პირდაპირი ობიექტი; ვისთვისაც ხდება მოქმედება ("შვილიშვილს") – იქნება ირიბი ობიექტი.

ფორმის მიხედვით რომ გამოვიცნოთ ობიექტები, საჭიროა ზმნა "რა ქნა?" კითხვის საპასუხო ფორმით წარმოვადგინოთ: "რა ქნა ბებიამ?" "ბებიამ შვილიშვილს ქუდი მოუქსოვა". "ქუდი" პირდაპირი ობიექტია, რადგან სახელობით ბრუნვაში დადგა, "შვილიშვილს" კი ირიბი ობიექტია.

2.1.6.6. *სუბიექტური და ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები*

სუბიექტურ პირს ზმნის ფორმაში თავისი ნიშანი აქვს, ობიექტურს – თავისი. მაგ., პირველი პირი ვხატავ ფორმაში სუბიექტურია, მხატავ ფორმაში – ობიექტური. სუბიექტურ პირს ვ თავსართი გამოხატავს, ობიექტურს – მ.

სუბიექტური პირის ნიშნები პირველსა და მეორე პირში თავსართებია, მესამე პირში – ბოლოსართები.

2.1.6.7. *პირველი სუბიექტური პირის ნიშანი*

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ორივე რიცხვში ვ თავსართია, მრავლობით რიცხვში კი თ ბოლოსართი გამოხატავს. მაგ.: ვ-მღერი – ვ-მღერი-თ, ვ-წერ – ვ-წერ-თ, ვ-ხატავდი – ვ-ხატავდი-თ.

თუ სუბიექტური პირველი პირი ობიექტურ მეორე პირთან კომბინაციაშია წარმოდგენილი, მატერიალურად აღინიშნება მხოლოდ ობიექტის მეორე პირი ("მე გხატავ შენ"), სუბიექტი კი ნიშნით არ იქნება წარმოდგენილი, რაც მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია (შდრ. "ის გხატავს შენ": "გხატავს" ფორმაში წარმოდგენილია როგორც ობიექტის, ისე სუბიექტის ნიშანი.

2.1.6.8. *მეორე სუბიექტური პირის ნიშანი*

მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ორიოდე ზმნაში ხ თავსართია, მრავლობით რიცხვს კი აქაც თ ბოლოსართი გამოხატავს. მაგ.: ხ-არ – ხ-არ-თ, მო-ხ-ვალ – მო-ხ-ვალ-თ, მო-ხ-ვედი – მო-ხ-ვედი-თ.

ძველ ქართულში (V-VII სს) მე-2 სუბიექტური პირის ნიშნად ყველა ზმნას ხ ჰქონდა: ხ-იხილე, ხ-ჭამე, ხ-წერე...

მე-2 სუბიექტური პირის ნიშანი იყო ჰ.

ხმოვნით დაწყებულ ზმნებს პირის ნიშანი არა აქვთ, ე.ი. დაკარგულია. თანხმოვნებით დაწყებულ ზმნებთან კი იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ჰ ან მისი ბგერისნაცვალი ს. ამათგან ჰ შეიძლება შეგვხვდეს ბ, პ, ფ; გ, კ, ქ; ყ თანხმოვნების წინ. მაგ.: ჰ-ბედავ, ჰ-ფეთქავ, ჰ-გალობ, ჰ-კლავ, ჰ-ქარგავ, ჰ-ყიდი.

ს შეიძლება შეგვხვდეს ცხრა თანხმოვნის წინ: დ, ტ, თ; ძ, წ, ც; ჯ, ჭ, ჩ. მაგალითები: ს-დებ, ს-ტეხ, ს-თლი, ს-ძებნი, ს-წერ, ს-ცხოვრობ, ს-ჯავრობ.

მეორე პირის სუბიექტური ნიშნები ჰ და ს თანამედროვე ქართულში, ჩვეულებრივ, არ იხმარება, რაც შეცდომად არ ითვლება: უნიშნო მეორე პირის ფორმა პირველი და მესამე პირის ფორმათაგან მაინც კარგად არის გარჩეული და მათში არ ირევა.

თუ სუბიექტური მეორე პირი ობიექტურ პირველ პირთან კომბინაციაშია წარმოდგენილი, მატერიალურად აღინიშნება ობიექტური პირველი პირი, სუბიექტი კი ნიშნით არ იქნება წარმოდგენილი ("მხატავ მე შენ"), რაც აგრეთვე მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია.

2.1.6.9. *მესამე სუბიექტური პირის ნიშნები*

მესამე სუბიექტური პირის ნიშნებია მხოლობითში -ს, -ა, -ო ბოლოსართები, მრავლობითში – -ენ, -ან, -ნენ, -ნ, -ეს. მაგალითები: აქებ-ს, აქებდ-ა, აქ-ო; აქებ-ენ, მღერი-ან, აქებდ-ნენ, აქო-ნ, აქ-ეს.

ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები, ზმნის ფუძე ჰქვია. მაგ., ვაქებთ ზმნის ფუძეა აქებ, ვიმღეროთ ზმნისა – იმღერო, ვხატავდეთ ზმნისა – ხატავდე.

სუბიექტური მესამე პირის ნიშანი -ს მატერიალურად აღარ გამოიხატება ობიექტური პირის მრავლობითობის -თ სუფიქსის წინ: გაქებ-თ (<გაქებსთ). -ს დაკარგულია ფონეტიკური მიზეზით – ქართულ ენაში -ბსთ სიტყვის ბოლოს თანხმოვანთა არაბუნებრივი კომპლექსია და გამარტივდა -ს სუფიქსის დაკარგვით).

2.1.6.10. *ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები*

ობიექტური პირის ნიშნები სამივე პირში თავსართებია. პირდაპირსა და ირიბს პირველსა და მეორე პირში ერთნაირი ნიშნები აქვთ, მესამე პირში კი მათ შორის განსხვავებაა: ირიბს აქვს ნიშანი, პირდაპირს – არა.

2.1.6.11. *პირველი ობიექტური პირის ნიშანი*

პირველი ობიექტური პირის ნიშანია მხოლობითში – მ, მრავლობითში – გვ.

ა. ობიექტური პირი პირდაპირია: მ-ნახა (მე), გვ-ნახა (ჩვენ), მ-ხატავს (მე), გვ-ხატავს (ჩვენ).

ბ. ობიექტური პირი ირიბია: მ-ესალმება (მე), გვ-ესალმება (ჩვენ), მ-კითხა (მე), გვ-კითხა (ჩვენ).

2.1.6.12. *მეორე ობიექტური პირის ნიშანი*

მეორე ობიექტური პირის ნიშანია გ- თავსართი ორივე რიცხვში, მრავლობით რიცხვს კი თ ბოლოსართი გამოხატავს. მაგ.:

ა. ობიექტური პირი პირდაპირია: გ-ნახა (შენ), გ-ნახა-თ (თქვენ); გ-ხატავს (შენ), გ-ხატავ-თ (ის თქვენ, ან: მე თქვენ).

ბ. ობიექტური პირი ირიბია: გ-ესალმება (შენ), გ-ესალმება-თ (თქვენ); გ-წერს (შენ), გ-წერ-თ (ის თქვენ, ან: მე თქვენ).

თუ სუბიექტური პირი მრავლობითშია და ეს ზმნაში აფიქსით არის გამოხატული, მეორე ობიექტური პირის მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღარ აღინიშნება. მაგ., როცა ვამბობთ გ-ხატავ-თ მე თქვენ, ან ის თქვენ, თ მეორე ობიექტური პირის მრავლობითობას გამოხატავს; მაგრამ თუ ეს ფორმა გულისხმობს პირველ სუბიექტურ პირს მრავლობითში (გ-ხატავ-თ ჩვენ შენ; ან: გ-ხატავ-თ ჩვენ თქვენ), მაშინ თ სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშანია და მეორე ობიექტური პირის მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღარ აღინიშნება.

2.1.6.13. *მესამე ობიექტური პირის ნიშანი*

მესამე ობიექტურ პირს, თუ ის პირდაპირია, ნიშანი არ უნდა; თუ ირიბია და ზმნის ფუძე თანხმოვნით იწყება, ჰ ან ს თავსართი ექნება ორივე რიცხვში:

ს იხმარება ცხრა თანხმოვნის წინ (დ, ტ, თ; ძ, წ, ც; ჯ, ჭ, ჩ): მი-ს-დევს, მო-ს-ტყდა, ს-თხოვს, მო-ს-ძახის, მი-ს-წერა, მო-ს-ცილდა, გა-ს-ჯავრებია, მო-ს-ჭიდა, მი-ს-ჩხავის.

ჰ, ჩვეულებრივ, შვიდი თანხმოვნის წინ იხმარება (ბ, პ ფ; გ, კ, ქ; ყ): მი-ჰ-ბაძა, მო-ჰ-პარა, მო-ჰ-ფინა, მო-ჰ-გვარა, ჰ-კითხა, მო-ჰ-ქლიბა, მი-ჰ-ყვება. ხმოვნის წინ ჰ იკარგება: ეფარება (– ჰ-ეფარება).

მესამე ირიბი ობიექტის მრავლობითობა ზოგჯერ თ ბოლოსართით არის გამოხატული: ახალგაზრდებს გული აუჩუყდათ; ხოხბებს მამლის დანახვაზე თავზარი დაეცათ.

ორ- და სამპირიან ზმნებში ერთდროულად შეიძლება იყოს ორი პირის ნიშანი: მ-ხატავ-ს, მ-ესალმებ-ა, მო-მ-წერ-ს, გა-გვ-იკეთ-ა.

ზოგიერთი ორპირიანი ზმნა ერთპირიანად არის ქცეული, პირის ნიშანი კი ორი აქვს შერჩენილი. ასეთებია: მ-ძინავ-ს, მ-ღვიძავ-ს, მ-ეძინებ-ა და სხვ. დაკარგულია მესამე პირი, მისი ნიშანი კი ზმნაში შენახულია.

2.1.6.14. *ინვერსია*

სუბიექტური ნიშანი, როგორც ვიცით, სუბიექტურ პირს გამოხატავს, ობიექტური ნიშანი კი – ობიექტურს. მაგრამ ეს წესი ზოგჯერ ირღვევა: პირის ნიშნის დანიშნულება შებრუნებულია: სუბიექტური ნიშანი ობიექტურ პირს გამოხატავს, ობიექტური ნიშანი კი – სუბიექტურს. მაგ., ვაქებ, ვაქე, მიქია ფორმებში პირველი პირი სუბიექტურია, რომელიც პირველ ორ ფორმაში სუბიექტური ნიშნით (ვ-თი) არის გამოხატული, მესამეში კი – ობიექტური ნიშნით (მ-თი). მაშასადამე, მიქია ფორმაში პირის ნიშნის დანიშნულება შებრუნებულია.

პირის ნიშნის დანიშნულების შებრუნებას ინვერსია ჰქვია, თვით ფორმას – ინვერსიული. მაშასადამე, მიქია ინვერსიული ფორმაა.

ინვერსია, როგორც წესი, მესამე სერიის გარდამავალ ზმნებთან გვაქვს (ვ-აკეთებ – გა-მ-იკეთები-ა; ვ-წერ – და-მ-ი-წერი-ა...); თუმცა, ქართულ ენაში გამოყოფენ ზმნებს, რომლებიც პირველსა და მეორე სერიაშიც ინვერსიულად ასახავენ რეალურ სუბიექტსა და ობიექტს: მ-იყვარ-ს მე ის, მო-მ-წონ-ს მე ის, მი-მ-აქვს მე ის, მი-მ-ყავს მე ის, მ-ინდ-ა მე ის და სხვა.

2.1.6.15. *ზმნის რთული ფორმები*

ზმნის ფორმა მარტივია ან რთული. მაგ., მარტივია მიდის, მირბის, მაგრამ რთულია ამავე ზმნათა პირველი და მეორე პირის ფორმები: მივდივარ, მიდიხარ, მივრბივარ, მირბიხარ. ზოგიერთი ზმნა რთულია სამივე პირში: გავზრდილიყავ, გაზრდილიყავ, გაზრდილიყო.

რთულ ფორმებში ხშირად პირველი სუბიექტური პირი ორმაგად არის აღნიშნული: მივდივარ, ვზივარ, წავსულვარ...

2.1.6.16. *მეშველი ზმნა*

რთული ფორმების მაწარმოებელ ზმნას მეშველი ჰქვია. ასეთი ზმნებია: ვარ, ხარ, იყავ, იყო.

მაგ.: გავზრდილვარ, გაზრდილხარ, გავზრდილიყავ, გავზრდილიყო.

2.1.6.17. *პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები*

ზოგიერთი ზმნა მარტო მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმით იხმარება, პირველი და მეორე პირისა და მრავლობითი რიცხვის ფორმები კი არ ეწარმოება. ასეთ ზმნებს პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები ჰქვია.

პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები ბუნების მოვლენებს გამოხატავენ: წვიმს, თოვს, ცივა, ცხელა, თბილა გრილა, ბნელა...

2.1.6.18. *პირში მონაცვლე ზმნები*

გვაქვს სინონიმური მნიშვნელობის ზმნები, რომლებიც ერთმანეთს პირში ენაცვლებიან: ერთი ჩვეულებრივ საუბარში (მახლობელთან, თანატოლთან...) იხმარება, მეორე – მორიდებულში და პატივისცემას გამოხატავს. ასეთ ზმნებს პირში მონაცვლე ზმნები ჰქვია.

პირში მონაცვლე ზმნებია: არის || გახლავს, ხარ || ბრძანდები, ჭამა || მიირთვა, თქვა || ბრძანა, დაჯდა || დაბრძანდა და სხვ.

2.1.6.19. *რიცხვში მონაცვლე ზმნები*

სინონიმური მნიშვნელობის ზმნებს, რომელთაგანაც ერთი მხოლობითში იხმარება და მეორე – მრავლობითში, რიცხვში მონაცვლე ზმნები ჰქვია.

გარდაუვალ ზმნებში შენაცვლება სუბიექტური პირების რიცხვში ხდება, გარდამავალში – პირდაპირობიექტური პირებისაში.

სუბიექტური პირების შენაცვლება რიცხვში

1. ზი, ჯედ (ჯექ) || სხედ; ზი ან ჯედ (ჯექ) ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები იხმარება მხოლობით რიცხვში, სხედ ფუძისაგან ნაწარმოები – მრავლობითში: ვზივარ, ზიხარ, ზის – ვსხედვართ, სხედხართ, სხედან; ვჯდები, ჯდები, ჯდება – ვსხდებით, სხდებით, სხდებიან; დავჯექი (დავჯედი), დაჯექი (დაჯედი), დაჯდა – დავსხედით, დასხედით, დასხდნენ.

სხედ ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები ასევე იხმარება, თუ ქვემდებარე კრებითი სახელით არის გადმოცემული: ხალხი (მოწაფეობა, ახალგაზრდობა) ისხდა.

2. ვარდნა || ცვივნა: ვარდნა ერთზე ითქმის, ცვივნა – ბევრზე: იგი გარეთ გავარდა და ხალხიც გაცვივდა; ხიდან მოტეხილი ტოტი ვარდება – ხიდან ფოთოლი ცვივა.

3. გდება || ყრა: ქვა გდია – ქვები ყრია; ხის ძირში ერთი ფოთოლი ეგდო – ხის ძირში ჩამოცვენილი ფოთოლი ეყარა.

4. მობმა || მოსხმა: ერთი ნაყოფის გამოღებას მობმა ჰქვია, ბევრისას – მოსხმა. ამ ვაზს შარშან ერთი მტევანი ება, წელს კი ბევრი ასხია.

პირდაპირობიექტური პირების შენაცვლება რიცხვში

რიცხვში მონაცვლე ფუძეებისაგან ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებში შენაცვლება ხდება პირდაპირობიექტური პირების რიცხვში:

1. ქვა გადააგდო – ქვები გადაყარა; ფოთოლი გადააგდო – ფოთოლი გადაყარა (ფოთოლი აქ კრებითი სახელია).
2. ამ ვაზმა შარშან ერთი მტევანი მოიბა, წელს კი ბევრი მოისხა.

2.1.6.20. *გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები*

ისეთ ზმნას, რომელიც პირდაპირობიექტურ პირს შეიცავს, გარდამავალი ჰქვია; თუ ასეთ პირს არ შეიცავს, – გარდაუვალი. ერთპირიან ზმნაში მარტო სუბიექტური პირია, სამპირიანში ერთ-ერთ პირად ყოველთვის პირდაპირობიექტურია, ორპირიან ზმნაში კი სუბიექტური და ერთ-ერთი ობიექტური პირია: პირდაპირი ან ირიბი. მაშასადამე, ერთპირიანი ზმნები გარდაუვალია, სამპირიანი – გარდამავალი, ორპირიანი კი გარდამავალია ან გარდაუვალი.

2.1.6.21. *ზმნისწინი. ზმნისწინის რაობა და ჯგუფები*

ზმნისწინი ჰქვია ზმნის წინა ნაწილს, რომელიც რამდენადმე უცვლის მას მნიშვნელობას. მაგ., ვხატავ, ხატავ, ხატავს ფორმებს შეიძლება თავში დაერთოს მარცვლები: და-, ჩა-, გადა-, გადმო-... ითქმის: და-ვხატავ, და-ხატავ, და-ხატავს; გადა-ვხატავ, გადა-ხატავ, გადა-ხატავს და ა.შ.

დღევანდელ ქართულში 15 ზმნისწინია, რომელთაგანაც რვა ერთმარცვლიანია, შვიდი – ორმარცვლიანი.

ერთმარცვლიანი ზმნისწინებია: მი-, მო-, ა-, და-, ჩა-, შე-, გა-, წა-.

ორმარცვლიანი ზმნისწინებია: ამო-, ჩამო-, შემო-, გამო-, გადა-, გადმო-, წამო-.

მო- დართული ზმნისწინები რთულია, დანარჩენები – მარტივი.

ზმნისწინი ზმნას თავში დაერთვის და მას ან გრამატიკულ მნიშვნელობას უცვლის, ან ლექსიკურ მნიშვნელობას. გრამატიკაში განსახილველია მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ზმნისწინი დაკავშირებულია გრამატიკულ მნიშვნელობასთან.

ზმნისწინები ორ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფს ქმნიან მო- და ყველა მო- დართული შედგენილი ზმნისწინები. ისინი ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებას აღნიშნავენ მოლაპარაკე პირის გათვალისწინებით და ქმნიან ორიენტაციის კატეგორიას: მო- გამოხატავს მიმართულებას მოლაპარაკისკენ (მოდის, მოაქვს, მოცურავს...) ყველა სხვა ზმნისწინი, რომლის შემადგენლობაში არ არის მო- – მიმართულებას მოლაპარაკის საპირისპირო მხარეს (მიდის, შედის, გადის...). მო — ს გარდა ყველა სხვა ზმნისწინი გამოხატავს მიმართულებას სივრცეში მდებარე რომელიმე პუნქტისკენ და ისინი ქმნიან გეზის კატეგორიას.

ეს მიმართულებებია: ქვემოდან ზევით (ავარდა, ააგდო, აიყვანა...), ზევიდან ქვევით ზედაპირზე (დავარდა, დააგდო, დაიყვანა...), ზევიდან ქვევით სიღრმეში (ჩავარდა, ჩააგდო, ჩაიყვანა...), გარედან შიგნით (შევარდა, შეაგდო, შეიყვანა...) და სხვა.

თუ მო- შეუერთდა გეზის ზმნისწინებს, გამოიხატება როგორც რაიმე სახის მიმართულება, ასევე ორიენტაცია პირველი პირისკენ: ამოდის ქვემოდან ზევით და მოლაპარაკისკენ, შემოდის გარედან შიგნით და მოლაპარაკისკენ და სხვ.

თუ გეზის ზმნისწინებს მო- არ უძღვის წინ, მოქმედება მიმართულია მოლაპარაკის საპირისპირო მხარეს, ორიენტაცია საიქეთოა (ადის – ქვემოდან ზევით და მოლაპარაკის საპირისპირო მხარეს, გადის – შიგნიდან გარეთ და მოლაპარაკის საპირისპირო მხარეს, შედის – გარედან შიგნით და მოლაპარაკის საპირისპირო მხარეს და ა.შ.).

2.1.6.22. *ზმნისწინები ძველი სახით დღევანდელ ქართულში (მართლწერა)*

ზოგ ზმნისწინს ძველად სხვა სახე ჰქონდა, ვიდრე დღეს.

ძველად იყო:	აღ-	გან-	გარდა-	შთა-	წარ-
ახლა არის:	ა-	გა-	გადა-	ჩა-	წა-

როგორც ვხედავთ, შთა- ახალ ქართულში ჩა-დ ქცეულა, სხვებს კი ჩამოსცილებია თანხმოვნები: აღ-ს – ღ, გან-ს – ნ, გარდა-სა და წარ-ს – რ. ამასთანავე, ჩა- და გადა- წარმოშობით რთული ზმნისწინებია (ჩა < შთა < შდა < შედა, გადა < გარ-და), მაგრამ დღეს ეს ზმნისწინები მარტივებშია გადასული.

ძველი სახის ზმნისწინები გარკვეულ ზმნებთან ამჟამადაც იხმარება, განსაკუთრებით აღ- და გან-. მაგ.:

აღ-: აღადგინა, აღზარდა, აღიარა, აღნიშნა, აღძრა...
აღმო-: აღმოაჩინა, აღმოფხვრა...
გან-: განაგრძო, განიხილა, განიცადა, განმარტა, განრისხდა...
გარდა-: გარდაიქმნა, გარდაიცვალა, გარდაქმნის...
შთა-: შთააგონა, შთანთქა, შთაუნერგა...
წარ-: წარადგინა, წარმართა,
წარმო-: წარმოთქვა, წარმოიდგინა, წარმოიშვა...

2.1.6.23. *მიმართულების არმქონე ზმნები*

მოქმედების მიმართულება კარგად არის გამოხატული მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში, მაგრამ ენაში ბევრია ისეთი ზმნა, სადაც ზმნისწინი მოქმედების მიმართულებას არ გვიჩვენებს: დაიბადა, მოკვდა, გაწითლდა, წაიკითხა, შეისწავლა, მოიგონა, გადაიფიქრა და სხვ.

2.1.6.24. *სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა ზმნისწინით*

ზმნისწინი ზოგჯერ ისე უცვლის ზმნას მნიშვნელობას, რომ ახალ სიტყვას ვღებულობთ. მაგ., სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნებია: ა-იგო (მან სახლი), გა-იგო (მან ამბავი), მო-იგო (ლატარიის ბილეთით მანქანა), და-იგო (ქვეშ ნაბადი), რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ზმნისწინებით განსხვავდებიან. ასევე სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნებია: შე-ხვდა, მი-ხვდა, მო-ხვდა, და-ხვდა.

ზოგიერთი ზმნა ზმნისწინს სულ არ დაირთავს. ასეთებია, მაგ., უყვარს, სძულს, სწამს, ცოცხლობს, ცელქობს, ცხოვრობს, წუხს და სხვ.

2.1.6.25. *გრამატიკული დრო*

დრო არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როდის ხდება მოქმედება: თქმის დროს, თქმამდე თუ თქმის შემდეგ. ამის მიხედვით დრო სამია ქართულში: ახლანდელი, წარსული და მომავალი.

ახლანდელი დროის ფორმა გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება ხდება ახლა, თქმის დროს: მღერის, თამაშობს, ხატავს, მიდის, წერს...

წარსული დროის ფორმა მიგვითითებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება უსწრებს თქმის დროს: მღეროდა, თამაშობდა, ხატავდა, წავიდა, დაწერა...

მომავალი დროის ფორმა აღნიშნავს, რომ მოქმედება უნდა მოხდეს თქმის შემდეგ: დაწერს, დახატავს, მოიტანს, ნახავს, ააშენებს...

2.1.6.26. *ასპექტი*

ასპექტი ჰქვია ზმნის ფორმას, რომელიც მოქმედებას დასრულებულად ან დაუსრულებლად წარმოგვიდგენს. მაგ., ვხატე და დავხატე წარსული დროის ფორმებია, რომელთაგანაც პირველი მოქმედებას დაუსრულებლად წარმოგვიდგენს, ხოლო მეორე – დასრულებულად. ამის მიხედვით ასპექტი ორგვარია: უსრული და სრული.

უსრულია ასპექტის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედება დაუსრულებელია (დაუმთავრებელია): ვხატე, ვწერე, ვკერე, ვხაზე, ვღებე.

სრულია ასპექტის ფორმა, რომელიც მიგვითითებს, რომ მოქმედება დასრულებულია (დამთავრებულია) წარსულში ან დასრულდება (დამთავრდება) მომავალში: დავხატე – დავხატავ, ავაშენე – ავაშენებ.

უსრული ასპექტის ზმნას სამივე დრო აქვს, სრულასპექტიანს კი – ორი: წარსული და მომავალი. მაგ., ვხატე, ვხატავ (ახლა), ვხატავ (შინ რომ დავბრუნდები) უსრული ასპექტის ფორმებია. ამათგან პირველი

(ვხატე) დროის მიხედვით წარსულია, მეორე (ვხატავ ახლა) – ახლანდელი, მესამე (ვხატავ, შინ რომ დავბრუნდები) – მომავალი. დავხატე და დავხატავ სრული ასპექტის ფორმებია, რომელთაგანაც პირველი (დავხატე) დროის მიხედვით წარსულია, მეორე (დავხატავ) – მომავალი.

2.1.6.27. *სრული ასპექტის წარმოება*

ასპექტიანი ზმნის უწმნისწინო ფორმა უსრულია, ზმნისწინიანი – სრული. მაგ., უზმნისწინო უწერია უსრული ასპექტის ფორმაა, ზმნისწინიანი ა-უწერია, ამო-უწერია, გა-უწერია, გადა-უწერია, შემო-უწერია, ჩა-უწერია, ჩამო-უწერია, წა-უწერია – ყველა სრული ასპექტისაა. მაშასადამე, სრული ასპექტის ფორმას უსრულისაგან ზმნისწინი აწარმოებს.

რამდენიმე ზმნა უზმნისწინოდაც სრული ასპექტისაა: ბრძანა, თქვა, იკითხა, იტყვის, იყიდა, ნახა, სთხოვა, უბრძანა, უპასუხა, ქნა, ჰკითხა, ჰკრა და სხვ.

2.1.6.28. *უასპექტო ზმნები*

უასპექტოა ზმნა, რომლის უზმნისწინო თუ ზმნისწინიან ფორმას ასპექტის გაგება არ ახლავს. ასეთი ზმნები ორგვარია:

1. არ დაირთავენ ზმნისწინებს: აგდია, ვიცი, ვწვალობ, ვხუმრობ, მიყვარს, მღვიძავს, მძინავს...
2. ზოგიერთი ზმნის ახლანდელი დროის ფორმები დაირთავენ ზმნისწინებს, მაგრამ, ჩვეულებრივ, მიმართულების აღსანიშნავად და ფორმას მომავალი დროის მნიშვნელობას ვერ აძლევენ: ფრინავს – მი-ფრინავს, მო-ფრინავს; ცოცავს – მი-ცოცავს; მო-ცოცავს; გორავს – მი-გორავს, მო-გორავს; ხოხავ-ს – მი-ხოხავს, მო-ხოხავს...

2.1.6.29. *კილო*

კილო არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როგორ უნდა იქნეს გაგებული ზმნით გამოხატული მოქმედება: როგორც ნამდვილი ამბავი, თუ როგორც სასურველ-შესაძლებელი ან შესასრულებელი. მაგ., წერს, (ნეტავი) წერდეს და წეროს! ერთი ზმნის ეს ფორმები სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ ზმნით გამოხატულ მოქმედებას: პირველი (წერს) – ნამდვილ ამბად, მეორე (წერდეს) – სასურველ-შესაძლებლად, ხოლო მესამე (წეროს!) – შესასრულებლად. ამის მიხედვით კილო სამია ქართულში: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი.

თხრობითია კილო, რომელიც ზმნით გამოხატულ მოქმედებას ისე წარმოგვიდგენს, რომ იგი ნამდვილი ამბავია: წერს, ხატავს, აკეთებდა, ააშენა.

კავშირებითია კილო, რომელიც ზმნით გამოხატულ მოქმედებას გადმოსცემს სასურველ-შესაძლებლად: (ნეტავი) ვწერდე, (რომ) წერდეს, (რომ) დაწერონ.

ბრძანებითია კილო, რომელიც მოითხოვს მთქმელის (პირველი პირის) სურვილის შესრულებას მისამართი პირის მიერ: წერე! წაიღე! გააკეთე! წაიღოს!

ბრძანებითი კილოს ფორმამ, გარდა საკუთრივ ბრძანებისა, შეიძლება გამოხატოს თხოვნა, ხვეწნა-მუდარა, დარიგება, დალოცვა...

2.1.6.30. *ბრძანებითი კილოს სახეები და მათი გამოხატვის საშუალებანი*

მთქმელი, რომლის სურვილიც უნდა შესრულდეს, პირველი პირია, ხოლო შემსრულებელი წარმოდგენილია უმეტესად მეორე ან მესამე სუბიექტურ პირად ორივე რიცხვში.

ებრძანება მეორე სუბიექტურ პირს: წერე! წერეთ! გააკეთე! გააკეთეთ!

ებრძანება მესამე სუბიექტურ პირს: წეროს! წერონ! გააკეთოს გააკეთონ!

მოწოდების სახით შეიძლება ებრძანოს პირველ სუბიექტურ პირსაც მრავლობით რიცხვში: ვწეროთ! გავაკეთოთ! წავიდეთ!

2.1.6.31. *წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი კილო*

ბრძანებითი კილო ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი.

წართქმითია ბრძანებითი, რომელიც მოითხოვს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას: გააკეთე! დაწერე! მოიტანე! წაიღოს! წაიღონ!

წართქმითი ბრძანებითის ფორმა ზოგჯერ შემოკლებულია: წა! (წადი!), გამეცა! (გამეცალე!).

უკუთქმითია ბრძანებითი, რომელიც იწარმოება არ და ნუ ნაწილაკების დართვით და კრძალავს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას: არ დაივიწყო! ნუ ცელქობთ!

ბრძანებითი კილო იყენებს თხრობითისა და კავშირებითის ფორმებს. გვაქვს ერთი ზმნა, რომელსაც დღესაც გარჩეული აქვს მეორე პირის წართქმითი ბრძანებითი თხრობითისაგან. ბრძანებითია: მოდი! გამოდი! გადმოდი! წამოდი! თხრობითია: მოხვედი, ახვედი, მიხვედი, წახვედი...

2.1.6.32. *მწკრივები და სერიები. მწკრივის რაობა. ფორმათა რაოდენობა მწკრივში*

ქათული ზმნა მდიდარია ფორმებით. ეს ფორმები იყოფა ჯგუფებად. მაგალითად, ერთი ჯგუფის ფორმებია: ვთბები, თბები, თბება, ვთბებით, თბებით, თბებიან. მეორე ჯგუფისაა: ვთბებოდი, თბებოდი, თბებოდა, ვთბებოდით, თბებოდით, თბებოდნენ. ერთ ჯგუფში გაერთიანებული ფორმები ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავდება.

ზმნის ფორმათა ისეთ ჯგუფს, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს, მწკრივი ჰქვია, ე.ი. ვთბები, თბები, თბება, ვთბებით, თბებით, თბებიან – ერთი მწკრივის ფორმებია, ვთბებოდი და მისი მიმყოლი ფორმები – სხვა მწკრივისა.

2.1.6.33. *უღლება*

ზმნის ფორმაცვალებას მწკრივების მიხედვით უღლება ჰქვია. მაშასადამე, ყოველი პირიანი ზმნა უღლებადი სიტყვაა.

ერთპირიან ზმნას ერთ მწკრივში ექვსი ფორმა მოეპოვება: სამი – მხოლობითში და სამიც – მრავლობითში: ვთბები, თბები, თბება, ვთბებით, თბებით, თბებიან.

ბევრი ორპირიანი ზმნა იცვლება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის მიხედვითაც. ერთ მწკრივში ასეთ ზმნათა სუბიექტურ და ობიექტურ პირთა დაჯგუფება ორივე რიცხვში 18 ფორმას გვაძლევს, ე.ი. სამჯერ მეტს ერთპირიან ზმნასთან შედარებით.

ზოგიერთი ორპირიანი ზმნა მხოლოდ სუბიექტური ან ობიექტური ნიშნების მიხედვით იცვლება და მწკრივში ექვი ფორმა აქვს. ასეთი ზმნებია, მაგალითად, ვიცი და მტკივა, რომელთაგანაც პირველი სუბიექტური პირის ნიშნების მიხედვით იცვლება, მეორე – ობიექტურისა: ვ-იცი, იცი, იცი-ს, ვ-იცი-თ, ი-ცი-თ, იცი-ან; მ-ტკივ-ა, გ-ტკივ-ა, ს-ტკივ-ა, გვ-ტკივ-ა, გ-ტკივ-ა-თ, ს-ტკივ-ა-თ.

2.1.6.34. *მწკრივთა სერიები*

დღევანდელ ქართულში 11 მწკრივია, რომლებიც სამ ჯგუფად ანუ სერიად იყოფა.

პირველ სერიაში 6 მწკრივია, მეორეში – 2, მესამეში – 3.

პირველი სერიის მწკრივები იყოფა ორ წრედ – აწმყოს წრედ და მყოფადის წრედ. აწმყოს წრის მწკრივებია: აწმყო, უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი. მყოფადის წრისა: მყოფადი, ხოლმეობით-შედარებითი და მყოფადის კავშირებითი.

მეორე სერიის მწკრივებია: წყვეტილი და II კავშირებითი.

მესამე სერიაშია: I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი.

თითოეულ მწკრივს შესაბამისი კითხვა დაესმის.

I სერია

ა. აწმყოს წრე

1. **აწმყო**: რას ვშვრები? – ვწერ, ვთბები.
2. **უწყვეტელი**: რას ვშვრებოდი? – ვწერდი, ვთბებოდი.
3. **აწმყოს კავშირებითი**: რას ვშვრებოდე? – ვწერდე, ვთბებოდე.

ბ. მყოფადის წრე

4. **მყოფადი**: რას ვიზამ? – დავწერ, გავთბები.
5. **ხოლმეობით-შედეგობითი**: რას ვიზამდი? – დავწერდი, გავთბებოდი.
6. **მყოფადის კავშირებითი**: რას ვიზამდე? – დავწერდე, გავთბებოდე.

II სერია

7. **წყვეტილი**: რა ვქენი? – დავწერე, გავთბი.
8. II **კავშირებითი**: რა ვქნა? – დავწერო, გავთბე.

III სერია

9. I **თურმეობითი**: რა მიქნია? – დამიწერია, გავმთბარვარ.
10. II **თურმეობითი**: რა მექნა? – დამეწერა, გავმთბარიყავი.
11. III **კავშირებითი**: რა მექნას? – დამეწეროს, გავმთბარიყო.

მწკრივში ფორმებს ძირითადად აერთიანებს დროისა და კილოს კატეგორიები (მაგ.: აწმყოს მწკრივის ფორმებს საერთო აქვთ ახლანდელი დრო და თხრობითი კილო. სხვა რომელიმე მწკრივის ფორმათა გრამატიკულ შინაარსში კატეგორიათა ეს კომბინაცია გამორიცხულია. მყოფადის მწკრივის ფორმათა გამაერთიანებელია მომავალი დრო და თხრობითი კილო. კატეგორიათა არც ეს კომბინაცია გამეორდება სხვა მწკრივებში...).

2.1.6.35. *ზმნის ფუძე*

ზმნის ფუძე მწკრივების მიხედვით სხვადასხვაა. მაგ., ვწერ ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმათა ფუძეა წერ, უწყვეტლისა – წერდი, აწმყოს კავშირებითისა – წერდე.

2.1.6.36. *პირველი სერიის მწკრივები*

აწმყო და აწმყოს კავშირებითი დროის მიხედვით ახლანდელია (ვწერ, ვწერდე), უწყვეტელი და ხოლმეობით-შედეგობითი – წარსული (ვწერდი, დავწერდი), ხოლო მყოფადი და მყოფადის კავშირებითი – მომავალი (დავწერ, დავწერდე).

ასპექტიან ზმნათა აწმყოს წრის მწკრივები უსრულია (ვწერ, ვწერდი, ვწერდე), მყოფადის წრისა – სრული (დავწერ, დავწერდი, დავწერდე).

უწყვეტლის, ხოლმეობით-შედეგობითისა და ორივე კავშირებითის ფორმებში გამოიყოფა -დ ან -ოდ ბოლოსართი, რომელთაც სავრცობი ჰქვია: ვწერ-დ-ი – დავწერ-დ-ი, ვიხატებ-ოდ-ი – დავიხატებ-ოდ-ი. ე.ი. ეს ოთხი მწკრივი სავრცობიანია. სავრცობის შემდეგ დართული ი უწყვეტლისა და ხოლმეობით-შედეგობითის ნიშანია, ე კი კავშირებითს აწარმოებს.

თუ აწმყოს ან მყოფადის ფორმას ნუ ნაწილაკი დაერთო, ის უკუთქმით ბრძანებითად გადაიქცევა: ნუ ვწერთ! ნუ წერ! ნუ წერთ! ნუ წერს! ხოლმეობით-შედეგობითის ფორმა ხშირად განმეორებულ მოქმედებას გამოხატავს, ე.ი. ხოლმეს გაგება ახლავს.

მოქმედების განმეორება უწყვეტლის მწკრივითაც გადმოიცემა: დილით ადრე ვდგებოდი, მივდიოდი სკოლაში...

2.1.6.37. *მეორე სერიის მწკრივები*

მეორე სერიაში ორი მწკრივია: წყვეტილი და II კავშირებითი.

წყვეტილი დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით – თხრობითი. ამ მწკრივის ნიშანია ე ან ი პირველსა და მეორე პირში, მესამეში კი მწკრივის ნიშანი იკარგება მომდევნო ხმოვნის გამო: დავწერ-ე, დაწერ-ე; გავთბ-ი, გათბ-ი, მაგრამ: დაწერ-ა, გათბ-ა. მხოლობითში იშვიათად უნიშნო ფორმაც გვხვდება: შევკარ, დავკალ. დღევანდელ ქართულში ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივია ი-ს დართვა: შევკარ-ი, შეკარ-ი, დავკალ-ი.

ამ მწკრივს ემთხვევა ხშირად წართქმითი ბრძანებითის მეორე პირის ფორმები: გააკეთე! დაწერე! დახატე!

მეორე კავშირებითი დროის მიხედვით მომავალია, კილოს მიხედვით – კავშირებითი. ამ მწკრივის ნიშნებია: ა, ე, ო: დავკლ-ა, დაკლ-ა, დაკლ-ა-ს: გავთბ-ე, გათბ-ე, გათბ-ე-ს, დავწერ-ო, დაწერ-ო, დაწერ-ო-ს.

ამ მწკრივის ფორმებიც იხმარება ბრძანებითი კილოს მნიშვნელობით: წართქმითად – პირველსა და მესამე პირში (ეს ფორმები ხასიათდებიან კილოს, დროისა და ასპექტის სხვა მწკრივთაგან განსხვავებული კომბინაციით (იხ. ზემოთ) და ცალკე მწკრივებს ქმნიან), უკუთქმითად, არ ნაწილაკის დართვით – სამივე პირში: ვწეროთ! წერონ! არ დავკლათ! არ დაკლა! არ დაკლათ! არ დაკლას! არ დაკლან!

ასპეექტიან ზმნებს, რომელთაც სრული ასპექტი ზმნისწინით აქვთ ნაწარმოები, მეორე სერიის მწკრივებში ორ-ორი ფორმა მოეპოვებათ: უზმნისწინო – უსრული ასპექტისა, ზმნისწინიანი – სრული ასპექტისა: ვწერე – დავწერე, ვხატე – დავხატე; ვწერო – დავწერო, ვხატო – დავხატო.

2.1.6.38. *მესამე სერიის მწკრივები*

I თურმეობითი და II თურმეობითი დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით – თხრობითი. ამ ორი მწკრივის ფორმები ხშირად გამოხატავენ უნახავ მოქმედებას, ე.ი. ისეთ მოქმედებას, რომელსაც თურმე ნაწილაკის გაგება ახლავს. მაგ., რომ შევადაროთ ერთმანეთს წაიღო (წყვეტილი: გიამ წიგნი წაიღო) და წაუღია (I თურმეობითი: გიას წიგნი წაუღია), შევნიშნავთ, რომ პირველი (წაიღო) ნანახ მოქმედებას გამოხატავს, მეორე (წაუღია) – უნახავს, ე.ი. ისეთს, რომელიც მთქმელმა სხვისგან გაიგო ან შედეგის მიხედვით გაითვალისწინა.

უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ უნახავი მოქმედება არ არის მიზეზი თურმეობითის ფორმათა ხმარებისა, მაგალითად: ამიშენებია (სახლი), დამიხნავს (მინდვრები), დამიპყრია (მწვერვალები) და სხვ. თუ აქ წარმოდგენილ ვითარებას განვაზოგადებთ, თურმეობითის ფორმები ყველა შემთხვევაში მიუთითებენ წარსულ დროში ჩადენილი ქმედების შედეგზე აწმყოში (I თურმეობითში) ან უფრო ადრე ჩადენილი ქმედების შედეგზე – შედარებით გვიანდელ წარსულში (II თურმეობითში). მათ შედეგობით (რეზულტატიურ) მწკრივებსაც უწოდებენ ამის გამო.

შედეგობითობა სხვადასხვა დროში კარგად ჩანს ერთპირიან ზმნათა შედგენილ ფორმებში, როგორიცაა ძველი ქართული დაბადებულ ვარ (თანამედროვე დავბადებულვარ), სადაც "დაბადებულ" წარსული ქმედების შედეგს გამოხატავს "ვარ" კი – ახლანდელ დროს; ასევე II თურმეობითში დაბადებულ ვიყავ (თანამედროვე დავბადებულიყავ): აქ წარმოდგენილია წარსული დროის ქმედების შედეგი ("დაბადებულ") შედარებით გვიანდელ წარსულში ("ვიყავ").

მესამე კავშირებითი კილოს მიხედვით კავშირებითია, დროის მიხედვით კი – წარსულია ან მომავალი:

ამ მწკრივის ნიშნები იგივეა, რაც II კავშირებითისა: ა, ე, ო: დამებ-ა-ს, დაგებ-ა-ს, დაებ-ა-ს; მოვფარებოდ-ე, მოჰფარებოდ-ე, მოჰფარებ-ოდ-ე-ს; დამეწერ-ო-ს, დაგეწერ-ო-ს, დაეწერ-ო-ს.

2.1.6.39. *მეშველზმნიანი ფორმები III სერიაში*

მესამე სერიის ფორმები ხშირად რთულია, მეშველზმნიანი: ჩავსულვარ, ჩავსულიყავი, ჩავსულიყო. ზოგიერთ ზმნას II თურმეობითსა და III კავშირებითში ოდ სავრცობი აქვს: მოვფარებ-ოდ-ი, მოვფარებ-ოდ-ე; მოჰფარებ-ოდ-ი, მოჰფარებ-ოდ-ე; მოჰფარებ-ოდ-ა, მოჰფარებ-ოდ-ე-ს.

2.1.6.40. *ინვერსიული ზმნები*

მესამე სერიის მწკრივებისათვის დამახასიათებელია გარდამავალ ზმნათა ინვერსია, ანუ პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლა: სუბიექტური ნიშანი გამოხატავს ობიექტურ პირს, ირიბობიექტური – სუბიექტურს. მაგ., ვწერ ზმნის პირველი და მეორე სერიის მწკრივებში პირველ სუბიექტურ პირს სუბიექტური ნიშანი გამოხატავს (ვ-წერ, ვ-წერდი, ვ-წერდე, და-ვ-წერ, და-ვ-წერდი, და-ვ-წერდე; და-ვ-წერე, და-ვ-წერო), მესამე სერიის მწკრივებში კი – ირიბობიექტური (და-მ-იწერია, და-მ-ეწერა, და-მ-ეწეროს).

ასპექტიან ზმნებს, რომელთაც სრული ასპექტი ზმნისწინით აქვთ ნაწარმოები, მესამე სერიის მწკრივებში (მსგავსად II სერიის მწკრივებისა) ორ-ორი ფორმა მოეპოვებათ: უზმნისწინო (უსრული) და ზმნისწინიანი (სრული): მიწერია – დამიწერია, მეწერა – დამეწერა, მეწეროს – დამეწეროს.

მესამე სერიის მწკრივებში ზმნა ერთპირიანია ან ორპირიანი. იმ ზმნებს, რომლებიც სამპირიანია I-სა და II სერიაში, აქ ორპირიანი ფორმები ენაცვლება: მისწერს ის მას მას, მისწერა მან მას ის, მაგრამ მიუწერია მას ის.

2.1.6.41. *თემა. თემის ნიშნები*

ზმნას სხვადასხვა მწკრივში სხადასხვა ფუძე აქვს, მაგრამ ზმნის უღლებისას გამოიყოფა ისეთი ნაწილიც, რომელიც საერთოა I ან II სერიის ყველა მწკრივისათვის. მაგ., ვღებავ ზმნის პირველი სერიის ყველა მწკრივისათვის საერთოა ღებავ (ვღებავ, ვღებავდი, ვღებავდე, შევღებავ, შევღებავდი, შევღებავდე), მეორე სერიის მწკრივებისათვის – ღებ: ვღებე, ვღებო, მან ღება.

ზმნის იმ ნაწილს, რომელიც საერთოა I ან II სერიის ყველა მწკრივისათვის, თემა ჰქვია. მაშასადამე, ღებავ პირველი სერიის თემაა, ღებ – მეორისა. პირველი სერიის თემას მეორისაგან ავ ბოლოსართი განასხვავებს. მაშასადამე, ავ თემის ნიშანია.

თემის ნიშნებია: ი, ავ, ამ, ებ, ობ, იშვიათად ემ და ო.

ი: ვზრდი, ვთლი, ვთოხნი, ვღვრი, ვშლი, ვჭრი...

ავ: ვბარავ, ვკლავ, ვმალავ, ვფარავ, ვქარგავ, ვღებავ, ვხატავ...

ამ: ვაბამ, ვარტყამ, ვდგამ, ვიცვამ, ვსვამ...

ებ: ვათეთრებ, ვაკეთებ, ვანათებ, ვაშენებ, ვახარებ...

ობ: ვადნობ, ვაპობ, ვაქრობ, ვაშრობ, ვახმობ...

ემ და ოფ გვხვდება თითო ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნებში: მივცემ, მისცემს, გასცემს, დასცემს; გავყოფ, ჩავყოფ, შევყოფ მიჰყოფს (ხელს)...

2.1.6.42. *ერთთემიანი და ორთემიანი ზმნები*

ერთთემიანია ზმნა, რომელსაც ერთი და იგივე თემა აქვს პირველსა და მეორე სერიაში. ასეთი ზმნებია: ვწერ, ვტეხ, ვქსოვ, ვჭამ, ვწოვ...

ორთემიანია ზმნა, რომელსაც პირველსა და მეორე სერიაში სხვადასხვა თემა აქვს. ორთემიანი ზმნებია:

1. ყველა ზმნა, რომელთა თემაც პირველი სერიის მწკრივებში თემის ნიშანს შეიცავს, მეორე სერიის მწკრივებში კი ეს ნიშანი ჩამოშორდება. მაგ., ვხატავ ზმნის პირველი სერიის თემაა ხატავ, მეორისა ხატ (ვხატავ – ვხატე).
2. ხმოვანმონაცვლე ზმნები, ე.ი. ისეთი ზმნები, რომელთა ფუძის ე ხმოვანი მეორე სერიის მწკრივებში ი-დ შეეცვლებათ: ვ-გრეხ – ვ-გრიხე, ვ-კრეფ – ვ-კრიფე და სხვ.

ორთემიანი ზმნა ბევრია, ერთთემიანი – ცოტა.

თემა და ზმნის ფუძე აწმყოს მწკრივში ზოგჯერ ერთი და იგივეა. მაგ., წერ თემაცაა და ზმნის ფუძეც აწმყოს მწკრივში. წერ არ დაიშლება, იგი უაფიქსოა. სიტყვის უაფიქსო ნაწილს ძირი ჰქვია. მაშასადამე, ზმნის ფუძე აწმყოს მწკრივში, თემა და ძირი ამ შემთხვევაში ერთი და იგივეა, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგ., კერავ ზმნის ფუძეა აწმყოს მწკრივში და პირველი სერიის თემაც, ძირი კი კერ არის, რომელიც ემთხვევა მეორე სერიის თემას: ვკერე, ვკერო.

ძირი შეიძლება შეიკუმშოს, მაგ., თალ ძირი სრულად არის წარმოდგენილი მეორე სერიის ფორმებში (გავთალე, გავთალო, გათალა...), მაგრამ პირველი სერიის მწკრივებში შეკუმშულია (ვთლი, ვთლიდი, ვთლიდე, გავთლი, გავთლიდი, გავთლიდე).

2.1.6.43. *მწკრივში მონაცვლე ზმნები*

ზოგიერთ ზმნას აკლია რომელიმე მწკრივი ან მთელი სერია და ნაკლული მწკრივების შესავსებად იყენებს სხვა ზმნას. ასეთ ზმნებს მწკრივში მონაცვლე ზმნები ჰქვია:

ვარ, ვიქნები, ვიყავი;
მაქვს, მექნება;
ზი, ჯედ (ჯექ);
დი, ვალ, ვედ, ვიდ;
ვშვრები, ვიზამ, ვქენი;
მომაქვს, მოვიტან;
ვამბობ, ვიტყვი, ვთქვი.

2.1.6.44. *მწკრივების სერიებად დაყოფის გრამატიკული საფუძველი*

პირველ სერიაში რომ ექვსი მწკრივია, მეორეში – ორი, მესამეში კი – სამი. ამას გარკვეული გრამატიკული საფუძველი აქვს, სახელდობრ:

1. ზმნათა დიდი უმეტესობა ორთემიანია:
   ა. პირველი სერიის ფორმები შეიცავენ თემის ნიშნებს (ვხატავ, ვხატავდი...), მეორე სერიის ფორმები კი უთემისნიშნოა (დავხატე, დავხატო).
   ბ. ხმოვანმონაცვლე ზმნებს პირველი სერიის მწკრივებში ე ხმოვანი აქვს ფუძეში (ვგრეხ, ვგრეხდი...), მეორე სერიის მწკრივებში კი – ი (დავგრიხე, დავგრიხო).
2. მესამე სერიის მწკრივებში:
   ა. გარდამავალ ზმნათა ფორმები ინვერსიულია: გა-მიკეთებია, და-მიხატავს.
   ბ. გარდაუვალი ზმნები ფორმათა საწარმოებლად სახელზმნებს იყენებენ: გა-ვ-ზრდილ-ვარ, გა-ვ-ზრდილ-იყავი, გა-ვ-ზრდილ-იყო; მო-ვ-ფარებ-ივარ, მო-ვ-ფარებ-ოდი, მო-ვ-ფარებ-ოდე.
3. აღნიშნულ მორფოლოგიურ საფუძველს ერთვის სინტაქსურიც: გარდამავალი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას (ამხანაგი წერს), მეორე სერიის ფორმებთან – მოთხრობითში (ამხანაგმა დაწერა), ხოლო მესამე სერიის ფორმებთან – მიცემითში (ამხანაგს დაუწერია). ბრუნვაცვალებადია პირდაპირი ობიექტიც: პირველი სერიის ფორმებთან მიცემითში დგას (წერს წერილს), მეორისა და მესამის ფორმებთან კი – სახელობითში (დაწერა წერილი, დაუწერია წერილი).

2.1.6.45. *გვარი*

გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როგორია სუბიექტური პირის მიმართება ზმნით აღნიშნული მოქმედებისადმი.

გვარი სამია ქართულში: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

მოქმედებითი გვარისაა ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე.

მოქმედებითი გვარის ზმნა გარდამავალია, ორპირიანი ან სამპირიანი.

ვნებითი გვარისაა ზმნის ფორმა, რომლის სუბიექტიც თვითონ განიცდის მოქმედებას, ვნებას.

საშუალი გვარისაა ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი "მოქმედებს", მაგრამ არ მოეპოვება სამოქმედო პირდაპირი ობიექტის სახით.

სამივე გვარის ფორმათა წარმოება ერთი ძირისაგან იშვიათია.

2.1.6.46. *მოქმედებითი გვარი*

მოქმედებითი გვარის ზმნა გვიჩვენებს, რომ სუბიექტის მოქმედება უშუალოდ გადადის პირდაპირ ობიექტზე.

მოქმედებითი გვარის ზმნა გარდამავალია, ორპირიანი ან სამპირიანი: ორპირიანი: ბიჭმა მაგიდიდან კალამი აიღო; სამპირიანი: ლელამ თავის უფროს ძმას წერილი მისწერა.

2.1.6.47. *ვნებითი გვარის სახეები*

ვნებითი გვარის ზმნები ორგვარია: დინამიკური და სტატიკური.
დინამიკურია ვნებითი, რომელიც გამოხატავს მოქმედების მსვლელობას, პროცესს: მთებს ნისლი ეფინება (გომ.). "მთები, ნისლით იფარება"; "მთები მწვანდება"; "მთები შრება".
სტატიკურია ვნებითი, რომელიც გამოხატავს მოქმედების შედეგს: მთებს ნისლი აფენია.
დინამიკური ზმნა ბევრია, სტატიკური – ცოტა.
დინამიკური ვნებითი წარმოების მიხედვით სამგვარია: პრეფიქსიანი, სუფიქსიანი და უნიშნო.

2.1.6.48. *პრეფიქსიანი ვნებითი*

პრეფიქსიან ვნებითს აწარმოებს ი ან ე პრეფიქსი. ი-თი ნაწარმოებს ინიანი ვნებითი ჰქვია, ე-თი ნაწარმოებს – ენიანი. ინიანი ვნებითი ერთპირიანია, ენიანი – ორპირიანი. მაგ.: ი-მალება (ის) – ე-მალება (ის მას), ი-ზრდება (ის) – ე-ზრდება (ის მას).

2.1.6.49. *სუფიქსიანი ვნებითი*

სუფიქსიან ვნებითს აწარმოებს დ სუფიქსი, რის გამოც ამ ტიპის ვნებითს სხვანაირად დონიანი ვნებითი ჰქვია, უმეტესად ნასახელარია ან ორპირიანი (თეთრ-დ-ება (ის) – უ-თეთრ-დ-ება (ის მას).

2.1.6.50. *უნიშნო ვნებითი*

ამ ჯგუფის ზმნებს ვნებითის მაწარმოებელი ნიშანი არ გააჩნიათ, მაგრამ ნიშნიანი ვნებითების მსგავსად ეწარმოებათ უღლების ფორმები: აწმყოსა და მყოფადში ესენიც დაირთავენ ებ-ი დაბოლოებას პირველსა და მეორე პირში (ვთბ-ებ-ი – გავთბ-ებ-ი, თბ-ებ-ი – გათბ-ებ-ი)., ხოლო მესამე პირში ებ-ა გვაქვს: თბ-ებ-ა – გათბ-ებ-ა, დნ-ებ-ა – გადნ-ებ-ა, ხმ-ებ-ა – გახმ-ებ-ა.

2.1.6.51. *საშუალი გვარის ზმნები*

საშუალი გვარის ზმნები გარდაუვალია, ერთპირიანი ან ორპირიანი, უასპექტო. დიდი უმეტესობა მხოლოდ უზმნისწინოდ იხმარება (დუღს, წუხს, ქუხს...), ხოლო იმ ზმნებს, რომლებიც ზმნისწინს დაირთავენ, აწმყოს ფორმა მყოფადისად ვერ გადაექცევათ. მაგ., გორავს და მიგორავს, ფრინავს და მოფრინავს, ცურავს და მიცურავს – ყველა აწმყოს მწკრივის ფორმაა.
საშუალი გვარის ზმნებს ან მარტო აწმყოს მწკრივის ფორმები მოეპოვებათ (დგას, წევს, ზის...), ან აწმყოს წრის მწკრივებისა (დუღს, წუხს, ხტის...), ნაკლული მწკრივების შესავსებად კი მათ სხვა ზმნები ენაცვლებათ. იმის მიხედვით, თუ როგორ ივსებენ ისინი ნაკლულ მწკრივებს, გამოიყოფა ორი ჯგუფი: საშუალ-ვნებითი და საშუალ-მოქმედებითი.

2.1.6.52. *საშუალ-ვნებითი*

საშუალ-ვნებითისაა ზმნები, რომლებიც ნაკლული მწკრივების შესავსებად პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებს იყენებენ (ერთპირიანები – ინიანს, ორპირიანები – ენიანს). მაგ.: ვარ – ვიქნები, ვიყავი; ზის – იჯდა, წევს – იწვა, უზის – ეჯდა, უყვარს – ეყვარება, უწევს – ეწვა, ჰყავს – ეყოლება.

2.1.6.53. *საშუალ-მოქმედებითი*

საშუალ-მოქმედებითის ზმნები ნაკლული მწკრივების შესავსებად იყენებენ იმავე ძირის ისეთ ფორმებს, რომელთაც პირდაპირი ობიექტი არ მოიპოვებათ, მაგრამ სხვა მხრივ მოქმედებითი გვარის ზმნათა თვისებებს გვიჩვენებენ:
სუბიექტი ბრუნვაცვალებადია, მესამე სერიის ფორმები ინვერსიულია, წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის ნიშანია მრავლობითში -ეს სუფიქსი: იცხოვრ-ეს, იჭიკჭიკ-ეს, უპატრონ-ეს.
სუბიექტი I და II სერიებში ბრუნვაცვალებადია ("ის ჰყარაულობს სახლს"; "მან უყარაულა სახლს"), III სერიაში ზმნა კარგავს ირიბ დამატებას, როგორც ეს ხდება მოქმედებითი გვარის ზმნათა III სერიაში, ხოლო I და II სერიების სუბიექტი, მსგავსად მოქმედებითი გვარის ზმნებისა, III სერიაში შემსრულებელ ობიექტად იქცევა და ზმნა უსუბიექტო ხდება ("მე მიდარაჯია"; "შენ გიდარაჯია"...).
S3-ის -ა სუფიქსი (მიდარაჯია, გიდარაჯია) III სერიის ფორმებში უფუნქციოა. -ია დაბოლოება მწკრივის ნიშანი გამოდის.
ერთპირიანი ზმნის მონაცვლეს თავში ი აქვს, ორპირიანისას – უ (მე-3 ობიექტურ პირში; პირველსა და მე-2 ობიექტურ პირში – ი): ცოცხლობს – ი-ცოცხლებს, ი-ცოცხლა; პატრონობს – უ-პატრონებს, უ-პატრონა.

მონაცვლე ზმნათა თემის ნიშანია უმეტესად ებ: ცხოვრობს – იცხოვრებს, ნადირობს – ინადირებს.

2.1.6.54. *ქცევა*

ზმნის ფორმას, რომელიც გამოხატავს, თუ როგორია კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა სუბიექტსა და ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის, ქცევა ჰქვია.

მოქმედებითი გვარის ზმნას სამი ქცევა აქვს: საარვისო (ნეიტრალური), სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო).

2.1.6.55. *საარვისო ქცევა*

საარვისო ქცევა არის ზმნის ფორმა, რომელიც არ მიგვითითებს, თუ ვისია ან ვისთვის არის დანიშნული პირდაპირი ობიექტი: აშენებს (ინჟინერი სახლს), კერავს (ნინო კაბას), გამოწერა (ნანამ გაზეთი).

მოქმედებითი გვარის ზმნის საარვისო ქცევის ფორმა ორპირიანია ან სამპირიანი. ეს ქცევა უნიშნოა: წერს, ხატავს, შლის, აკეთებს, გააკეთებინა და სხვ. ან მას აქვს ა თავსართი სამივე პირში: წერს, ხატავს, შლის, ღებავს, კერავს, სთხოვს, მისწერს, ჰკითხავს და სხვ. ნიშნიანი: ა-თბობს, ა-კეთებს, ა-თეთრებს... და-ა-ბარა, გა-ა-ტანა, გა-ა-კეთებინა და სხვა.

2.1.6.56. *სათავისო ქცევა*

სათავისო ანუ სასუბიექტო ქცევაა ზმნის ფორმა, რომელიც გამოხატავს, რომ პირდაპირი ობიექტი სუბიექტისაა ან სუბიექტისთვისაა დანიშნული: იშენებს (ინჟინერი სახლს), იკერავს (ნინო კაბას), გამოიწერა (ნანამ გაზეთი).

სათავისო ქცევის ფორმა ყოველთვის ორპირიანია. ამ ქცევის ნიშანია ი თავსართი სამივე პირში: ვ-ი-შენებ, ი-შენებ, ი-შენებს; ვ-ი-შენებთ, ი-შენებთ, ი-შენებენ.

2.1.6.57. *სასხვისო ქცევა*

სასხვისო ანუ საობიექტო ქცევა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს ან მისთვის არის დანიშნული: უშენებს (ინჟინერი მეზობელს სახლს), უკერავს (ნინო შვილს კაბას), გამოუწერა (ნანამ ამხანაგს გაზეთი).

მოქმედებითი გვარის ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა სამპირიანია. ამ ქცევის ნიშნებია ი და უ თავსართები. ამათგან ი სასხვისო ქცევის ნიშანია მაშინ, როცა ირიბ ობიექტად პირველი ან მეორე პირია, უ კი მაშინ, როდესაც ირიბ ობიექტად მესამე პირია.

ქცევის ფორმები ზმნას მარტო პირველი და მეორე სერიის მწკრივებში აქვს.

2.1.6.58. *ქცევა ვნებითსა და საშუალი გვარის ზმნებში*

ვნებითისა და საშუალი გვარის ზმნები გარდაუვალია; მათ არ შეიძლება ჰქონდეს სათავისო ქცევა.

გარდაუვალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა ორპირიანია და გულისხმობს, რომ სუბიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს ან ირიბისთვის არის დანიშნული: ძაღლი მ-ი-კვდება (=ჩემი ძაღლი კვდება), წყალი მ-ი-დუღს (=წყალი დუღს ჩემთვის).

ერთპირიან ზმნაში მარტო სუბიექტური პირია, ასე რომ, კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა სუბიექტსა ან ობიექტს შორის თუ ობიექტებს შორის მხოლოდ მრავალპირიანი ზმნებით გადმოიცემა.

გარდაუვალი ზმნის სასხვისო ქცევას იგივე ნიშნები აქვს, რაც გარდამავალი ზმნის ამავე ქცევის ფორმებს: ი, როცა ირიბ ობიექტად პირველი ან მეორე პირია, და უ, როცა ირიბ ობიექტად მესამე პირია: მ-ი-შენდება (სახლი მე), გ-ი-შენდება (სახლი შენ), უ-შენდება (სახლი მას).

ინიანი ვნებითი საარვისო ქცევის გაგებას იძლევა, ენიანი – სასხვისოსას: იზრდება (ის) – ეზრდება (ის მას), იფურჩქნება (ის) – ეფურჩქნება (ის მას), იწყება (ის) – ეწყება (ის მას).

2.1.6.59. *სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმათა გარჩევის საშუალება*

ი- თავსართი სათავისო ქცევის ნიშანიც არის და სასხვისოსიც. სათავისო ქცევას სამივე პირში ი-გამოხატავს, სასხვისოს ეს ნიშანი აქვს პირველსა და მეორე ობიექტურ პირში, მესამე ობიექტურში კი – უ. მაშასადამე, განსხვავება ამ ორ ქცევას შორის აშკარად იჩენს თავს მესამე პირში. ამიტომ, როცა ზმნა პირველი ან მეორე პირის ფორმაა, მესამე პირში უნდა გადავიყვანოთ და გავიგებთ, სათავისო ქცევის ფორმაა ის თუ სასხვისოსი.

თუ I და II პირებში ი- პრეფიქსი მოსდევს ირიბი ობიექტის ნიშანს (მ-ი-შენებს, გ-ი-შენებს; მ-ი-ყიდის, გ-ი-ყიდის...), III პირში ქცევის ნიშნად უ- პრეფიქსი იქნება. ისინი გამოხატავენ სასხვისო ქცევას (მიშენებს,

გიშენებს, უშენებს...); თუ ქცევის ი- პრეფიქსი მოსდევს პირდაპირი ობიექტის ნიშანს I და II პირებში (და-მ-ი-ქირავა, და-გ-ი-ქირავა; წა-მ-ი-ყვანა, წა-გ-ი-ყვანა...), ქცევის ნიშანი III პირშიც ი- პრეფქსი იქნება (დამიქირავა, დაგიქირავა, დაიქირავა; წამიყვანა, წაგიყვანა, წაიყვანა).

2.1.6.60. *უქცეო ზმნები*

მრავალია ზმნა, რომელთაგანაც გარეგნულად ზოგი საარვისოს ჰგავს, ზოგი – სათავისოს, ზოგიც – სასხვისოს, მაგრამ საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო სათანადო ქცევის მნიშვნელობა არა აქვთ. მაგ., ჰგონია, ჰყავს, ა-ქვს, ა-ხსოვს ფორმით საარვისო ქცევაა, იცის (ვ-იცი, ი-ცი, ი-ცის) – სათავისო, უყვარს (მ-ი-ყვარს, გ-ი-ყვარს, უ-ყვარს) – სასხვისო, მაგრამ ქცევის გაგება მათ არ ახლავს, ე.ი. უქცეო ზმნებია. ასევე უქცეოა გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის ფორმები, რომლებიც სასხვისო ქცევის ნიშნებს შეიცავენ: და-მ-ი-წერია, და-გ-ი-წერია, და-უ-წერია; ა-მ-ი-შენებია, ა-გ-ი-შენებია, ა-უ-შენებია; გა-მ-ი-ღია, გა-გ-ი-ღია, გა-უ-ღია და სხვ.

2.1.6.61. *კონტაქტი*

გარდამავალი ზმნის სუბიექტი ან უშუალოდ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, ან ირიბი ობიექტის მეშვეობით. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი ფორმა: დაჭრა (ნინომ პური) და დააჭრევინა (ნინომ შვილს პური). ნინომ სუბიექტია, პური – პირდაპირი ობიექტი, ხოლო შვილს – ირიბი ობიექტი. პირველი (დაჭრა) ფორმის მიხედვით სუბიექტი უშუალოდ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, მეორე ფორმის მიხედვით კი – ირიბი ობიექტის მეშვეობით.

ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, სუბიექტი უშუალოდ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე თუ ირიბი ობიექტის მეშვეობით, კონტაქტი ჰქვია. ამის მიხედვით კონტაქტი ორგვარია: უშუალო და შუალობითი.

2.1.6.62. *უშუალო კონტაქტი*

უშუალო კონტაქტის ფორმა აღნიშნავს, რომ სუბიექტი სხვა პირის დაუხმარებლად მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე: ვხატავ (სურათს), ვწერ (წერილს), ვაღებ (კარს), ვმალავ (ბურთს), ვჭრი (ხეს).

2.1.6.63. *შუალობითი კონტაქტი*

შუალობითი კონტაქტის ფორმა გვიჩვენებს, რომ სუბიექტი პირდაპირ ობიექტზე ირიბი ობიექტის მეშვეობით მოქმედებს: ვახატვინებ (მას სურათს), ვაწერინებ (მას წერილს), ვაღებინებ (მას კარს), ვამალვინებ (მას ბურთს), ვაჭრევინებ (მას ხეს).

გარდამავალი ზმნის შუალობითი კონტაქტის ფორმა სამპირიანია (დააწერინა მან მას ის), უშუალოსი – ორპირიანი (დაწერა მან ის) ან სამპირიანი (მისწერა მან მას წერილი).

კონტაქტის ფორმები იშვიათად პრეფიქსიან ვნებითსაც ეწარმოება: იკვლება – ეკვლევინება, ეთრევა – ეთრევინება.

2.1.7. მოდალობა

მოდალობა სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც აღნიშნავს გამონათქვამის დამოკიდებულებას სინამდვილესთან. ეს მიმართება შეიძლება გამოიხატოს ინტონაციური და ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებით. მოდალობის კატეგორია უნივერსალურია და სხვადასხვა ენის სისტემაში თავისებურად ვლინდება. მოდალობის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა ზმნის კილო. ქართულში იგი ასევე გამოიხატება მოდალური ფორმებისა და ნაწილაკების საშუალებით. მოდალურ ფორმათა დიდი ნაწილი ზმნური წარმომავლობისაა (ეგებ, იქნებ, ლამის, უნდა, გინდა, თუგინდ, ეტყობა, თითქმის...). ქართულში მოდალობის გამოხატვის ფუნქცია აგრეთვე ეკისრება განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, განსაკუთრებით კი ჩართულს.

2.1.8. სახელზმნა

ზმნისაგან შეიძლება ვაწამოოთ ბრუნებადი სიტყვა. მაგ., ხტის და დგას მესამე პირის ფორმებია, ხტომა და დგომა კი მათგან ნაწარმოები ბრუნვადი სიტყვებია: ხტომა, ხტომამ, ხტომას... დგომა, დგომამ, დგომას... ამათ გადმოყოლილი აქვთ ზმნის მნიშვნელობა და რამდენიმე ზმნური ნიშანი: ხტომა მოქმედებას გამოხატავს, დგომა – მდგომარეობას. ასეთ ფორმებს ზმნის ნიშნებიც აქვს და სახელისაც. ამის გამო ზმნისაგან ნაწარმოებ ბრუნებად სიტყვას სახელზმნა ჰქვია. მაშასადამე, ხტომა და დგომა სახელზმნებია.

სახელზმნა მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს, მაგრამ არა რომელიმე პირისას. ამიტომ მას უპირო ზმნა ეწოდება.

ზმნის პირიანი ფორმა წინადადებაში შემასმენელია.

სახელებს პირიანი ფორმისგან გადაჰყვება ზმნისწინი: ჩა-ხტომა, გადა-ხტომა, შე-ხტომა... ზმნისწინთან დაკავშირებით მასაც უჩნდება გეზის, ორიენტაციისა და ასპექტის კატეგორიები.

სახელზმნა ორგვარია: საწყისი და მიმღეობა.

2.1.8.1. *საწყისი*

საწყისი ჰქვია სახელზმნას, რომელიც წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც არსებითი სახელი. მაგ., იგი შეიძლება იყოს ქვემდებარე (ღელვა საწყისია), ობიექტი (ზღვამ ღელვა დაიწყო) და ა.შ.

საწყისი ზმნის პირიანი ფორმით გამოხატულ მოქმედებას ასახელებს, ამდენად მას მოქმედების სახელსაც უწოდებენ.

2.1.8.2. *საწყისის წარმოება. მისი სახელური და ზმნური ნიშნები*

საწყისის მაწარმოებელია ა სუფიქსი: კერვა, კეთება, ხატვა, ხვნა.

საწყისები იწარმოება მოქმედებითი გვარის ზმნათა ფუძეებისგან. რამდენიმე ზმნას საწყისის ნიშნის წინ უჩნდება ნ, ოლ ან ომ: სთხოვს – თხოვ-ნ-ა, ძოვს – ძოვ-ნ-ა, იპოვის – პოვ-ნ-ა; იბრძვის – ბრძ-ოლ-ა, თრის – თრთ-ოლ-ა; ხტის – ხტ-ომ-ა, კრთის – კრთ-ომ-ა, წყრება – წყრ-ომ-ა.

გვაქვს ილ სუფიქსიანი საწყისებიც: ქუხს – ქუხ-ილ-ი, კივის – კივ-ილ-ი, დუმს – დუმ-ილ-ი.

საწყისის სახელური ნიშნებია:

1. მიუგებს არსებითი სახელის კითხვაზე (რა?);
2. იბრუნვის ისე, როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელი: ხატვა, ხატვამ, ხატვას... ქუხილი, ქუხილმა, ქუხილს...
3. წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც არსებითი სახელი.

ზმნური ნიშნებია:

1. დაირთავს ზმნისწინს: კეთება – გაკეთება, შეკეთება, გადაკეთება, გადმოკეთება;
2. შეიძლება ჰქონდეს ასპექტი და კონტაქტი.

საწყისი, ჩვეულებრივ, მხოლობითი რიცხვის ფორმით იხმარება, მაგრამ შეიძლება გაწყვიტოს ზმნასთან კავშირი და არსებით სახელად იქცეს, მაშინ მრავლობითიც ეწარმოება და მსაზღვრელად რიცხვითი სახელიც შეეწყობა: შემთხვევა – შემთხვევები, სხდომა – სხდომები...

2.1.8.3. *მიმღეობა*

მიმღეობა ჰქვია სახელზმნას, რომელიც წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი სახელი. მაგ., აღელდა ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობაა აღელვებული, რომელიც არსებით სახელთან განსაზღვრებაა და ისე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის ზედსართავი არსებითთან: აღელვებული ზღვა, აღელვებულმა ზღვამ, აღელვებულ ზღვას, აღელვებული ზღვის.

სახელზმნას სახელურის გარდა, ზმნური ნიშნებიც მოეპოვება. მაშასადამე, სახელზმნა სახელიც არის და ზმნაც. როგორც სახელი – ბრუნებადია და წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც სახელი, ხოლო როგორც ზმნა – უპიროა, მაგრამ დაირთავს ზმნისწინს და შეიცავს პირიანი ზმნის რამდენიმე ნიშანს (დროს, ასპექტს, გვარს, კონტაქტს...).

2.1.8.4. *მიმღეობის სახელური და ზმნური ნიშნები*

მიმღეობის სახელური ნიშნებია: მოგვიგებს ზედსართავი სახელის კითხვაზე; იბრუნვის ისე, როგორც მსგავსი ფუძის ზედსართავი სახელი; წინადადებაში გამოყენებულია ზედსართავი სახელივით.

ზმნური ნიშნებია: დაირთავს ზმნისწინს; განარჩევს დროს; მოეპოვება ასპექტის ფორმები; ზოგიერთ მიმღეობას ეწარმოება კონტაქტის ფორმები; გარჩეული აქვს გვარის ფორმები.

2.1.8.5. *მოქმედებითი გვარის მიმღეობა*

მოქმედებითი გვარის მიმღეობა მიუთითებს მოქმედ საგანზე. მაგ., დამხატავი არის ის, ვინც დახატა. აწარმოებს მ თავსართი ან მ – ელ და მა – ელ თავსართ-ბოლოსართები.

1. **მ**: მ-კერავი, მ-ღებავი, მ-ლესავი, და-მ-წერი, მო-მ-ტანი, და-მ-წყები.
2. **მ — ელ**: მ-კეთებ-ელ-ი, მ-ხვნ-ელ-ი, და-მ-ცვ-ელ-ი, და-მ-კვლ-ელ-ი.
3. **მა — ელ**: და-მა-არსებ-ელ-ი, შე-მა-ერთებ-ელ-ი, გა-მა-მხნევებ-ელ-ი.

მოქმედებითი გვარის ორიოდე მიმღეობა ნაწარმოებია მ – არ (დისიმილაციით: მ – ალ) თავსართ-ბოლო-სართით: მ-ხატვ-არ-ი, მ-წერ-ალ-ი (ამგვარ მიმღეობას არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს მოპოვებული).

2.1.8.6. *ვნებითი გვარის მიმღეობა*

ვნებითი გვარის მიმღეობა სამოქმედო საგნის მდგომარეობას გამოხატავს. აქვს ორი დრო: წარსული და მომავალი. ფორმა წართქმითია ან უკუთქმითი.

ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმათა წარმოება სამგვარია: პრეფიქსული (ნა-კეთები, უ-ნახავი, წა-სა-ღები), სუფიქსური (დაწერ-ილ-ი, დახატ-ულ-ი), პრეფიქსულ-სუფიქსური (გა-უ-კეთებ-ელ-ი, გა-სა-კეთებ-ელ-ი, და-მ-ჭკნ-არ-ი, დისიმილაციით: გა-მ-ქრ-ალ-ი).

სა ან სა – ელ აწარმოებს მომავალი დროის მიმღეობას, დანარჩენები – წარსული დროისას. უ თავსართი ან უ – ელ თავსართ-ბოლოსართი აწარმოებს ვნებითი გვარის მიმღეობას უკუთქმითი მნიშვნელობით (უ-ნახავი, გა-უ-კეთ-ებ-ელ-ი).

ილ, ულ და მ – არ (დისიმილაციით: მ – ელ) აფიქსებით ნაწარმოები მიმღეობები მონაწილეობენ III სერიის მწკრივთა წარმოებაში: ჩაწერილა, ჩაწერილიყო, ჩაწერილიყოს; აშენებულა, აშენებულიყო, აშენებულიყოს; გამხმარა, გამხმარიყო, გამხმარიყოს; გამქრალა, გამქრალიყო, გამქრალიყოს.

2.1.8.7. *საშუალი გვარის მიმღეობა*

საშუალი გვარის მიმღეობა მიგვითითებს ისეთ მოქმედზე, რომელთანაც სამოქმედო საგანი არ იგულისხმება. მაგ., მწუხარე ითქმის იმაზე, ვინც წუხს.

საშუალი გვარის მიმღეობას აწარმოებს მ თავსართი და თავსართ-ბოლოსართები: მ-არ, მ-არე, მო-ე. მაგ.:

1. **მ**: მ-ბრწყინავი, მ-გმინავი, მ-ცურავი, მ-ხოხავი.
2. **მ — არ** (დისიმილაციით: მ-ალ): მ-ტირ-ალ-ი, მ-ყრ-ალ-ი.
3. **მ — არე** (დისიმილაციით: მ-ალე): მ-დუმ-არე, მ-ქუხ-არე, მ-ხურვ-ალე.
4. **მო — ე**: მო-ბიბინ-ე, მო-დარაჯ-ე, მო-თამაშ-ე, მო-რაკრაკ-ე, მო-ჭიკჭიკ-ე.

2.1.9. ზმნიზედა

ზმნიზედა, როგორც მეტყველების ნაწილი. ზმნიზედა ჰქვია სრული მნიშვნელობის მქონე უცვლელ მეტყველების ნაწილს, რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს და გვიჩვენებს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება. მაგ., სამი ზმნიზედა ახლავს ზმნას ამ წინადადებაში: გუშინ იქ ძალიან ცხელოდა. პირველი ზმნიზედა აღნიშნავს, თუ როდის ცხელოდა, მეორე – სად ცხელოდა, მესამე – როგორ ცხელოდა.

ზმნიზედა წინადადებაში გარემოებაა. მაგ., გუშინ – დროის გარემოებაა, იქ – ადგილისა, ძალიან – ვითარებისა.

ზმნიზედა იშვიათად შეიძლება ახლდეს ზედსართავ სახელსა და თვით ზმნიზედასაც: ოდნავ წითელი, ძალიან თეთრი, ძალიან შორს.

ზმნიზედას სხვანაირად ზმნისართი ჰქვია.

2.1.9.1. *ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით*

შინაარსის მიხედვით ზმნიზედა მრავალგვარია. ძირითადი ჯგუფებია: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა, ზომა-ოდენობისა და ჯერობისა. თითოეულ ჯგუფში გამოიყოფა კითხვითი ზმნიზედები, რომლებზედაც მოგვიგებენ შესაბამის ჯგუფში შემავალი ზმნიზედები. მაგ., ადგილის ზმნიზედების კითხვებია: სად? საიდან? საითკენ? სადამდე? კითხვითი ზმნიზედებისაგან ც ნაწილაკის დართვით იწარმოება მიმართებითი ზმნიზედები, რომლებიც რთულ წინადადებაში კავშირად არის გამოყენებული. მაგ.: სად, საიდან, საითკენ, როგორ კითხვითი ზმნიზედებია, ხოლო სადაც, საიდანაც, საითკენაც, როგორც მათგან ნაწარმოები მიმართებითი ზმნიზედები (კავშირად გამოყენებული).

2.1.9.2. *პირველადი და მეორეული ზმნიზედები*

წარმოების მიხედვით, ზმნიზედები ორგვარია: პირველადი და მეორეული.

პირველადია ზმნიზედა, რომელიც არ არის მიღებული სხვა მეტყველების ნაწილისაგან ან თვით ზმნიზედისაგან. ასეთებია: აქ, იქ, წინ, უკან, შინ, ხვალ...

მეორეულია ზმნიზედა, რომელიც მიღებულია სხვა მეტყველების ნაწილისაგან ან თვით ზმნიზედისაგან. პირველადი ზმნიზედები ენაში ცოტაა, მეორეული – ბევრი.

2.1.9.3. *მეორეული ზმნიზედების წარმოება*

მეორეულ ზმნიზედათა უდიდესი ნაწილი სახელებისა და სახელზმნებისაგან არის ნაწარმოები. ბრუნვის ფორმათაგან შეიძლება ზმნიზედად იქცეს მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის უთანდებულო თუ თანდებულიანი ფორმები. თვით ზმნიზედისაგან ნაწარმოები მეორეული ზმნიზედა ენაში ცოტაა.

ზმნიზედად ხშირად სახელის ფუძეა გამოყენებული, უმეტესად გაორკეცებით: ძალიან, ძლიერ, ნაკლებ, ნაჭერ-ნაჭერ, სოფელ-სოფელ, ფეხდაფეხ, ცხენდაცხენ, ხმალდახმალ.

ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავი და მიმღეობა, რომელიც ზმნას ახლავს, ზმნიზედაა: წითლად შეღება, თეთრად ქათქათებს, დაუფიქრებლად გაჰყვა, მოსატანად წავიდა.

ზმნიზედად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი სახელი მიცემით და მოქმედებით ბრუნვაში.

მაგალითად, ორშაბათს, ხუთშაბათს, კვირას... შაბათ-კვირას თბილისში არ ვიქნებით (მიც. ბრუნვა); დილით თოვდა; ღამით ციოდა (მოქმ. ბრუნვა).

ზმნიზედებია -ივ და -ჯერ დართული სიტყვები: მარჯვნივ, მარცხნით. ირგვლივ, დაუყოვნებლივ, განუშორებლივ; ორჯერ, სამჯერ, ზოგჯერ და სხვ.

მიგებითი ნაწილაკები მომდევნო სიტყვებისაგან მძიმით გამოიყოფა. თუ ასეთი სიტყვები არ ახლავს, მათ შემდეგ წერტილი იწერება. მაგ.:

– წავიდა დედაშენი?

– ჰო, წავიდა.

– მოიტანე?

– დიახ, ბატონო!

– თუ იცანი? – ჰკითხა იალქანიძემ თუთაშხიას, სტუმრები რომ წავიდნენ.

–კი.

– მამაშენის წერილი მოდის? – მკითხა მან მოულოდნელად.

– არა.

2.1.10. თანდებული

თანდებული არის დამხმარე მეტყველების ნაწილი, რომელიც დაერთვის სახელის გარკვეული ბრუნვის ფორმას და ამყარებს სხვადასხვა მიმართებას სახელსა და სახელს, ან სახელსა და ზმნას შორის.

2.1.10.1. *თანდებულიანი ბრუნვები*

თანდებული ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილია. იგი დაერთვის სახელის ბრუნვის ფორმას. თანდებულიანი ბრუნვებია: სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. მოთხრობითი და წოდებითი თანდებულს არ დაირთავენ.

ა. -ვით თანდებულიანი სახელობითი და მიცემითი

-ვით სახელობითისა და მიცემითის საზიარო თანდებულია. დაერთვის მიცემითი ბრუნვის გავრცობილ ფორმა: ამხანაგსა-ვით, ძმასა-ვით, ხესა-ვით, წყაროსა-ვით, ბუსა-ვით. იგი ბოლოთანხმოვნიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმასაც დაერთვის. ითქმის ამხანაგი-ვით და ამხანაგსა-ვით, არწივი-ვით და არწივსა-ვით... ეს ფორმები მნიშვნელობით ერთნაირია.

ბ. თანდებულიანი მიცემითი

მიცემითი ბრუნვის თანდებულებია: -თან (თანა), -ზე (ზედა), -ში (შინა).

-თან (თანა) დაერთვის ბოლოხმოვნიანი სახელის გაუვრცობელ ფორმას: ძმასთან (ძმას-თანაც), ხეს-თან, ორმოს-თან, ნუნუს-თან... ხოლო ბოლოთანხმოვნიან ფუძეებთან თავს მოიყრის რამდენიმე თანხმოვანი, რომელთა ერთად წარმოთქმაც ძნელია და ბრუნვის ნიშანი იკარგება: კარ-თან (კარ-ს-თან), სახლ-თან (სახლ-ს-თან), ბავშვ-თან (ბავშვ-ს-თან).

-ზე (ზედ, ზედა-ც) და -ში თანდებულების დართვისას ბრუნვის ნიშანი ს იკარგება (მომდევნო ზ და შ ბგერების გავლენით): მაგიდა-ზე (მაგიდა-ს-ზე), სახლზე (სახლ-ს-ზე)... მაგიდა-ში (მაგიდა-ს-ში), სახლში (სახლ-ს-ში)....

გ. თანდებულიანი ნათესაობითი

ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის თანდებულები: -თვის, -გან, -კენ, -თანავე, -ებრ.

-თვის, -გან და -კენ დაერთვის როგორც გაუვრცობელ, ისე გავრცობილ ფორმას: ამხანაგის-თვის და ამხანაგისა-თვის, ამხანაგის-გან და ამხანაგისა-გან, ქალაქის-კენ და ქალაქისა-კენ.

-თანავე (თანა-ვე) დაერთვის მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის გაუვრცობელ ფორმას: მოსვლ-ის-თანავე, ზარის დარეკვ-ის-თანავე, დანახვ-ის-თანავე...

-ებრ დაერთვის სახელთა ნათესაობითის ფორმას ან ფუძეს: ლომის-ებრ, ლომ-ებრ.

დ. თანდებულიანი მოქმედებითი

მოქმედებითი ბრუნვის ფორმას დაერთვის -ურთ და -გან თანდებულები.

-ურთ დაერთვის გაუვრცობელ ფორმას: მეგობრ-ით-ურთ, ძმ-ით-ურთ, მებაღ-ით-ურთ, გიორგი-თ-ურთ...

-გან თანდებული გაუვრცობელ ფორმას დაერთოდა. შემდეგ გ დაიკარგა და ამჟამად გვაქვს: სახლ-იდან, ხ-იდან, ორმო-დან, ე.ი. შეცვლილია ბრუნვის ნიშანიც და თანდებულიც.

ვისგან და რისგან კითხვებზე -გან თანდებული ნათესაობითის ფორმას უნდა დაერთოს, საიდან და რა დროიდან კითხვებზე კი -გან თანდებულიანი მოქმედებითისაგან მიღებული ფორმა უნდა ვიხმაროთ. მაგ.

ვისგან? – აქ შეფარებული ჯიხვი მონადირისაგან ხელუხლებელი რჩებოდა; რისგან? – ნიაღვრისაგან დაღარული მთელი კლდე; საიდან? – ბიჭი გავიდა ოთახიდან; რა დროიდან? – იმათი ბრძოლა დილიდან საღამომდე გაგრძელდა.

ე. თანდებულიანი ვითარებითი

ვითარებითის ფორმას -მდე (-მდის) თანდებული დაერთვის. თანდებილის დართვისას ბრუნვის ნიშნის დ იკარგება: სახლ-ა-მდე (სახლ-ად-მდე), მთა-მდე (მთა-დ-მდე), კლდე-მდე (კლდე-დ-მდე).

2.1.10.2. *ნაწილაკიანი ბრუნვის ფორმები*

არსებითი სახელის უთანდებულო თუ თანდებულიან ფორმებს შეიძლება დაერთოს ნაწილაკები: -ც (-ცა), -ღა, -ვე: ამხანაგიც, ამხანაგმაც, ამხანაგსაც... ამხანაგიღა, ამხანაგმაღა... ამხანაგივე, ამხანაგმავე... ამხანაგისთვისაც, ამხანაგისთვისვე, ამხანაგისთვისღა...

2.1.10.3. *ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით*

ზოგიერთი ზმნიზედა ხშირად თანდებულის მნიშვნელობით იხმარება. ასეთებია, მაგ., ადგილისა და დროის ზმნიზედები: წინ, უკან, ქვეშ, ზევით (ზემოთ), ქვევით (ქვემოთ), წინათ, შემდეგ, ირგვლივ, გარშემო, ახლოს, აქეთ, იქით, გაღმა, გამოღმა და სხვ. მაგ., ირგვლივ ადგილის ზმნიზედაა, როცა ვამბობთ: ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, მაგრამ თანდებულია ამ წინადადებაში: ჭაბურღილის ირგვლივ ფუსფუსებდნენ მუშები.

ზმნიზედა თანდებულად, ჩვეულებრივ, ნათესაობითის ფორმას ახლავს, იშვიათად – მიცემითის ფორმასაც: სახლის წინ, სახლის უკან, სახლის ირგვლივ, სახლის გარშემო, სახლის ახლოს, სახლის აქეთ და სხვ.

ერთმარცვლიანი ქვეშ ერთმარცვლიანი ბოლოთანხმოვნიანი სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმასაც დაერთვის, ბრუნვის ნიშანი იკარგება და შერწყმულია სახელთან: ხიდქვეშ, ჭერქვეშ, ბედქვეშ.

2.1.11. კავშირი

კავშირი ჰქვია დამხმარე მეტყველების ნაწილს, რომელიც უცვლელია და აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას.

კავშირებია: და, თუ, მაგრამ, ხოლო, თორემ, ან, რომ, თუ არა, რათა, ე.ი. (ესე იგი), ანუ...

ზოგიერთი კავშირი აერთებს როგორც ორ წევრს, ისე ორ წინადადებას.

ზოგი კავშირი მხოლოდ წინადადებებს აერთებს. ასეთი კავშირებია: რომ, რათა, რაკი, თუ არა, სანამ, ვიდრე, რადგანაც.

2.1.11.1. *კავშირის ჯგუფები*

კავშირი ორგვარია: მაერთებელი და მაქვემდებარებელი.

მაერთებელი კავშირი აერთებს ორ ერთგვარ წევრს ან ორ ისეთ წინადადებას, რომლებიც ერთმანეთის მიმართ თანასწორია. მაქვემდებარებელი კავშირი ორ ისეთ წინადადებას აერთიანებს, რომელთაგანაც ერთი მთავარია და მეორე დამოკიდებული.

მაქვემდებარებელი კავშირებია: რომ, თუ არა, რათა, რაკი, ვიდრე და სხვ. მაქვემდებარებელ კავშირებად არის გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც.

თუ მაერთებელი კავშირიც არის და მაქვემდებარებელიც. ერთი წინადადება მეორისაგან მძიმით გამოიყოფა, თუ მათ შორის არ არის ნახმარი და კავშირი.

2.1.12. ნაწილაკი

ნაწილაკი ჰქვია დამხმარე მეტყველების ნაწილს, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ სიტყვას ან მთელ წინადადებას და სხვა ელფერს აძლევს მას მნიშვნელობის მხრივ. მაგ., ნაწილაკებია ოდე და ნუთუ.

ნაწილაკი შერწყმულია სიტყვასთან ან ცალკე მდგომია. შერწყმული ნაწილაკებია: ოდე, ც (იგიც), ვე (იგივე), ღა (ორიღა), მე (ვინმე). ცალკე მდგომია: არ, ვერ, ნუ, ხომ, განა, ნუთუ, თურმე, ხოლო და სხვ.

ზოგიერთი ნაწილაკის ადგილი მყარია: უძღვის იმ სიტყვას, რომელსაც ახლავს, ან მოსდევს მას. უძღვის: არ, ვერ, ნუ. მოსდევს: მეთქი, თქო, ო, ხოლმე.

ზოგი ნაწილაკი აწარმოებს გრამატიკულ ფორმას, ზოგიც შინაარსს უცვლის სიტყვას.

ნაწილაკი უცვლელია. გვხვდება ყველა მეტყველების ნაწილთან და წინადადების წევრი არ არის.

2.1.12.1. *ნაწილაკთა ჯგუფები*

ნაწილაკები მნიშვნელობით მრავალფეროვანია. ამასთანავე, ერთი და იგივე ნაწილაკი ზოგჯერ სხვადასხვა სიტყვასთან განსხვავებული მნიშვნელობისაა.

მოიპოვება მსგავსი მნიშვნელობის ნაწილაკების რამდენიმე ჯგუფი, როგორებიცაა: კითხვითი, უარყოფითი, განუსაზღვრელობითი, მიახლოებითი, გაძლიერებითი, გამორჩევითი, ნება-სურვილისა, სიტყვასიტყვითი, მიგებითი.

1. კითხვითი ნაწილაკები: ხომ, განა, ნუთუ;
2. უარყოფითი ნაწილაკები: არ, ვერ, ნუ; აღარ, ვეღარ, ნუღარ; არც, ვერც, ნურც; აღარც, ვეღარც, ნუღარც, როდი (=არ);
3. განუსაზღვრელობითი ნაწილაკები: -მე, -ღაც(ა);
4. მიახლოებითი ნაწილაკები: თითქმის, ლამის, კინაღამ, ოდე;
5. გაძლიერებითი ნაწილაკები: -ც (-ცა), -ც კი, კიდეც, მაინც, უკვე;
6. გამორჩევითი ნაწილაკები: -ღა, მხოლოდ;
7. ნება-სურვილისა და გრძნობის გამომხატველი ნაწილაკები. აქ რამდენიმე ქვეჯგუფი გამოიყოფა:
   ა. *განცვიფრებისა: რა, არ, აკი, აკი არ;*
   ბ. *ნატვრითი: ნეტავი, -მც, -მც კი;*
   გ. *ნება-სურვილისა: დაე (დეე, დე), ვინძლო*, ვაითუ.
8. სიტყვასიტყვითი ნაწილაკები: -მეთქი, -თქო, -ო. ეს ნაწილაკები, როგორც ვიცით, პირდაპირი ნათქვამის ნაწილაკებია;
9. მიგებითი ნაწილაკები. ნაწილაკებშია მოქცეული მიგებითი სიტყვები, რომლებიც იხმარება ცალკე, კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას ეწევიან. ასეთი ნაწილაკები ორგვარია: დადასტურებითი და უარყოფითი.

დადასტურებითია: ჰო, კი, დიახ (დიაღ).

უარყოფითია: არა, ვერა.

ამათგან დიახ მორიდებულ, თავაზიან საუბარში იხმარება.

-ცა, არა და ვერა ნაწილაკები დამოუკიდებლად და სხვა ნაწილაკების მომდევნოდ (არცა, ვერცა, ნურცა; აღარა, ვეღარა, ნუღარა) თანამედროვე ქართულში, განსხვავებით ძველისგან, ზმნისწინისა და გვარის ან ქცევის ნიშანთა მქონე ზმნების წინ ა დაბოლოებას კარგავს. ეს ა თუ ფორმაში დარჩა, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ელემენტი ხდება, როგორც -ა დაბოლოება სახელთა ბოლოს მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში (კაცსა, კაცისა, კაცითა, კაცადა) და ზმნისართთა ბოლოს (აქა, იქა, ხვალა, ზეგა, კარგადა); ასევე ნაცვალსახელთა ბოლოს (ესა, ეგა, ისა, ჩვენა, თქვენა); მაგალითად: "ამხანაგიცა წერს", მაგრამ არ შეიძლება "ამხანაგიცა დაწერს"; "აქა წერს", მაგრამ არ შეიძლება "აქა დაწერს", "ძმასა სწერს წერილს", მაგრამ არ შეიძლება "ძმასა მისწერს წერილს"; "ესა წერს", მაგრამ არ შეიძლება "ესა დაწერს" და სხვ.

2.1.13. შორისდებული

შორისდებული ჰქვია უცვლელ მეტყველების ნაწილს, რომელიც უშუალოდ გამოხატავს ადამიანის სულიერ განწყობილებას, გრძნობასა თუ ნება-სურვილს.

მაგ.: ახ, ვიშ, ეჰ, ვაი, ერიჰა, ჰეი, ყოჩაღ, სუ...

ახ ნატვრას გამოხატავს, ვიშ — სიხარულს, აღტაცებას, ეჰ — დანანებას, ვაი — მწუხარებას, ერიჰაა — გაკვირვებას, ჰეი — მოწოდებას, ყოჩაღ — მოწონებას, სუ — მთქმელის ნება-სურვილს, ბრძანებას.

შორისდებულის მნიშვნელობის გასარკვევად წარმოთქმისას მთავარია ტონი. ამიტომ ერთი და იგივე გრძნობა შეიძლება სხვადასხვა შორისდებულით გამოიხატოს, ან ერთი და იმავე დაწერილობის შორისდებულით სხვადასხვა გრძნობა გადმოიცეს.

შორისდებული განცალკევებით მდგომი მეტყველების ნაწილია. იგი არც სრულმნიშვნელობიანია და არც დამხმარე: წინადადების წევრიც არ არის, მაგრამ შეიძლება, რომ იგი სახელის მნიშვნელობით იქნეს ნახმარი და მაშინ წინადადების წევრი გახდება. მაგ., ვაი და უი მწუხარების გამომხატველი შორისდებულია, მაგრამ ორივე არსებითი სახელია, მიცემით ბრუნვაში დგას და ირიბი ობიექტია ამ წინადადებაში: ოთხი გამოქცეული ვაის გაეყარა და უის შეეყარა (ჯავახ.).

2.2. **სინტაქსი**

სინტაქსი არის გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის წინადადების ტიპებს და სიტყვათა შეკავშირების წესებს წინადადებაში. იგი არკვევს, რა და რა სახის სიტყვები შეიძლება შეეწყოს ერთმანეთს, რა სახის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მათ შორის და რა დანიშნულება აქვს ამა თუ იმ სიტყვას წინადადებაში.

სინტაქსური ერთეულები

სინტაქსური ერთეულებია წინადადება, წინადადების წევრი და სინტაქსური წყვილი.

წინადადება ჰქვია ერთ ან რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვას, რომლებიც ამა თუ იმ აზრს გადმოგვცემენ. მაგ.: ბინდდებოდა, ნელი სიო ოდნავ არხევდა ფოთლებს (გვეტ.). პირველი წინადადება ერთი სიტყვით არის გადმოცემული, მეორე – ხუთით. წინადადება შინაარსისა და აგებულების მიხედვით სხვადასხვაგვარია.

2.2.1. სინტაქსური ურთიერთობის სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა

წყვილის წევრთა სინტაქსური ურთიერთობის ძირითადი სახეებია: შეთანხმება, მართვა და მირთვა.

შეთანხმება ჰქვია სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, როცა დაქვემდებარებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც აქვს მთავარ სიტყვას.

სახელს ზმნა და სახელი შეიძლება შეეთანხმოს რიცხვში.

მართვა ეწოდება სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, როდესაც ერთი სიტყვა მეორისაგან მოითხოვს იმ ფორმას, რომელიც მას არ აქვს.

მირთვა ჰქვია სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, როდესაც ფორმაუცვლელი სიტყვა აზრობრივად არის შეწყობილი მთავარ სიტყვასთან.

2.2.2. წინადადება

ცალკე აღებული სრულმნიშვნელობიანი სიტყვა ლექსიკური ერთეულია, იგივე სიტყვა წინადადებაში სხვა სიტყვასთან დაკავშირებისას წინადადების ნაწილია, რომელსაც წინადადების წევრი ჰქვია.

წინადადების წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება, უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება.

წინადადების წევრები ორგვარია: მთავარი და არამთავარი. მთავარია: შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება, ხოლო უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება არამთავარი წევრებია.

მთავარი წევრებია წინადადების საფუძველი, არამთავარი წევრები კი დამატებით ცნობას იძლევიან მთავარი ან არამთავარი წევრების შესახებ და ხელს უწყობენ, რომ აზრი უფრო სრულად და ზუსტად გადმოიცეს.

2.2.3. წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით

შინაარსის მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-ძახილისა.

თხრობითი წინადადება

თხრობითია წინადადება, რომელიც მოგვითხრობს, გადმოგვცემს რამეს. იგი წარმოითქმის მშვიდად, წინადადების ბოლოს ხმას ვადაბლებთ და ვჩერდებით.

თხრობითი წინადადების ბოლოს წერტილი დაისმის.

კითხვითი წინადადება

კითხვითია წინადადება, რომელიც კითხვას შეიცავს. იგი ძირითადად ორგვარია: კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი.

ა. კითხვითსიტყვიან კითხვით წინადადებაში მახვილი კითხვით სიტყვაზეა. წინადადების ბოლოს ხმის აწევა და ხმოვნის გაგრძელებულად წარმოთქმა არ უნდა. ამ ტიპის კითხვით წინადადებას, ჩვეულებრივ, კითხვითი სიტყვა იწყებს.

ბ. თუ წინადადებაში არ ურევია კითხვითი სიტყვა, შეკითხვის მახვილი ზმნა-შემასმენელის ბოლო მარცვალზეა.

გ. თუ ზმნა-შემასმენელი არ არის (გამოტოვებულია), კითხვის მახვილი ბოლო სიტყვის ბოლო მარცვალზეა (თუ წინადადების ბოლო სიტყვა არ არის მიმართვა).

კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი დაისმის.

ბრძანებითი წინადადება

ბრძანებითია წინადადება, რომელიც მოითხოვს მთქმელის ნება-სურვილის შესრულებას.

ბრძანებითი წინადადება შინაარსისა და წარმოთქმის ხასიათის მიხედვით მრავალფეროვანია. იგი, გარდა საკუთრივ ბრძანებისა, შეიძლება გამოხატავდეს მოწოდებას, თხოვნას, დალოცვას, წყევლას, გაფრთხილებას, გამხნევებას, მიწვევა-მიპატიჟებას, რჩევა-დარიგებას, აკრძალვასა და სხვ.

ბრძანებითი წინადადება აკრძალვითია, თუ წინადადებაში არის უარყოფითი ნაწილაკები ნუ ან არ (ცალკე ან ამ ნაწილაკების შემცველი სიტყვები: ნუღარ, ნურსად, ნურვინ, არსად, არვინ და სხვ.).

ძახილის წინადადება

ძახილისაა წინადადება, რომელსაც ახლავს მთქმელის დიდი გრძნობა: გაკვირვება-განცვიფრება, აღტაცება, ნატვრა, დანანება, მწუხარება და სხვა. ის ინტონაციურად მრავალფეროვანია.

ძახილის წინადადების ბოლოს ძახილის ნიშანი დაისმის.

წართქმითი და უკუთქმითი წინადადება

როგორი შინაარსისაც უნდა იყოს წინადადება, იგი იქნება წართქმითი ან უკუთქმითი.

წართქმითია წინადადება, თუ ზმნა-შემასმენლით აღნიშნული მოქმედების შესრულება დადებითად არის გამოხატული.

უკუთქმითია წინადადება, თუ ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების შესრულება უარყოფილია. წინადადებას უკუთქმით შინაარსს აძლევს უარყოფითი ნაწილაკები (არ, ვერ, ნუ, აღარ, ვეღარ, ნუღარ), ამ ნაწილაკებით ნაწარმოები უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები.

2.2.4. წინადადების სახეები აგებულების მიხედვით

აგებულების მიხედვით წინადადება სამგვარია: მარტივი, შერწყმული და რთული.

მარტივია წინადადება, თუ იგი გადმოცემულია ერთი ან რამდენიმე სიტყვით, რომლებშიც არ ურევია ერთგვარი წევრები.

შერწყმულია წინადადება, თუ შიგ მოიპოვება ორი ან ორზე მეტი ერთგვარი წევრი.

რთულია წინადადება, თუ იგი შედგება ორი ან მეტი მარტივისა თუ შერწყმული წინადადებისაგან.

2.2.5. მარტივი წინადადების შედგენილობა მთავარ წევრთა მიხედვით

მთავარ წევრთა რაოდენობას წინადადებაში ზმნა-შემასმენელი განსაზღვრავს: ერთპირიან ზმნასთან ქვემდებარეა წარმოდგენილი, ორპირიანთან – ქვემდებარე და დამატება-ობიექტი (გარდამავალთან – პირდაპირი, გარდაუვალთან – ირიბი), სამპირიანთან – ქვემდებარე და ორივე დამატება. გარდა ამისა, ზმნა-შემასმენელთან ზოგჯერ ქვემდებარე არ არის და ასეთად ამჟამად ვერც ვიგულისხმებთ რომელიმე სახელს, ე.ი. წინადადებაში მარტო ერთი მთავარი წევრია.

მაშასადამე, ქართული მარტივი წინადადება მთავარ წევრთა მიხედვით ოთხგვარია: ერთმთავარწევრიანი, ორმთავარწევრიანი, სამმთავარწევრიანი და ოთხმთავარწევრიანი.

2.2.5.1. *გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება*

მარტივი წინადადება გაუვრცობელია ან გავრცობილი.

გაუვრცობელია მარტივი წინადადება, რომელიც მხოლოდ მთავარ წევრებს შეიცავს:

1. ცხელოდა.
2. ფიჭვი იდგა.
3. სიო არხევდა ფოთლებს.
4. ტყეს ჩრდილი მოეფინა.
5. ვერხვი მუხას გადახვევს მკლავებს.

გავრცობილია წინადადება, რომელშიც მოიპოვება ერთი ან მეტი არამთავარი წევრიც.

2.2.5.2. *სრული და უსრული წინადადება*

მარტივი წინადადება სრულია ან უსრული.

წინადადება სრულია, თუ გამოტოვებულად არ იგულისხმება რომელიმე წევრი.

წინადადება უსრულია, თუ გამოტოვებულად იგულისხმება ერთი ან რამდენიმე წევრი, რომელთა აღდგენაც ადვილად შეიძლება წინა ნათქვამის ან სხვა ვითარების მიხედვით.

უსრული წინადადება ხშირად გვხვდება დიალოგებში კითხვა-მიგების დროს.

2.2.5.3. *უქვემდებარო წინადადება*

უქვემდებაროა წინადადება, რომლის შემასმენელთანაც ქვემდებარე არ არის და არც გამოტოვებულად იგულისხმება.

უქვემდებარო წინადადების ზმნა-შემასმენელი ხშირად აღნიშნავს ბუნების მოვლენებს და იხმარება მხოლობითი რიცხვის მე-3 სუბიექტური პირის ფორმით.

უქვემდებაროდ ხშირად იხმარება აგრეთვე ჯანმრთელობის ვითარების გამომხატველი ზმნები, როგორებიცაა: მაციებს, მაზმორებს, ცხვირს მაცემინებს.

ზოგიერთი ორპირიანი თუ სამპირიანი ზმნა ზოგჯერ კარგავს სუბიექტური პირის გაგებას და უქვემდებაროდ იხმარება.

ზოგიერთ უქვემდებარო ზმნა-შემასმენელთან იშვიათად ქვემდებარეც გვხვდება. მაგ., თოვს და წვიმს, ჩვეულებრივ, უქვემდებარო ზმნებია, მაგრამ ზოგჯერ ქვემდებარითაც გვხვდება: "თოვლი თოვს, ჯიხვი ფეხს უცემს".

ზმნამ შეიძლება დაკარგოს დამატებაც: დაგვიზამრთდა. დღემ იკლო, ღამემ იმატა (წერ.). პირველი ზმნა უქვემდებაროა, მეორე და მესამე – უდამატებო (დაკარგულია პირდაპირი დამატება). სამპირიანმა ზმნამ შეიძლება დაკარგოს ორივე დამატება: "ყინვამ მოუჭირა".

2.2.6. წინადადების მთავარი წევრები

წინადადების მთავარი წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე და დამატება-ობექტები (პირდაპირი და ირიბი დამატება).

2.2.6.1. *შემასმენელი*

შემასმენელი წინადადების ძირითადი წევრია. იგი მნიშვნელობით მრავალფეროვანია და გამოხატავს:

1. საგნის მოქმედებას;
2. საგნის მდგომარეობას;
3. რა მოსდის საგანს;
4. როგორია საგანი;
5. ვინ არის საგანი;
6. რა არის საგანი.

კითხვებიც შესაბამისია: რას შვრება საგანი? რა მდგომარეობაშია საგანი? რა მოსდის საგანს? როგორია საგანი? ვინ არის საგანი? რა არის საგანი?

შემასმენელი ქვემდებარეს, პირდაპირ და ირიბ დამატებებს განსაზღვრულ ბრუნვებში შეიწყობს. აღნიშნულ პირმიმართ აქტანტთა (S, Od, Oind) ბრუნვებისთვის რელევანტურია გვარი და უღლების სერია იმ ზმნისა, რომლითაც შემასმენელია წარმოდგენილი.

2.2.6.1.1. *მარტივი შემასმენელი*

შემასმენელი ორგვარია: მარტივი და შედგენილი.

მარტივია შემასმენელი, რომელიც გადმოცემულია ზმნის ამა თუ იმ მწკრივის ფორმით.

ზმნის მწკრივის ფორმა ზოგჯერ რთულია, მეშველზმნიანი, მაგრამ ასეთი ფორმებიც მარტივი შემასმენლებია.

2.2.6.1.2. *შედგენილი შემასმენელი*

შედგენილია შემასმენელი, რომელიც გადმოცემულია ორი სიტყვით – ბრუნებადი სიტყვითა და მეშველი ზმნით.

ბრუნებადი სიტყვა სახელია (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) ან სახელზმნა და, ჩვეულებრივ, სახელობით ბრუნვაში დგას.

მეშველ ზმნად მეტწილად იხმარება ვარ და მისი მონაცვლე ზმნათა ფორმები.

2.2.6.2. *ქვემდებარე*

ქვემდებარე ჰქვია წინადადების მთავარ წევრს, რომელიც ზმნის სუბიექტურ პირთან არის შეწყობილი.

ქვემდებარედ შეიძლება იყოს მხოლოდ სუბსტანტივი (არსებითი სახელი, ნაცვალსახელი და რომელიმე სხვა გაარსებითებული მეტყველების ნაწილი). მისი მახასიათებელია პირის, რიცხვისა და ბრუნების კატეგორიები. ქვემდებარე ამ კატეგორიებით ამყარებს კავშირს შემასმენელთან – ეს სინტაქსური კავშირია.

ქვემდებარე შემასმენლით გამოხატული ქმედების ინიციატორია (სუბიექტია ზმნისა).

ქვემდებარისა და შემასმენლის კავშირი ორმხრივია. ქვემდებარეზეა დამოკიდებული რიცხვის აღნიშვნა შემასმენელში, კერძოდ:

ა. "ვინ ჯგუფის" ქვემდებარე უთუოდ შეითანხმებს ნებისმიერ შემასმენელს რიცხვში: "ბიჭები მოვიდნენ", "ბიჭები დგანან", "ბიჭებმა წერეს" და სხვა.

ბ. თუ ქვემდებარე -ნ / -თ სუფიქსებიან მრავლობითშია, უთუოდ შეითანხმებს შემასმენელს რიცხვში, არ აქვს მნიშვნელობა, სახელთა რომელ ჯგუფს განეკუთვნება ქვემდებარე: "ხენი დგანან" (და არა "ხენი დგას").

გ. თუ ქვემდებარე -ებ სუფიქსიან მრავლობითშია, მაშინ შემასმენელთან რიცხვითი სინტაქსური ურთიერთობისათვის მნიშვნელობა აქვს იმას: (ა) ქვემდებარე არსებით სახელთა რომელ ჯგუფს განეკუთვნება და (ბ) თვით შემასმენელი დინამიკურ ქმედებას გამოხატავს თუ სტატიკურ მდგომარეობას. ამ ნიშანთა მიხედვით:

დ. სულიერი სახელით გამოხატული ქვემდებარე დინამიკურ შემასმენელს შეითანხმებს მრავლობით რიცხვში ("ჩიტები მოფრინავენ", "ჭიანჭველები მოცოცავენ"...);

ე. მდგომარეობის ზმნები "რა ჯგუფის" სახელებს რიცხვში არ უთანხმდებიან ("ჩიტები მოჩანს", "წურბლები ეკიდა", "ხეები დგას"...);

ვ. კრებითი სახელები ფუძემონაცვლე (რიცხვის მიხედვით) ზმნებთან განარჩევენ მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს ("ქვა ჩამოვარდა" – "ქვები ჩამოცვივდა", "ქვა გდია" – "ქვები ყრია", "ვაშლი აბია" – "ვაშლები ასხია"...);

ზ. თუ ქვემდებარე I ან II პირშია, ქვემდებარე ყოველთვის ითანხმებს შემასმენელს რიცხვში ("ჩვენ ვწერთ", "თქვენ დაიბენით", "ჩვენ ვდგავართ", "თქვენ ხარხარებთ" და ა.შ.).

2.2.6.3. *ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა*

მხოლობით რიცხვში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენელიც მხოლობითში დგას:

შაშვი ძალიან აღტაცებით გალობდა.

როცა ქვემდებარეს მსაზღვრელად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის გამომხატველი სახელი, ქვემდებარეც მხოლობით რიცხვში დაისმის და მასთან შეწყობილი შემასმენელიც:

მოპირდაპირე ოთახიდან ორი კაცი გამოვიდა.

კრებითი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემასმენელი მხოლობითში დაისმის:

ხალხი სწრაფად მოგროვდა.

მხოლობით რიცხვში დასმულ და-ძმა ტიპის რთული სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს შემასმენელი მხოლობითში უნდა შევუწყოთ:

და-ძმა იქაურობას გაშორდა.

2.2.6.4. *დამატება-ობიექტები*

წინადადების მთავარ წევრს, რომელიც ზმნის ობიექტურ პირთან არის შეწყობილი, დამატება-ობიექტი ჰქვია.

ობიექტური პირი, როგორც ვიცით, ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. ამის შესაბამისად, დამატება-ობიექტიც ორგვარია: პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება. ამათგან ორპირიან ზმნას ერთ-ერთი ახლავს, სამპირიანს – ორივე.

დამატება-ობიექტები იმავე მეტყველების ნაწილებით გადმოიცემა, რომლებითაც ქვემდებარე.

2.2.6.4.1. *პირდაპირი დამატება*

პირდაპირია დამატება, რომელიც ზმნის პირდაპირობიექტურ პირთან არის შეწყობილი. პირდაპირი დამატება მხოლოდ გარდამავალ ზმნას მოეპოვება. იგი ბრუნვაცვალებადია: პირველი სერიის ფორმებთან მიცემით ბრუნვაში დგას, მეორისა და მესამე სერიის ფორმებთან კი – სახელობითში.

პირდაპირ დამატებად შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერი სუბსტანტივი (არსებითი სახელი ან გაარსებითებული სხვა მეტყველების ნაწილი). პირდაპირი დამატების ბრუნვებს მართავს შემასმენელი. ამიტომ ეს საკითხი განხილულია შემასმენელთან (იხ. შემასმენელი).

სალიტერატურო ქართულის ნორმათა მიხედვით, პირდაპირი დამატება შემასმენელს მართავს მხოლოდ I და II პირებში.

I მე მ-ხატავს, II შენ გ-ხატავს, III მას ხატავს.

I ჩვენ გვ-ხატავს, II თქვენ გ-ხატავ-თ, III მათ ხატავს.

2.2.6.4.2. *ირიბი დამატება*

ირიბია დამატება, რომელიც ზმნის ირიბობიექტურ პირთან არის შეწყობილი.

ირიბი დამატება მოეპოვება ორპირიან გარდაუვალსა და სამპირიან გარდამავალ ზმნას. ორპირიან გარდაუვალ ზმნას ირიბი დამატება სამივე სერიის ფორმებთან აქვს, გარდამავალს კი – მხოლოდ პირველსა და მეორე სერიაში: სამპირიანი ზმნა მესამე სერიაში ორპირიანად გადაკეთდება და ის სახელი, რომელიც ირიბ დამატებას გამოხატავდა, ნათესაობითში დადგება, -თვის თანდებულს დაირთავს და წინადადების არამთავარი წევრი გახდება.

ირიბი დამატება ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას, ე.ი. ბრუნვაუცვლელია.

1. I პირში ირიბი დამატების სიმრავლე გამოხატულია გვ- პრეფიქსით (გვ-იყვება, გვ-ეხვეწება), რომელიც I პირსაც გამოხატავს და მის სიმრავლესაც.

2. II პირის სიმრავლე გამოიხატება -თ სუფიქსით ("ის თქვენ გიყვებათ"; "ის თქვენ გეხვეწება-თ").

სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, რიცხვში შეთანხმება ხდება სამსავე პირში.

2.2.7. წინადადების არამთავარი წევრები

წინადადების არამთავარი წევრებია: უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება.

2.2.7.1. *უბრალო დამატება*

ისეთ დამატებას, რომელიც არ არის შეწყობილი ზმნის ობიექტურ პირთან, უბრალო დამატება ჰქვია.
უბრალო დამატება მოეპოვება სახელზმნებსაც – საწყისსა და მიმღეობას, იშვიათად – ზედსართავ სახელსაც.
უბრალო დამატებათა ბრუნვებია: მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. პირველ სამ ბრუნვაში უბრალო დამატება უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულიანიც, ვითარებით ბრუნვაში კი ყოველთვის უთანდებულოა.
სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით, შემასმენელთან უბრალო დამატებათა კავშირი ცალმხრივია: შემასმენელი განაგებს მათ ფორმაცვალებას ბრუნვათა და თანდებულთა მიხედვით, შემასმენლის ფორმაზე კი მათი გავლენა ვერ აისახება.
მიცემით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატების გამორჩევა უფრო ადვილია მაშინ, როცა შემასმენელი II სერიის ზმნის ფორმითაა წარმოდგენილი: "მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას". რადგან პირდაპირი დამატება ამ სერიაში სახელობით ბრუნვაში დგას (ხელი), "მე" კი პირმიმართი აქტანტია (მომხვიე მე), უბრალო დამატება იქნება "ჭრილობას", რომელიც უფრო ხშირად -ზე თანდებულიანია ("მომხვიე ჭრილობაზე ხელი").
III სერიაში II სერიის მიცემით ბრუნვაში დასმული ირიბი დამატება -თვის თანდებულიანი უბრალო დამატებით იცვლება ("მან მეგობარს კარადა გაუკეთა" – "მას მეგობრისთვის კარადა გაუკეთებია"). მიცემითი ბრუნვის ფორმები II სერიიდან III სერიაში -თვის თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმებით შეიცვლება.
მიცემით ბრუნვაში უბრალო დამატება სხვა თანდებულებითაც გვხვდება: "ის სახლზე ბევრს ფიქრობდა"; "ამ სახლში ამდენს ვერ გადაიხდის"; "მისი ფიქრები ყოველთვის სახლთან იყო დაკავშირებული"...
უბრალო დამატება სხვა ბრუნვებითაც გამოიხატება:
ნათესაობითი ბრუნვა: "ძმისგან წერილი მიიღო".
მოქმედებითი ბრუნვა: "ძმით ამაყობს".
ვითარებითი ბრუნვა: "ძმად მიიჩნია" ("რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს...".

2.2.7.2. *განსაზღვრება*

განსაზღვრება ჰქვია წინადადების არამთავარ წევრს, რომელიც ახლავს არსებით სახელს და საგანს რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს (განსაზღვრავს). იგი გადმოიცემა ზედსართავი სახელით (კარგი ამხანაგი), რიცხვითი სახელით (მეოცე საუკუნე), ნაცვალსახელით (ჩვენი სამშობლო), არსებითი სახელით (მეზობლის სახლი), სახელზმნით (დაბურული ტყე).
განსაზღვრების კითხვებია: როგორი? რომელი? რამდენი? სადაური? როდინდელი? ვისი? რისა?
განსაზღვრება ფორმის მიხედვით ორგვარია: შეთანხმებული და მართული.

2.2.7.2.1. *მართული განსაზღვრება*

მართულია განსაზღვრება, რომელიც არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის გადმოცემული (უთანდებულოდ) და აღნიშნავს კუთვნილებას ან მასალას, ან კიდევ დანიშნულებას: მეგობრის წიგნი, აგურის სახლი, სუფრის კოვზი.
განსაზღვრება დღევანდელ ქართულში, ჩვეულებრივ, საზღვრული სახელის წინ დგას, მაგრამ ზოგჯერ (უფრო ლექსებში) ის საზღვრულის შემდეგაც არის.
მდინარის მიღმა შრიალებდა მინდორი დიდი (მ. მაჭ.).

2.2.7.2.2. *შეთანხმებული განსაზღვრება*

შეთანხმებულია განსაზღვრება, თუ მისი ბრუნვის (და რიცხვის) ფორმა დამოკიდებულია საზღვრული სახელის ბრუნვის (და რიცხვის) ფორმაზე. მაგ., ვამბობთ: ხმელი წიფელი, ხმელმა წიფელმა, ხმელო წიფელო. განსაზღვრება, რომელიც აქ ზედსართავი სახელითაა გადმოცემული, ეთანხმება საზღვრულ არსებითს ბრუნვაში.
განსაზღვრება საზღვრულ სახელს ზოგჯერ შეიძლება შეეთანხმოს მრავლობით რიცხვშიც: დაღამდა, წვრილნი ვარსკვლავნი აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა (ვაჟა).
წინ მდგომი თუ მომდევნო განსაზღვრება ზოგჯერ გათიშულია საზღვრული სახელისაგან: "ცივმა დაჰბერა ნიავმა".
განსაზღვრების საზღვრულთან შეწყობის ძირითადი წესებია:

1. ბოლოხმოვნიანი სახელით გადმოცემული განსაზღვრება, რომელიც საზღვრულის წინ დგას, დღევანდელ ქართულში ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს;
2. ბოლოთანხმოვნიანი სახელით გადმოცემული წინ მდგომი განსაზღვრება ბრუნვის ნიშნებს დაირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში: ხმელი წიფელი, ხმელმა წიფელმა, ხმელო წიფელო.
3. პირველი და მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელებით გადმოცემულ განსაზღვრებას უნდა დაერთოს ს მიცემითსა და ვითარებითში: ჩემს მეგობარს, ჩემს მეგობრად; შენს მეგობარს, შენს მეგობრად; ჩვენს მეგობარს, ჩვენს მეგობრად; თქვენს მეგობარს, თქვენს მეგობრად. ს უნდა დაერთოს ამ ბრუნვებში მესამე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელსაც მრავლობითი რიცხვისას: მათს მეგობარს, მათს მეგობრად.
4. საკუთარი სახელის განსაზღვრებად გამოყენებული ბოლოთანხმოვნიანი არსებითი სახელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, დანარჩენ ოთხ ბრუნვაში ფუძის სახით უნდა ვიხმაროთ: ექიმი ვახტანგი, ექიმმა ვახტანგმა, ექიმ ვახტანგს, ექიმ ვახტანგის, ექიმ ვახტანგით, ექიმ ვახტანგად, ექიმო ვახტანგ.
5. განსაზღვრება, რომელიც საზღვრული სახელის შემდეგაა, დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: მინდორი მწვანე, მინდორმა მწვანემ, მინდორს მწვანეს, მინდვრის მწვანის, მინდვრით მწვანით, მინდვრად მწვანედ, მინდორო მწვანევ.
6. გათიშული განსაზღვრება დაირთავს ბრუნვის ნიშნებს მაშინაც, როცა ის უსწრებს საზღვრულ სახელს.
7. მართული განსაზღვრება, რომელიც საზღვრულის წინ დგას, არ იცვლება: მუხის სახლი, მუხის სახლმა, მუხის სახლს და ა.შ. თუ ასეთი განსაზღვრება საზღვრულის შემდეგაა, ან უსწრებს საზღვრულს, მაგრამ გათიშულია, გავრცობილია და დაირთავს ბრუნვის ნიშნებს მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში.

2.2.7.2.3. *მსაზღვრელი წევრის სინტაქსური ურთიერთობა საზღვრულთან*

განსაზღვრება, ანუ მსაზღვრელი, ყოველთვის ახლავს რომელიმე ზმნურ აქტანტს (ქვემდებარესა და დამატებებს).

განსაზღვრებასა და განსაზღვრულ წევრს შორის, ანუ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის, სინტაქსურ ურთიერთობათა სახეობებიდან შესაძლებელია მხოლოდ შეთანხმება, განურჩევლად იმისა, მსაზღვრელი ატრიბუტულია თუ სუბსტანტიური.

შეთახმება წინადადების ორ წევრს შორის ხდება მაშინ, როცა სინტაგმის წევრებს საზიარო კატეგორია ან კატეგორიები აქვთ: (1) საზღვრულსა და მსაზღვრელს ორი კატეგორია აქვთ საერთო – ბრუნვა და რიცხვი; (2) შემასმენელს მის პირმიმართ აქტანტებთან საზიარო აქვს მხოლოდ რიცხვი.

შეთანხმება საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის, უპირველეს ყოვლისა, ხდება ბრუნვათა მიხედვით – ორივე სახელია და ორივე იბრუნვის. საზღვრული ყოველთვის სუბსტანტივია და იჩენს არსებითი სახელის თვისებას, რა მეტყველების ნაწილითაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი, მსაზღვრელი კი ამ სუბსტანტივის თვისებაა. ისიც შეიძლება ნებისმიერი მეტყველების ნაწილით იყოს წარმოდგენილი.

2.2.7.2.4. *ნათესაობითში დასმული განსაზღვრებისა და უბრალო დამატების გარჩევა ერთმანეთისაგან*

ნათესაობითში დასმული განსაზღვრება და უთანდებულო უბრალო დამატება გარეგნულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. რომ გავიგოთ, ასეთი სახელი განსაზღვრებაა თუ უბრალო დამატება, უნდა გამოვარკვიოთ, სახელს ახლავს ის თუ სახელზმნას: სახელთან შეწყობისას გამოხატავს კუთვნილებას (მონადირის სახლი), ან მასალას (ხის სახლი), ან კიდევ დანიშნულებას (სუფრის კოვზი) და განსაზღვრებაა, სახელზმნასთან შეწყობისას კი გამოხატავს მოქმედ საგანს (მონადირის მოკლული დათვი), ან სამოქმედოს (დათვის მოკვლა) და უბრალო დამატებაა.

2.2.7.3. *გარემოება*

გარემოება ჰქვია წინადადების არამთავარ წევრს, რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს და გვიჩვენებს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება. მაგალითად, იქ ადგილის ზმნიზედაა, რომელიც წინადადებაში გარემოებაა და თანაბრად შეეწყობა ზმნის პირიანსა და უპირო ფორმებს: იქ წავიდა, იქ წასვლა, იქ წასული.

გარემოება იშვიათად შეიძლება ახლდეს ზედსართავ სახელსა და ზმნიზედას: ოდნავ წითელი, ძალიან შორს.

გარემოება გადმოიცემა ზმნიზედითა და ბრუნებადი სიტყვით (სახელითა და სახელზმნით).

გარემოების სახეებია: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა.

2.2.7.3.1. *ადგილის გარემოება*

ადგილის გარემოება აღნიშნავს მოქმედების ადგილს. მოგვიგებს კითხვებზე: სად? საითკენ? საიდან? სადამდე?

ადგილის გარემოება გადმოიცემა ადგილის ზმნიზედითა და სახელის უთანდებულო და თანდებულიანი ფორმებით.

სახელი ადგილის გარემოების გადმოსაცემად შეიძლება იდგეს ოთხ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. ნათესაობითი მუდამ თანდებულიანია, სხვა ბრუნვებში უთანდებულო ფორმებიც გვხვდება.

2.2.7.3.2. *დროის გარემოება*

დროის გარემოება აღნიშნავს, თუ როდის ხდება მოქმედება. იგი მოგვიგებს კითხვებზე: როდის? რამდენ ხანს? რა დროიდან? როდემდე? (რა დრომდე?)

დროის გარემოება გადმოიცემა დროის ზმნიზედით, სახელითა და სახელზმნით (საწყისით).

2.2.7.3.3. *ვითარების გარემოება*

ვითარების გარემოება აღნიშნავს, თუ როგორ ხდება მოქმედება. მოგვიგებს კითხვებზე: როგორ? რამდენად? რამდენჯერ? მერამდენედ?

ვითარების გარემოება ახლავს არა მარტო ზმნას (პირიანსა თუ უპიროს), არამედ ზედსართავ სახელსა და ზმნიზედასაც: ძალიან კარგი, ოდნავ წითელი, მეტად შორს, უფრო მაღლა...

ვითარების გარემოება გადმოიცემა ზმნიზედით, სახელითა და სახელზმნით. ბრუნვის ფორმათაგან ვითარების გარემოების გადმოსაცემად გამოყენებულია სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი.

2.2.7.3.4. *მიზეზის გარემოება*

მიზეზის გარემოება, გამოხატავს მოქმედების გამომწვევ მიზეზს. იგი ახლავს ზმნა-შემასმენელს ან სახელზმნით გადმოცემულ წინადადების წევრს და მოგვიგებს კითხვებზე: რატომ? რის გამო? რა მიზეზით?

მიზეზის გარემოება გადმოიცემა მიზეზის ზმნიზედით და სახელით (საწყისითურთ), რომელიც ნათესაობითში დგას ან მოქმედებითში. ნათესაობითის ფორმას დაერთვის გამო ან –გან თანდებული, ზოგჯერ – წყალობით, გამოისობით, მეოხებით; მოქმედებითის ფორმა კი უთანდებულოა.

2.2.7.3.5. *მიზნის გარემოება*

მიზნის გარემოება გამოხატავს მოქმედების მიზანს. მოგვიგებს კითხვებზე: რისთვის? რა მიზნით? ახლავს ზმნა-შემასმენელს ან სახელზმნით გადმოცემულ წევრს: სანადიროდ წავიდა, სანადიროდ წასვლა, სანადიროდ წასული.

მიზნით გარემოების გადმოსაცემად გამოყენებულია ორი ბრუნვა: ნათესაობითი და ვითარებითი.

არსებითი სახელისა და სახელზმნის ნათესაობითის ფორმას მიზნის გარემოების გადმოსაცემად დაერთვის -თვის თანდებული (იშვიათად – გულისთვის).

მიზნის გარემოება უფრო ხშირად გადმოიცემა მომავალი დროის მიმღეობის ვითარებითში დასმითა ან სა-ო თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები სახელის იმავე ვითარებითი ბრუნვის ფორმით: პატარა ბიჭი გაიქცა მამის დასაძახებლად.

2.2.8. შერწყმული წინადადება

შერწყმულია წინადადება, რომელშიც მოიპოვება ერთ საერთო წევრთან დაკავშირებული ორი ან ორზე მეტი ერთგვარი წევრი: რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან, რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან, რამდენიმე ერთი შინაარსის დამატება, რამდენიმე განსაზღვრება და გარემოება ერთ საერთო წევრთან.

შერწყმული წინადადება შეიძლება იყოს ნარევი სახისა. მაგ., ნარევი სახის შერწყმული წინადადებაა: შრომა და სიყვარული აძლევს შნოსა და ლაზათს ადამიანის სიცოცხლეს (ვაჟა). აქ ერთ შემასმენელთან დაკავშირებულია ორი ქვემდებარე (შრომა და სიყვარული აძლევს) და ორი პირდაპირი დამატება (აძლევს შნოსა და ლაზათს).

2.2.8.1. *ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი*

ერთგვარ წევრთა შეერთება ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო.
როცა წინადადებაში ორზე მეტი ერთგვარი წევრია, შეერთება შეიძლება იყოს კავშირიანიც და უკავშიროც.
უკავშიროდ შეერთებულ ერთგვარ წევრებს შორის მძიმე დაისმის.

2.2.8.2. *კავშირიანი შეერთება*

კავშირი, როგორც ვიცით, ორგვარია: მაერთებელი და მაქვემდებარებელი.
ამათგან ერთგვარ წევრთა შესაერთებლად გამოყენებულია მაერთებელი კავშირები:
მაჯგუფებელი, მაცალკევებელი და მაპირისპირებელი.

2.2.9. რთული წინადადება

რთულია წინადადება, რომელიც შედგება ორი ან ორზე მეტი მარტივი ან შერწყმული წინადადებისგან.
რთული წინადადება ძირითადად ორგვარია: რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი.
რთულ წინადადებას, რომელიც შედგება ერთიმეორის მიმართ თანასწორ წინადადებათაგან, რთული თანწყობილი წინადადება ჰქვია.
რთულ წინადადებას, რომელშიც ერთი წინადადება ზემდგომია, მეორე კი მასზეა დაქვემდებარებული, რთული ქვეწყობილი წინადადება ეწოდება.

2.2.9.1. *რთულ წინადადებათა შეერთების საშუალებანი*

რთული წინადადება შეერთების საშუალების მიხედვით, როგორც ვიცით, ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო.
უკავშირო რთული წინადადების ნაწილთა შეერთების საშუალებაა ინტონაცია, კავშირიანისა კი – საგანგებო სიტყვები, რომელთაც საკავშირებელი სიტყვები ჰქვია.
რთულში შემავალ წინადადებათა შესაერთებლად გამოყენებულია საკუთრივ კავშირები და მიმართებითი სიტყვები: მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები. კავშირი მხოლოდ რთული წინადადების ნაწილთა შეერთებისა და მათ შორის გარკვეული მიმართების დამყარების საშუალებაა, მიმართებითი სიტყვები კი ამასთან ერთად წინადადების ამა თუ იმ წევრსაც გადმოსცემენ, ე.ი. წევრ-კავშირებია.
რთულ თანწყობილ წინადადებაში გამოყენებულია მაერთებელი კავშირები, რთულ ქვეწყობილში – მაქვემდებარებელი კავშირები და მიმართებითი სიტყვები.

2.2.9.2. *დამოკიდებულ წინადადებათა სახეები*

შინაარსობრივად დამოკიდებული წინადადება მრავალგვარია. უმეტესობა თავისი დანიშნულებით უახლოვდება ამა თუ იმ წევრს. ამიტომ მათი სახელწოდებებიც წინადადების წევრთა სახელებისაგან არის ნაწარმოები. ამ ტიპის დამოკიდებული წინადადებებია: ქვემდებარული, დამატებითი (სხვადასხვა სახისა), განსაზღვრებითი და გარემოებითი: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა.
მოგვეპოვება სხვა სახის დამოკიდებული წინადადებებიც. ასეთებია: პირობითი, დათმობითი, შედეგობითი და მთავრის მიმართ დამოკიდებული წინადადებანი.
თუ რა სახისაა დამოკიდებული წინადადება, ამას უმეტეს შემთხვევაში ვარკვევთ კითხვითა და მისათითებელ სიტყვაზე დაკვირვებით: რა წევრიც არის კითხვითი (და მისათითებელი) სიტყვა, იმისი შესაბამისია დამოკიდებული წინადადებაც. ასე, მაგალითად, თუ კითხვითი (და მისათითებელი) სიტყვა ქვემდებარეა, დამოკიდებული წინადადება ქვემდებარული იქნება, თუ დამატებაა, – დამატებითი და ა.შ.

2.2.9.3. *ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება*

ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, რომელიც მოგვიგებს ქვემდებარის კითხვაზე და აზუსტებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ ან ნაგულისხმებ ქვემდებარეს. მისათითებელი ნაცვალსახელი და კითხვები (ვინ? რა?) იქნება ქვემდებარის ერთ-ერთ ბრუნვაში. დამოკიდებულს მთავარ წინადადებასთან აერთებს ვინც, რაც, რომ, თუ.
ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებას ზოგჯერ შეიძლება შევუნაცვლოთ მარტივი წინადადება. შენაცვლებისას დამოკიდებული წინადადების პირიანი ზმნა (შემასმენელი) სახელზმნად გადაკეთდება და ქვემდებარედ შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს.

2.2.9.4. *დამატებითი დამოკიდებული წინადადება*

დამატებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც მოგვიგებს დამატების კითხვაზე. იგი ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალსახელით გამოხატულ ან ნაგულისხმებ დამატებას – პირდაპირს, ირიბს ან უბრალოს. ამის შესაბამისად, დამატებითი დამოკიდებული წინადადება სამი სახისაა: პირდაპირდამატებითი, ირიბდამატებითი და უბრალოდამატებითი.

საკავშირებელი სიტყვები იგივეა, რაც ქვემდებარულისა: ვინც, რაც, რომ, თუ. პირდაპირდამატებითის მისათითებელი ნაცვალსახელი და კითხვითი სიტყვა იქნება მიცემითში ან სახელობითში, ირიბდამატებითისა – მიცემითში, უბრალო დამატებითისა – უბრალო დამატების ერთ-ერთ ბრუნვაში (მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითში ან ვითარებითში, თანდებულის დართვით ან უთანდებულოდ).

დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადებაც შეიძლება შევცვალოთ მარტივით: დამოკიდებული წინადადების პირიანი ზმნა (შემასმენელი) სახელზმნად გადაკეთდება და მთავარი წინადადების შემასმენელს შეეწყობა სათანადო ბრუნვის ფორმით დამოკიდებული წინადადების შესაბამის დამატებად.

2.2.9.5. *განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება*

განსაზღვრებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიემართება არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს და მოგვიგებს კითხვებზე: რომელი? როგორი? საზღვრულ არსებით სახელს განსაზღვრებად შეიძლება ახლდეს ჩვენებითი ნაცვალსახელი, რომლის მნიშვნელობასაც განმარტავს და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება. მას მთავარ წინადადებასთან აერთებს რომ კავშირი და მიმართებითი სიტყვები: მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც) და მიმართებითი ზმნიზედები (სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც...).

მარტივით შენაცვლებისას განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების პირიანი ზმნა (შემასმენელი) მიმღეობად გადაკეთდება და მთავარი წინადადების საზღვრულს განსაზღვრებად დაუდგება.

2.2.9.6. *გარემოებითი დამოკიდებული წინადადება*

გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მრავალგვარია.

მათი უმეტესობა ერთ-ერთი გარემოების შინაარსისაა: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა.

2.2.9.6.1. *ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება*

ადგილის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედების ადგილს.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მოგვიგებს კითხვებზე: სად? საიდან? საითკენ? სადამდე? მთავარ წინადადებაში, ჩვეულებრივ, მოიპოვება მისათითებელი ადგილის ზმნიზედა, რომლის მნიშვნელობასაც ის ხსნის და აზუსტებს. მთავარ წინადადებასთან აერთებს მიმართებითი ზმნიზედები (სადაც, საითკენაც, საიდანაც), იშვიათად – რომ კავშირიც.

თუ სადაც, საიდანაც, საითკენაც არსებით სახელს მიემართება, დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია (და არა ადგილის გარემოებითი): ბაღს, სადაც ჩვენი ვარდი იდგა, ნელ-ნელა ჩრდილი მოეფინა (ევდ.).

2.2.9.6.2. *დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება*

დროის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც აღნიშნავს, როდის ხდება მთავარი წინადადების ზმნით (შემასმენლით) გამოხატული მოქმედება. მოგვიგებს კითხვებზე: როდის? რა დროიდან? რა დრომდე? რამდენ ხანს? მთავართან აერთებს: როდესაც (როცა), რომ, სანამ, რა, თუ არა, რაწამს, როგორც კი, რაკი, ვიდრე... მთავარში შეიძლება იყოს დროის ზმნიზედა, რომლის მნიშვნელობასაც ხსნის და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება (მაშინ, მაშინვე, მანამ).

თუ საკავშირებელი მიმართებითი ზმნიზედა (როდესაც, როცა და სხვ.) არსებით სახელს მიემართება, დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია (და არა დროის გარემოებითი): არის ხოლმე ისეთი წუთები, როდესაც სიტყვას ადგილი აღარ აქვს კაცის ცხოვრებაში (ყაზ.). კითხვაც განსაზღვრებისა დაესმის: როგორი წუთები?

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებას ხშირად შეიძლება შეენაცვლოს მარტივი წინადადება. შენაცვლებისას დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი საწყისად გადაკეთდება და სათანადო ბრუნვის ფორმით დროის გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს.

2.2.9.6.3. *ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება*

ვითარების გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს, როგორ ხდება მოქმედება მთავარ წინადადებაში. მოგვიგებს კითხვებზე: როგორ? რამდენად? რამდენჯერ? მთავარ წინადადებასთან აერთებს: რომ, როგორც, თითქოს, რამდენადაც, რამდენჯერაც, ვითომც... მთავარ წინადადებაში მისათითებლად შეიძლება იყოს: ისე, იმდენად, იმდენჯერ...

ზოგიერთი ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება შედარებას გამოხატავს. ამ ტიპის წინადადებაში ზოგჯერ გამოტოვებულია შემასმენელი, რომელიც ადვილად იგულისხმება მთავარი წინადადების შემასმენლის მიხედვით.

2.2.9.6.4. *მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება*

მიზეზის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გამოხატავს იმის გამომწვევ მიზეზს, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი. მოგვიგებს კითხვებზე: რატომ? რის გამო? მთავართან აერთებს: რომ, იმიტომ, რადგანაც, ვინაიდან, რაკი. მთავარ წინადადებაში მისათითებლად შეიძლება იყოს ერთ-ერთი ამათგანი: იმიტომ, ამიტომ, იმის გამო, ამის გამო.

2.2.9.6.5. *მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება*

მიზნის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების მიზანს. მოგვიგებს კითხვებზე: რისთვის? რა მიზნით? მთავართან აერთებს რომ და რათა. მთავარში შეიძლება იყოს მისათითებელი ზმნიზედები: მისთვის, იმისთვის.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილს ზოგჯერ შეიძლება შევუნაცვლოთ მარტივი წინადადება; დამოკიდებული წინადადების პირიანი ზმნა (შემასმენელი) სახელზმნად (ჩვეულებრივ მიმღეობად), გადაკეთდება და მიზნის გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს.

2.2.9.7. *შედეგობითი დამოკიდებული წინადადება*

შედეგობითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს იმის შედეგს, რაზედაც ლაპარაკია მთავარ წინადადებაში.

იგი ყოველთვის მთავარი წინადადების შედეგია და მასთან შეერთებულია კავშირებით: ასე რომ, რის გამოც.

2.2.9.8. *პირობითი დამოკიდებული წინადადება*

პირობითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს, რა პირობაა საჭირო მთავარ წინადადებაში დასახელებული მოქმედების შესასრულებლად. მოგვიგებს კითხვაზე: რა პირობებში? მთავარ წინადადებასთან აერთებს: რომ, თუ, თუკი, უკეთუ.

2.2.9.9. *დათმობითი დამოკიდებული წინადადება*

დათმობითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ისეთ რამეზე მიგვითითებს, რის მიხედვითაც მთავარ წინადადებაში გადმოცემული ამბავი საერთოდ მოსალოდნელი არ არის, მაგრამ გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია.

2.2.9.10. *მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება*

მთავრის მიმართია დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთელ მთავარ წინადადებას მიემართება. მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვა არ მოიპოვება (არც იგულისხმება). დამოკიდებული წინადადება ყოველთვის ბოლოშია, მთავართან აერთებს მიმართებითი ნაცვალსახელი "რაც" სხვადასხვა ბრუნვის ფორმით.

2.2.9.11. *თანამიმდევრული დაქვემდებარება*

დამოკიდებულ წინადადებას შეიძლება ახლდეს თავისი დამოკიდებული წინადადება. მაგ.: მოხუცი გაუდგა წითლოვანის ბილიკს(1), რომელსა ც პირდაპირ იმ ადგილს უნდა მიეყვანა(2), სადაც მისი ცხვარი იდგა(3) (ყაზ.).

2.2.10. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის რაობა

ვისიმე ნათქვამი შეიძლება გადმოიცეს მეტ-ნაკლები სიზუსტით: სიტყვასიტყვით, ფორმის შეუცვლელად ან ფორმის შეცვლით.

თუ ვისიმე ნათქვამი სიტყვასიტყვით არის განმეორებული, ამას პირდაპირი ნათქვამი ჰქვია.
თუ ვისიმე ნათქვამი გადმოცემულია შეცვლილი ფორმით, ამას ირიბი ნათქვამი ჰქვია.

2.2.10.1. *ნაწილაკებიანი პირდაპირი ნათქვამი*

პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკები: -მეთქი, -თქო და -ო.
-ო იხმარება მე-3 პირის ნათქვამის გადმოსაცემად.
სხვათა სიტყვის -ო ჩვეულებრივია ანდაზებში, რადგანაც იგულისხმება: ნათქვამია, ამბობენ, თქმულა. ეს სიტყვები ზოგჯერ ითქმის კიდევაც: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია. მეტწილად კი ეს სიტყვები იგულისხმება.
-თქო აღნიშნავს პირველი პირის დანაბარებ სიტყვას, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს.
-ო ნაწილაკი სიტყვასთან შერწყმულად იწერება, -მეთქი და -თქო კი დეფისით გამოეყოფა.
ეს ნაწილაკები, ჩვეულებრივ, ბოლო სიტყვას დაერთვის წინადადებაში. ზმნა-შემასმენელს სიტყვასიტყვითი ნაწილაკი კი მაშინაც დაერთვის, როცა ის არ არის წინადადების ბოლოს: აკი მოგახსენეთ, გაგიადვილებთ-მეთქი სამეცნიერო სიტყვის გაგებას (ჭავ.).

2.2.11. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები

წინადადების წევრი ზოგჯერ შეიძლება პაუზით გამოეყოს მეზობელ სიტყვებს და განცალკევებით დადგეს. ამ მოვლენას განკერძოება ჰქვია, ხოლო თვით წევრს – განკერძოებული. გარდა განკერძოებული წევრებისა, მოიპოვება ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც განცალკევებით დგანან, მაგრამ წინადადების წევრის განკერძოებას არ წარმოადგენენ. ყველას ერთად განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ჰქვია.
განკერძოებული სიტყვები და გამოთქმებია: განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, ამხსნელ-დამაზუსტებელნი, მიმართვა, ჩართული, მიგებითი ნაწილაკები და შორისდებული.

2.2.11.1. *განკერძოებული განსაზღვრება*

განკერძოებულია განსაზღვრება, რომელიც თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ პაუზით გამოეყოფა საზღვრულს, დაწერისას კი – სასვენი ნიშნით.
შორს ჩანდა მყინვარი, თეთრი და ამაყი.
გვერდით მომყვებოდა ჩემი მეგობარი, ჩამოსული სოფლიდან.
მოსწავლე შემოვიდა საკლასო ოთახში, გახარებული და თვალებგაბრწყინებული.
განკერძოებული განსაზღვრება პირველ წინადადებაში ზედსართავი სახელებით არის გადმოცემული, მეორეში – მიმღეობით, რომელსაც ახლავს მიმყოლი სიტყვა (ადგილის გარემოება). პირველსა და მესამე მაგალითში გვაქვს ორი განკერძოებული განსაზღვრება, მეორეში–ერთი. ამასთანავე, განკერძოებული განსაზღვრება უშუალოდ მოსდევს საზღვრულ წევრს, ხოლო მესამეში გათიშულია საზღვრული წევრისაგან.
განკერძოებული განსაზღვრება რომ საზღვრულის წინ გადავსვათ, იგი ჩვეულებრივ განსაზღვრებად გადაიქცევა.
განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება ახლდეს პირის ნაცვალსახელსაც. ამ შემთხვევაში იგი ნაცვალსახელის წინ ან შემდეგ დგას.
პირის ნაცვალსახელი ზოგჯერ არ არის ნახმარი და განკერძოებული განსაზღვრება განმარტოებულია.
განკერძოებული განსაზღვრება ყოველთვის ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში, ჩვეულებრივ, რიცხვშიც.
განკერძოებული განსაზღვრება თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ გამოიყოფა მძიმით (როცა წინადადების თავშია ან ბოლოში) ან მძიმეებით (როცა წინადადების შიგნითაა).

2.2.11.2. *განკერძოებული გარემოება*

გარემოება შეიძლება პაუზით გამოეყოს წინადადებაში სხვა სიტყვებს და განკერძოებით დადგეს.
განკერძოებულია სახელის ნათესაობითის ფორმა, რომელსაც დაერთვის მიუხედავად ზმნიზედა.
განკერძოებული გარემოება ისევე გამოიყოფა მძიმით (ან მძიმეებით), როგორც განკერძოებული განსაზღვრება.

2.2.11.3. *მიმართვა*

წოდებით ბრუნვაში დასმულ სახელს, რომელიც მეორე პირს ან მეორე პირად წარმოდგენილ საგანს აღნიშნავს, მიმართვა ჰქვია. იგი გაუვრცობელია ან გავრცობილი არამთავარი წევრებით, ცალკე დგას

ან წინადადებას ახლავს. ცალკე მდგომი მიმართვა, ჩვეულებრივ, დაძახებისას იხმარება, რომ მისამართი პირის ყურადღება იქნეს მიპყრობილი. თუ მიმართვა ცალკე არ არის ნახმარი, იგი შეიძლება იყოს წინადადების თავში ან ბოლოში, ან კიდევ წინადადების შიგნით.

მხატვრულ ნაწარმოებებში მიმართვად ხშირია არაადამიანთა სახელები. ეს არის განპიროვნების ერთ-ერთი სახე.

მიმართვასთან დაკავშირებით უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

1. ცალკე მდგომი მიმართვის შემდეგ ძახილის ნიშანი დაისმის. თუ ასეთი მიმართვა მეორდება ან ასეთად რამდენიმე სხვადასხვა სახელია, უკანასკნელის შემდეგ ძახილის ნიშანი დაისმის, ხოლო ყოველი წინა მიმართვის შემდეგ მძიმე ან ძახილის ნიშანი იწერება (იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოთქმას გულისხმობს);
2. თუ მიმართვა წინადადების თავშია, ძლიერი გრძნობითა და დიდი პაუზით წარმოთქმას გულისხმობს, მის შემდეგ ძახილის ნიშანი დაისმის, სხვა შემთხვევაში – მძიმე;
3. თუ მიმართვა წინადადების ბოლოშია, ის წინა სიტყვისაგან მძიმით გამოიყოფა, ხოლო შემდეგ ის ნიშანი დაისმის, რომელიც წინადადებას შეეფერება;
4. ადამიანის საკუთარი სახელი წოდებითში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს. ამიტომ შეცდომაა, როცა ასეთ სახელს მიმართვად გამოყენებისას წოდებითი ბრუნვის ნიშანს დაურთავენ ან სახელობითი ბრუნვის ფორმით ხმარობენ. უნდა: გურამ! ვახტანგ! დავით! ვარლამ! ნოდარ! ელიზბარ! ასმათ! თამარ! დარეჯან! ელისაბედ! (და არა: გურამი! ვახტანგი! ნოდარი! ასმათი! ან: დარეჯანო! ელისაბედო! პეტრეკ! ვაჟავ! გოჩავ! და სხვ.).

2.2.11.4. *ჩართული*

ჩართული ჰქვია განკერძოებულ სიტყვას თუ სიტყვათა ნაერთს, რომლითაც მთქმელი გამოხატავს, როგორ უყურებს ის წინადადებაში გამოქმულ აზრს. ჩართულია ზოგჯერ მთელი წინადადებაც.

ჩართული, ჩვეულებრივ, წინადადების თავშია ან შუაში, იშვიათად ბოლოშიც გვხვდება. წარმოთქმისას პაუზით გამოიყოფა, დაწერისას – სასვენი ნიშნით: მძიმით, როცა წინადადების თავშია ან ბოლოში, და ორივე მხრიდან მძიმით, როცა წინადადების შიგნითაა.

ჩართული მნიშვნელობით მრავალგვარია. იგი გამოხატავს:

1. ამა თუ იმ გრძნობას;
2. დარწმუნებულობას;
3. ვარაუდს;
4. წინადადებაში გამოთქმული აზრის წყაროს;
5. აზრთა თანამიმდევრობასა და ურთიერთმიმართებას;
6. შენიშვნას, რომელიც აზრის გამოთქმის ფორმას ეხება.

ჩართულია აგრეთვე საალერსო სიტყვები და გამოთქმები, ზოგიერთი ფიცილის ფორმულა: ეგ შიში, მამაშვილობამ, უსაფუძვლოა.

2.2.10.5. *დანართი*

დანართი არის განკერძოებული სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც დაერთვის სახელით გამოხატულ წევრს და გვაძლევს დამატებით ინფორმაციას მის შესახებ.

დანართი შეიძლება გადმოეცემული იყოს შემდეგი კავშირების საშუალებით: ანუ, ესე იგი... ან მაკავშირებელი სიტყვების საშუალებით: წარმოშობით, სახელად, გვარად, ტომით...

შინაარსი

თავი 1 ფონეტიკა/ფონოლოგია 5
1.1. **ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები ქართულში** 5
1.2. **თანხმოვანთა ჯგუფები წარმოთქმის ადგილის მიხედვით** 5
1.3. **მჟღერი და ყრუ ბგერები** 5
1.4. **მკვეთრი და ფშვინვიერი თანხმოვნები** 5
1.5. **ბგერითი ცვლილება სიტყვაში** 5
1.5.1. *ბგერის დაკარგვა* 6
1.5.2. *ასიმილაცია* 6
1.5.3. *დისიმილაცია* 6
1.5.4. *ფუძის კუმშვა და კვეცა* 6
თავი 2 გრამატიკა 7
2.1. **მორფოლოგია** 7
2.1.1. მეტყველების ნაწილები 7
2.1.1.1. *ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები* 7
2.1.1.2. *სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილები* 7
2.1.1.3. *დამხმარე მეტყველების ნაწილები* 7
2.1.2. არსებითი სახელი 7
2.1.2.1. *არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით. ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფის სახელები* 8
2.1.2.2. *სულიერთა და უსულოთა სახელები* 8
2.1.2.3. *საკუთარი და საზოგადო სახელები* 8
2.1.2.4. *კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები* 8
2.1.2.5. *კრებითი სახელები* 9
2.1.2.6. *ნივთიერებათა სახელები* 9
2.1.2.7. *მოქმედების სახელები* 9
2.1.2.8. *კნინობით-ალერსობითი სახელები* 9
2.1.2.9. *მრავლობითი რიცხვის წარმოება* 9
2.1.2.10. *მრავლობითის რიცხვის უქონელი არსებითი სახელები* 10
2.1.2.11. *არსებითი სახელის ბრუნება. ბრუნვები და მათი ნიშნები* 10
2.1.2.12. *ბრუნება და ბრუნების მორფონოლოგიური ტიპები* 10
2.1.2.13. *სახელთა ბრუნების მორფონოლოგიური ტიპები* 11
2.1.2.14. *ბრუნვის ნიშანთა გავრცობა* 11
2.1.2.15. *სახელები ფუძეთა მიხედვით* 11
2.1.2.16. *საზოგადო სახელთა ბრუნება* 12
2.1.2.16.1. *ფუძეუკუმშველი და ფუძეკუმშვადი სახელები* 12
2.1.2.16.2. *ფუძეკუმშვად სახელთა ბრუნება* 12
2.1.2.16.3. *ფუძეუკუმშველ სახელთა ბრუნება* 12
2.1.2.16.4. *ბოლოხმოვნიან საზოგადო სახელთა ბრუნება* 12
2.1.2.16.5. *ფუძეკვეცად სახელთა ბრუნება* 12
2.1.2.16.6. *ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნება* 13
2.1.2.16.7. *კუმშვად-კვეცად სახელთა ბრუნება* 13
2.1.2.17. *თავისებური საზოგადო სახელების ბრუნება* 13
2.1.2.18. *საკუთარ სახელთა ბრუნება* 13
2.1.2.19. *არსებითი სახელი მსაზღვრელად* 14
2.1.2.20. *კომპოზიტი* 14
2.1.3. ზედსართავი სახელი 14
2.1.3.1. *ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელი* 15
2.1.3.2. *წარმოქმნილი ზედსართავი სახელები* 15
2.1.3.3. *ზედსართავი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით* 15
2.1.3.4. *ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი ზედსართავი სახელები* 16
2.1.3.5. *ხარისხის ფორმები* 16
2.1.3.6. *დამოუკიდებელი ზედსართავი სახელის ბრუნება* 16
2.1.3.7. *ზედსართავი სახელი მსაზღვრელად. ზედსართავი სახელი არსებითის წინ და შემდეგ* 16
2.1.3.8. *ბოლოთანხმოვნიანი და ბოლოხმოვნიანი ზედსართავის ბრუნება არსებითთან ერთად* 16
2.1.3.9. *ზედსართავის ბრუნება ებ-იან მრავლობითში დასმულ არსებითთან ერთად* 17
2.1.4. რიცხვითი სახელი 17

2.1.4.1. რიცხვითი სახელი არსებით სახელთან და დამოუკიდებლად....17
2.1.4.2. რაოდენობითი რიცხვითი სახელები....17
2.1.4.3. რიგობითი რიცხვითი სახელები....17
2.1.4.5. წილობითი რიცხვითი სახელები....18
2.1.4.6. რიცხვით სახელთა ბრუნება....18
2.1.5. ნაცვალსახელი....18
2.1.5.1. ნაცვალსახელის ჯგუფები....18
2.1.5.2. პირის ნაცვალსახელები. I და II პირის ნაცვალსახელები
და მათი თავისებურება....19
2.1.5.3. პირის ნაცვალსახელები ნათესაობითში....19
2.1.5.4. ჩვენებითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება....19
2.1.5.5. ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება არსებითთან ერთად....19
2.1.5.6. კითხვითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება....19
2.1.5.7. კუთვნილებითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება....20
2.1.5.8. მიმართებითი ნაცვალსახელები....20
2.1.5.9. უარყოფითი ნაცვალსახელები....20
2.1.5.10. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები....20
2.1.5.11. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები....20
2.1.5.12. -ვე ნაწილაკიანი ნაცვალსახელების ბრუნება....21
2.1.6. ზმნა....21
2.1.6.1. პირველადი და ნასახელარი ზმნები....21
2.1.6.2. გრამატიკული პირი და რიცხვი....21
2.1.6.3. პირთა რაოდენობა ზმნის ერთ ფორმაში. გამორკვევის ხერხი....22
2.1.6.4. სუბიექტური და ობიექტური პირი....22
2.1.6.5. ობიექტური პირები და მათი ერთმანეთისაგან გარჩევის ხერხი....22
2.1.6.6. სუბიექტური და ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები....22
2.1.6.7. პირველი სუბიექტური პირის ნიშანი....23
2.1.6.8. მეორე სუბიექტური პირის ნიშანი....23
2.1.6.9. მესამე სუბიექტური პირის ნიშნები....23
2.1.6.10. ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები....23
2.1.6.11. პირველი ობიექტური პირის ნიშანი....23
2.1.6.12. მეორე ობიექტური პირის ნიშანი....23
2.1.6.13. მესამე ობიექტური პირის ნიშანი....24
2.1.6.14. ინვერსია....24
2.1.6.15. ზმნის რთული ფორმები....24
2.1.6.16. მეშველი ზმნა....24
2.1.6.17. პირნაკლი და რიცხვნაკლი ზმნები....24
2.1.6.18. პირში მონაცვლე ზმნები....24
2.1.6.19. რიცხვში მონაცვლე ზმნები....25
2.1.6.20. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები....25
2.1.6.21. ზმნისწინი. ზმნისწინის რაობა და ჯგუფები....25
2.1.6.22. ზმნისწინები ძველი სახით დღევანდელ ქართულში (მართლწერა)....26
2.1.6.23. მიმართულების არმქონე ზმნები....26
2.1.6.24. სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა ზმნისწინით....26
2.1.6.25. გრამატიკული დრო....26
2.1.6.26. ასპექტი....26
2.1.6.27. სრული ასპექტის წარმოება....27
2.1.6.28. უასპექტო ზმნები....27
2.1.6.29. კილო....27
2.1.6.30. ბრძანებითი კილოს სახეები და მათი გამოხატვის საშუალებანი....27
2.1.6.31. წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი კილო....27
2.1.6.32. მწკრივები და სერიები. მწკრივის რაობა. ფორმათა რაოდენობა მწკრივში....28
2.1.6.33. უღლება....28
2.1.6.34. მწკრივთა სერიები....28
2.1.6.35. ზმნის ფუძე....29
2.1.6.36. პირველი სერიის მწკრივები....29
2.1.6.37. მეორე სერიის მწკრივები....29

2.1.6.38. *მესამე სერიის მწკრივები* 29
2.1.6.39. *მეშველზმნიანი ფორმები III სერიაში* 30
2.1.6.40. *ინვერსიული ზმნები* 30
2.1.6.41. *თემა. თემის ნიშნები* 30
2.1.6.42. *ერთთემიანი და ორთემიანი ზმნები* 30
2.1.6.43. *მწკრივში მონაცვლე ზმნები* 31
2.1.6.44. *მწკრივების სერიებად დაყოფის გრამატიკული საფუძველი* 31
2.1.6.45. *გვარი* 31
2.1.6.46. *მოქმედებითი გვარი* 31
2.1.6.47. *ვნებითი გვარის სახეები* 32
2.1.6.48. *პრეფიქსიანი ვნებითი* 32
2.1.6.49. *სუფიქსიანი ვნებითი* 32
2.1.6.50. *უნიშნო ვნებითი* 32
2.1.6.51. *საშუალი გვარის ზმნები* 32
2.1.6.52. *საშუალ-ვნებითი* 32
2.1.6.53. *საშუალ-მოქმედებითი* 32
2.1.6.54. *ქცევა* 33
2.1.6.55. *საარვისო ქცევა* 33
2.1.6.56. *სათავისო ქცევა* 33
2.1.6.57. *სასხვისო ქცევა* 33
2.1.6.58. *ქცევა ვნებითსა და საშუალი გვარის ზმნებში* 33
2.1.6.59. *სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმათა გარჩევის საშუალება* 33
2.1.6.60. *უქცეო ზმნები* 34
2.1.6.61. *კონტაქტი* 34
2.1.6.62. *უშუალო კონტაქტი* 34
2.1.6.63. *შუალობითი კონტაქტი* 34
2.1.7. მოდალობა 34
2.1.8. სახელზმნა 34
2.1.8.1. *საწყისი* 35
2.1.8.2. *საწყისის წარმოება. მისი სახელური და ზმნური ნიშნები* 35
2.1.8.3. *მიმღეობა* 35
2.1.8.4. *მიმღეობის სახელური და ზმნური ნიშნები* 35
2.1.8.5. *მოქმედებითი გვარის მიმღეობა* 35
2.1.8.6. *ვნებითი გვარის მიმღეობა* 36
2.1.8.7. *საშუალი გვარის მიმღეობა* 36
2.1.9. ზმნიზედა 36
2.1.9.1. *ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით* 36
2.1.9.2. *პირველადი და მეორეული ზმნიზედები* 36
2.1.9.3. *მეორეული ზმნიზედების წარმოება* 36
2.1.10. თანდებული 37
2.1.10.1. *თანდებულიანი ბრუნვები* 37
2.1.10.2. *ნაწილაკიანი ბრუნვის ფორმები* 38
2.1.10.3. *ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით* 38
2.1.11. კავშირი 38
2.1.11.1. *კავშირის ჯგუფები* 38
2.1.12. ნაწილაკი 38
2.1.12.1. *ნაწილაკთა ჯგუფები* 39
2.1.13. შორისდებული 39
2.2. **სინტაქსი** 39
2.2.1. სინტაქსური ურთიერთობის სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა 40
2.2.2. წინადადება 40
2.2.3. წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით 40
2.2.4. წინადადების სახეები აგებულების მიხედვით 41
2.2.5. მარტივი წინადადების შედგენილობა მთავარ წევრთა მიხედვით 41
2.2.5.1. *გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება* 41
2.2.5.2. *სრული და უსრული წინადადება* 41
2.2.5.3. *უქვემდებარო წინადადება* 41

2.2.6. წინადადების მთავარი წევრები....42
2.2.6.1. შემასმენელი....42
2.2.6.1.1. მარტივი შემასმენელი....42
2.2.6.1.2. შედგენილი შემასმენელი....42
2.2.6.2. ქვემდებარე....42
2.2.6.3. ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა....43
2.2.6.4. დამატება-ობიექტები....43
2.2.6.4.1. პირდაპირი დამატება....43
2.2.6.4.2. ირიბი დამატება....43
2.2.7. წინადადების არამთავარი წევრები....44
2.2.7.1. უბრალო დამატება....44
2.2.7.2. განსაზღვრება....44
2.2.7.2.1. მართული განსაზღვრება....44
2.2.7.2.2. შეთანხმებული განსაზღვრება....44
2.2.7.2.3. მსაზღვრელი წევრის სინტაქსური ურთიერთობა საზღვრულთან....45
2.2.7.2.4. ნათესაობითში დასმული განსაზღვრებისა და
უბრალო დამატების გარჩევა ერთმანეთისაგან....45
2.2.7.3. გარემოება....45
2.2.7.3.1. ადგილის გარემოება....46
2.2.7.3.2. დროის გარემოება....46
2.2.7.3.3. ვითარების გარემოება....46
2.2.7.3.4. მიზეზის გარემოება....46
2.2.7.3.5. მიზნის გარემოება....46
2.2.8. შერწყმული წინადადება....46
2.2.8.1. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი....47
2.2.8.2. კავშირიანი შეერთება....47
2.2.9. რთული წინადადება....47
2.2.9.1. რთულ წინადადებათა შეერთების საშუალებანი....47
2.2.9.2. დამოკიდებულ წინადადებათა სახეები....47
2.2.9.3. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება....47
2.2.9.4. დამატებითი დამოკიდებული წინადადება....48
2.2.9.5. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება....48
2.2.9.6. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება....48
2.2.9.6.1. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება....48
2.2.9.6.2. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება....48
2.2.9.6.3. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება....49
2.2.9.6.4. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება....49
2.2.9.6.5. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება....49
2.2.9.7. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება....49
2.2.9.8. პირობითი დამოკიდებული წინადადება....49
2.2.9.9. დათმობითი დამოკიდებული წინადადება....49
2.2.9.10. მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება....49
2.2.9.11. თანამიმდევრული დაქვემდებარება....49
2.2.10. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის რაობა....49
2.2.10.1. ნაწილაკებიანი პირდაპირი ნათქვამი....50
2.2.11. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები....50
2.2.11.1. განკერძოებული განსაზღვრება....50
2.2.11.2. განკერძოებული გარემოება....50
2.2.11.3. მიმართვა....50
2.2.11.4. ჩართული....51
2.2.10.5. დანართი....51